# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მაისი **სამშაბათი** 2012 **№113 (13719)** ფასი 80 თეთრი


# თქვენი იმედი გვაქვს!

**ქართველი 17-წლამდელები გუშინ სლოვენიიდან დაბრუნდნენ**



## მაისურაძე: მსაჯმა თამაში გააფუჭა

2

U17. ნახევარფინალის გამოხმაურება



გუშინ 17-წლამდელთა ნაკრებს თბილისის აეროპორტში გულთბილი დახვედრა მოუწყვეს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

## კარლსრუეჰ...

იაშვილი მესამე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, დღეს კოზის და ჰერტას ბედი წყდება...

2,7



## ქეცბაიას 22

ავსტრიაში ორი ახალწვეულით

2



## ვინ არის ლიდერი დამნაშავე?

აურზაური დებულების გამო

3

ეროვნული ნაკრები



2007 წელი. საქართველო-თურქეთი

# ავსტრიაში ორი ახალწვეულით

გუშინ ცნობილი გახდა იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ თურქეთთან 24 მაისს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა.

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი);

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** (სამსუნსფორი, თურქეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **გიორგი ფოფხაძე** (შტურმი, ავსტრია), **საბა კვერკველია** (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **დავით კვირკველია** (ანორთოსისი, კვიპროსი), **დავით თარგამაძე**, **თორნიკე ოქრიაშვილი** (ორივე – ილიჩევეცი, უკრაინა), **ალექსანდრე კობახიძე** (არსენალი, უკრაინა), **ჯაბა კანკავა** (კრივბასი, უკრაინა), **ლევან ყენია** (უკლუბო), **ნიკოლოზ ძალამიძე** (იაგელონია, პოლონეთი);

თავდამსხმელები: **ვლადიმერ დვალიშვილი** (პოლონია, პოლონეთი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია), **ოთარ მარცვალაძე** (კრასნოდარი, რუსეთი), **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია), **ჯაბა ლიპარტია** (ზარია, უკრაინა).

საბა კვირკველია და ნიკა ძალამიძე ნაკრებში პირველად გამოიძახეს, გიორგი ფოფხაძეს ნაკრებში ადრე კი უთამაშია, მაგრამ ქეცბაიას სიაში პირველად მოხვდა.

საქართველოს ნაკრები ავსტრიაში შეკრებას 16 მაისს დაიწყებს, თურქეთთან შეხვედრა კი, შეგახსენებთ, ზალცბურგში გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# იაშვილი და კარლსრუე მეორე ბუნდესლიგას დაემშვიდობნენ

გუშინ "კარლსრუემ" გადათამაშების მეორე მატჩში მესამე ბუნდესლიგის "რეგენსბურგს" უმასპინძლა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდს პირველი შეხვედრა სტუმრად 1:1 ჰქონდა დასრულებული და იმედი გვქონდა, რომ ამ უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, "კარლსრუე" 2:2-ს დასჯერდა და მეორე ბუნდესლიგიდან მესამეში გავარდა.

32-ე წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა იაშვილმა, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, საგოლე გადაცემა შეასრულა და "კარლსრუემ" ანგარიში 1:1 გახადა. 56-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ "რეგენსბურგმა" 66-ეზე მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილი

დინამო

# შერჩევები წარმატებით ჩატარდა

13 მაისს "დინამო არენაზე" "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის მიერ ორგანიზებული მასშტაბური შერჩევა მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა 2001, 2002, 2003 და 2004 წლებში დაბადებულმა 300-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. შერჩევის მონაწილეები მწვრთნელთა გადაწყვეტილებას დღეიდან, "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის (www.fcdinamo.ge) მეშვეობით შეიტყობენ. "დინამოს" აკადემიაში სწავლა ყველას შეეძლება, საუკეთესოები კი გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" ვებგვერდზე "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის დირექტორის, ესპანელი **ანდრეს კარასკოს** სიტყვებია მოყვანილი.

"შერჩევებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენ დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდით პატარებს. ამინდმაც ხელი შეგვიწყო. ბავშვებმაც ისიამოვნეს "დინამო არენის" მოედნით. 13 მაისი მნიშვნელოვანი დღეა "დინამოს" ისტორიაში. როგორც დილით, ასევე საღამოს ძალიან კარგი ფეხბურთელები ვნახეთ. მე, როგორც აკადემიის დირექტორი, მოხარული ვარ ჩვენი თანამშრომლების მუშაობით. მწვრთნელებმა, ასისტენტებმა, მედიკოსებმა, კოორდინატორებმა დიდი სამუშაო გასწიეს. შერჩევების ორგანიზებაში მონაწილეობა ორმოცმა პიროვნებამ მიიღო. კლუბის ყველა დეპარტამენტი ჩართული იყო ამ საქმეში. დიდი დახმარება გაგვიწიეს სტადიონის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებული მადლობა კი - ჩვენს პრეზიდენტს, ბატონ რომან ფიფიას, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტის განხორციელებაში", განაცხადა კარასკომ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17. ნახევარფინალის გამოხმაურება

# მაისურაძე: მსაჯმა თამაში გააფუჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუივენბერგი: გაძევებით ჩვენი ამოცანა არ გამარტივებულა

სლოვენიაში მიმდინარე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატს, საქართველოს ნაკრებისთვის რუმინელი მსაჯის დიდი მონდომებით ნახევარფინალში რომ დასრულდა, კიდევ დიდხანს გავიხსენებთ. ასევე დიდი ხნის განმავლობაში გაგვყვება ჰოლანდიასთან განცდილი ძალიან დასანანი მარცხით გამოწვეული გულისტკივილი, მაგრამ სამაგიეროდ, უახლოესი წლების განმავლობაში გვექნება იმის საფუძვლიანი იმედი, რომ ვასილ მაისურაძის გუნდის წევრები მიღწეულზე არ შეჩერდებიან და საქართველოს გაცილებით დიდი გამარჯვებებით გაახარებენ.

ევროპის ჩემპიონატს ვრცლად მისი დასრულებისთანავე შევაჯამებთ, საქართველოს ნაკრების მიერ ნახევარფინალამდე განვლილ გზასაც გავიხსენებთ და გუნდის მწვრთნელისა და ფეხბურთელების მოსაზრებებსაც შემოგთავაზებთ, დღეს კი მხოლოდ ჰოლანდია-საქართველოს შეხვედრას შევეხებით და მატჩის შემდგომ კომენტარებს გაგაცნობთ.

*"შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ მსაჯმა თამაში გააფუჭა... ძალიან საეჭვოდ მეჩვენება ჭანტურიას მეორე ყვითელი ბარათი, თუმცა, სამწუხაროდ, ახლა ვერაფერს შევცვლით. ტურნირის დაწყებამდე ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იყო, რაც შევასრულეთ კიდეც. დასანანია, რომ ჰოლანდიასთან თანაბარი ძალებით ბრძოლის საშუალება არ მოგვეცა, თორემ, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. მთლიანობაში, ჩემი ბიჭებით ძალიან კმაყოფილი ვარ - ვაჟკაცურად იბრძოლეს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. მადლობა მინდა ვუთხრა ტურნირის ორგანიზატორებს და სლოვენიელებს თბილი მასპინძლობისთვის"*, - ეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ვასილ მაისურაძის** სიტყვებია, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზეა მოყვანილი.



ვასილ მაისურაძე

მაისურაძეს მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არაობიექტურ მსაჯობაზე ღიად არ უსაუბრია, რადგან იქ ამ თემაზე სიტყვის დაძვრა, ფაქტობრივად, აკრძალულია, თუმცა შესაძლებლობების ფარგლებში

რაც შეეხება ჰოლანდიელთა თავკაცს **ალბერტ სტუივენბერგს**, მან განაცხადა, რომ წითელ ბარათს მატჩის შედეგზე დიდი გავლენა არ მოუხდენია და ლამის ისიც თქვა, რომ რიცხობრივმა უპირატესობამ მის გუნდს ხელი შეუშალა, რაშიც, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით.

*"მას შემდეგ, რაც ქართველები მოედანზე ათი კაცით დარჩნენ, ჩვენი ამოცანა სულაც არ გამარტივებულა. მეტოქე ყრუ დაცვაში ჩადგა და სათამაშო სივრცეები მაქსიმალურად შეგვიზღუდა. ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელები მეტისმეტად ღელავენ და შეიძლება, საბედისწერო შეცდომაც დაუშვან. საბედნიეროდ, კუთვნილი მაინც მივიღეთ და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ახლა ზეიმის დრო არ გვაქვს, რადგან ფინალამდე ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა"*, - თქვა სტუივენბერგმა და თავად განსაჯეთ, სწორია თუ არა მისი მსჯელობა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 19

# ელიტრაუნდისთვის მზადება დაიწყეს

## ოთარ კორღალიძე: უეფას დამოკიდებულება მაოცებს

25 მაისს ხორვატიაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის შეხვედრები იწყება, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქეები მასპინძელი ხორვატია, ავსტრია და ბოსნია იქნებიან.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ ნაკრები გუშინ ეროვნული გუნდის საწვრთნელ ცენტრ "ბასაში" შეკრიბა, გუნდი იქვე დაბინავდა და ვარჯიში დაიწყო.

კორღალიძეს სერიოზული საფიქრალი გაუჩნდა – კლუბების გამო, 19-წლამდელები სრულად შემადგენლობით შეკრებას მხოლოდ ხორვატიაში მოახერხებენ.

ოთარ კორღალიძეს მზადებასა და არსებულ პრობლემებზე ველაპარაკეთ.

**-რა ცვლილებებია შემადგენლობაში?**

- შემადგენლობა თითქმის უცვლელია. ზუგდიდის "ბაიადან" დავიმატეთ მეკარე ზურომშვილი, ცხინვალის "სპარტაკიდან" კი – მცველი ბურძენაძე. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარებიან „ზესტაფონის" მცველი თორნიკე გრიგალაშვილი და თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი ბუბა რუხაძე. თუმცა, კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები შეგვექმნა და არ ვიცი, რა ვქნა.

**- რას გულისხმობთ?**

- გიგაურის გარდა, დროულად არც ერთი ლეგიონერი არ ჩამოდის. "ვიტესი" ვაკო ყაზაიშვილსა და გიორგი ჭანტურიას არ უშვებს, დანიური "ორჰუსი" კი - დავით სხირტლაძეს. ეს მოსამზადებელ ეტაპზე სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის.

სამწუხაროდ, მათ კლუბები არ უშვებენ. ჰოლანდიის ერედივიზიეში პლეი ოფის მატჩები გრძელდება, "ვიტესი" ფინალში გავიდა და "ვალვაიკს" შეხვდება, მატჩები კი 20 მაისს მთავრდება, ამიტომ, გვითხრეს, მხოლოდ ამის შემდეგ გამოემგზავრებიანო, მომზადების გადამწვეტ ეტაპზე კი წამყვანი მოთამაშეების არყოფნა გუნდს აზარალებს. ყაზაიშვილი წინა შეკრებაზე კარგად გავიცანი და პრობლემა არაა, ჭანტურიასაც ვიცნობ და წარმოდგენა მაქვს, რა შეუძლია და რა დავალება შეიძლება მივცეთ. სხირტლაძის შემთხვევაში კი კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ: დანიის ჩემპიონატში შეხვედრა 23 მაისს აქვს, ხორვატიაში კი მხოლოდ 24 მაისს თუ შემოგვიერთდება. წარმოიდგინეთ, ბავშვს სახითაც არ ვიცნობ, გუნდთან ერთად მხოლოდ ერთხელ თუ ივარჯიშებს და როგორ უნდა შემექმნას წარმოდგენა, რა შეუძლია და სად და როგორ ვათამაშო?! ან როგორ უნდა მოვახერხო ერთ დღეში ჩემი ჩანაფიქრის გადაცემა? მგონი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით.



ოთარ კორღალიძე

**- ფედერაციამ ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოახერხა?**

- ფედერაციას რა უნდა ექნა, როდესაც კლუბი უეფას დადგენილ ნორმებს იყენებს! დანიელებს ვერც აუხსნი, რომ საქართველოს ნაკრებს თავისი ინტერესი აქვს, როდესაც კლუბს საკუთარი პრობლემების იქით არაფერი აინტერესებს, ეკუთვნის ფეხბურთელი და უნდა გაუშვებს, უნდა დაიტოვებს და ვერც გაამტყუნებ.

ამ შემთხვევაში, მე უეფას პოზიცია მაოცებს. არ მესმის, რა წესებს იგონებენ. კლუბს უფლებას აძლევს, ფეხბურთელი ნაკრებში მხოლოდ მატჩის წინადღეს გაუშვას. ბოლოს და ბოლოს, უეფა ნაკრების ინტერესებს კლუბისაზე დაბლა რატომ აყენებს?

**- ხორვატიაში გამგზავრებამდე, საკონტროლო შეხვედრას თუ ჩაატარებთ?**

- აქაც მაგარი კაზუსი მოხდა. სომხებთან ამხანაგურ შეხვედრაზე შევთანხმდით, მაგრამ ახლახან შემოგვითვალეს, თუ გინდათ, ერევანში ჩამოდით, თბილისში თამაში არ გვაწყობსო და სახტად დაგვტოვეს. არადა, ასე არ ვიყავით შეთანხმებული, თბილისში ჩამოსვლაზე თავიდანვე დაგვთანხმდნენ.

ახლა ერთი ვარიანტია, კახა კაჭარავას 19-წლამდელებს ვეთამაშოთ, მაგრამ საამისოდ ჯერ ნაკრების წევრების გამოძახებაა საჭირო, რასაც საკმაო დრო დასჭირდება.

**- თქვენი აზრით, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 19-წლამდელების მოხვედრა რეალურია?**

- რეალური მაშინ იქნება, დღესვე სრული შემადგენლობით რომ შევკრებილიყავით. სამი წამყვანი ფეხბურთელი თამაშის წინადღეს რომ შეგიერთდება, უკვე აღარც ვიცი, რა ვიფიქრო. მერე ვილაცა შემომიტრიალდება და იტყვის, ეს რა ნაკრებია ჰყოლიაო. არადა, კარგი ბიჭები გვყავს, მაგრამ ამ პრობლემებს რა მოვუხერხოთ?

**- მგზავრობის პრობლემა ახლა მაინც თუ მოგვარდა?**

- საბედნიეროდ, ახლა მაინც აღარ მოგვიწევს ზედ მატჩის წინადღეს 19-საათიანი მგზავრობა, ხორვატიაში სამი დღით ადრე, 22 მაისს გავემგზავრებით.

■ ■ ■

ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **დავით ლეგაშვილი** (უგუნდო), **ლევან ტყეშელაშვილი** („დინამო" თბილისი), **სანდრო ზურომშვილი** (ზუგდიდის "ბაია").

მცველები: **არჩილ ტვილდიანი**, **ნიკა სანდოხაძე**, **გიორგი გაგნიძე** (ყველა - „დინამო" თბილისი), **თედო გრიგალაშვილი**, **მალხაზ გაგოშიძე** (ორივე - „ზესტაფონი"), **კოტე ზარნაძე** („ბაია", ზუგდიდი), **ლევან გეგეჭკორი** („მერანი", მარტვილი), **გიორგი ჯგერენაია** („გაგრა"), **უჩა ბურძენაძე** (ცხინვალის "სპარტაკი").

ნახევარმცველები: **გიორგი პაპავა**, **ლაშა პარუნაშვილი**, **სანდრო რეხვიაშვილი** (ყველა „დინამო" თბილისი), **ვალერი ყაზაიშვილი** („ვიტესი", ჰოლანდია), **დავით გიგაური** (იაგელონია", პოლონეთი), **ნიკა ჭკუასელი** („გაგრა"), **ნოდარ კიკნაველიძე** („გაგრა").

თავდამსხმელები: **გიორგი ჭანტურია** ("ვიტესი", ჰოლანდია), **დავით სხირტლაძე** ("ორჰუსი"), **ოთარ კვერნაძე** ("ზესტაფონი"), **ავთო ენდელაძე** („ბაია", ზუგდიდი), **დავით გელაშვილი** („სპარტაკი", ცხინვალი)

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა.
პლეი ოფი. XII ტურის შეჯამება

# ვინ არის ლიდერი დამნაშავე?

საქართველოს ჩემპიონატის ამჟამინდელმა რეგლამენტმა რომ არ გაამართლა, ამას თვით მისი ავტორებიც კი აღიარებენ. დიდი იმედი გვქონდა, რომ მიმდინარე სეზონს ავად თუ კარგად, მშვიდობიანად ჩავამთავრებდით და მომავალი სეზონიდან ნორმალურ ფორმატს დავუბრუნდებოდით, მაგრამ თავი ისეთმა დილემამ იჩენა, ნაკლებად რომ წარმოვიდგენდით – ვინ ლიდერობს დღეისთვის უმაღლეს ლიგას და ვინ გახდება ჩემპიონი, თუ ორმა კლუბმა სეზონი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაასრულა?

გუშინაც და დღესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სატურნირო ცხრილი შემოგთავაზეთ, სადაც პირველ ადგილზე "მეტალურგი" წერია, ხოლო მეორეზე – "ზესტაფონი". ერთი შეხედვით, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან უმაღლესი ლიგის დებულებით, ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში უპირატესობა იმ კლუბს ენიჭება, რომელსაც მოგებათა მეტი რაოდენობა აქვს.

ჩავიხედოთ ცხრილში – გამარჯვებათა გრაფაში "მეტალურგს" 15 უწერია, "ზესტაფონს" კი – 14.

სამაგიეროდ, "ზესტაფონის" ოფიციალურ საიტზე მოყვანილ ცხრილში პირველ საფეხურზე "ზესტაფონია", რასაც განმარტებაც მოსდევს: "მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში „ზესტაფონსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ სადღეისოდ ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ, საქართველოს 2011-2012 წლის XXIII ეროვნული ჩემპიონატის დებულების თანახმად, ჩემპიონატს ისევ იმერლები ლიდერობენ".

ახლა დებულების შესაბამის პუნქტებს გადავხედოთ:

## ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.4 უმაღლეს, პირველ და დუბლების ჩემპიონატში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

4.4.1. ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

4.4.2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

4.4.3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4.4.4. ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.5. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.6. ფეარ-ფლეის შედეგები (ყველა მატჩზე დელეგატის მიერ შევსებული გუნდებისა და მოთამაშეების ფეარ-ფლეის პრინციპების შეფასების გათვალისწინებით).

4.4.7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებლიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

როგორც ხედავთ, ჩამონათვალში პრიორიტეტული ადგილი უკავია ჩემპიონატში მოგებათა მეტ რაოდენობას და არ არის დაკონკრეტებული, მთლიანი ჩემპიონატი იგულისხმება თუ მხოლოდ ზედა რვა გუნდს შორის დაგროვილი ქულათა რაოდენობა. რადგან დოკუმენტში განმარტება არ არის მოცემული, წესით, მთლიანი ჩემპიონატი უნდა ვიგულისხმოთ, სადაც "ზესტაფონმა" 22-ჯერ გაიმარჯვა, "მეტალურგმა" კი 17-ჯერ. "ზესტაფონის" ვებგვერდიც ცხრილის შედგენისას, როგორც ჩანს, სწორედ ამ ლოგიკით ხელმძღვანელობს.

თუმცა მნიშვნელოვანი პუნქტების ჩამონათვალს მხოლოდ დებულებაში არ ვხვდებით. გუშინ მოვიპოვეთ წერილი, რომელიც სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებამ უმაღლესი ლიგის კლუბებს 15 მარტს, ანუ პლეი ოფისა და პლეი აუტის დაწყებამდე დაუგზავნა.

## უმაღლესი ლიგის კლუბებს

საქართველოს 2011-12 წ.წ. ეროვნული ჩემპიონატის დებულების 3.3 და 4.4 მუხლების განმარტება

უმაღლესი ლიგის 1-8 ადგილებზე გასულ გუნდებს მეორე ეტაპზე გადაჰყვებათ პირველ ეტაპზე ერთმანეთში ნათამაშევი მატჩების შედეგები (თამაში, მოგება, ფრე, წაგება, ბურთების სხვაობა და ქულები).

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა 1-8 ადგილების საბოლოო ცხრილის შედეგების შესაბამისად. ჩემპიონატის დებულების 4.4.1., 4.4.2., 4.4.3., 4.4.4., 4.4.5., 4.4.6 და 4.4.7 მუხლების მიხედვით.

**ნოდარ კაკულია**
საშეჯიბრო
განყოფილების უფროსი


საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION
76 a Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 322912650. 995 322912670.
Fax: 995 322915995. E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge

93/188
15.03.2012

უმაღლესი ლიგის კლუბებს

საქართველოს 2011-12 წ.წ. ეროვნული ჩემპიონატის დებულების 3.3. და 4.4. მუხლების განმარტება

უმაღლესი ლიგის 1-8 ადგილებზე გასულ გუნდებს მეორე ეტაპზე გადაჰყვებათ პირველ ეტაპზე ერთმანეთში ნათამაშევი მატჩების შედეგები (თამაში, მოგება, ფრე, წაგება, ბურთების სხვაობა და ქულები).
თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა 1-8 ადგილების საბოლოო ცხრილის შედეგების შესაბამისად ჩემპიონატის დებულების 4.4.1., 4.4.2., 4.4.3., 4.4.4., 4.4.5., 4.4.6. და 4.4.7. მუხლების მიხედვით.

ნოდარ კაკულია
საშეჯიბრო განყოფილების უფროსი

ამ წერილმა კი საქმის ვითარება, შესაძლოა, რადიკალურად შემოაბრუნოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სატურნირო ცხრილში ადგილების განსაზღვრისას სწორედ ამ განმარტებით ხელმძღვანელობს. მეორე მხრივ, საკითხავია, მოდის თუ არა წინააღმდეგობაში ეს განმარტება თვით დებულებასთან – ფეხბურთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ არა.

"ზესტაფონისგან" ამ საკითხზე კომენტარი ჯერ ვერ მივიღეთ, თუმცა კლუბის საიტზე მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ "ზესტაფონი" იურიდიული ძალის მქონედ მხოლოდ დებულებას მიიჩნევს და არა ჩემპიონატის მსვლელობისას გაკეთებულ განმარტებას. ცნობისთვის, განმარტება სფფ-ის აღმასკომს არ მიუღია და შეიძლება, "ზესტაფონისთვის" ესეც ხელმოსაჭიდ არგუმენტად იქცეს, ჩემპიონატის დებულება კი, ბუნებრივია, აღმასკომის მიერაა დამტკიცებული.

"ზესტაფონი", ჯერჯერობით, ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილს ღიად არ აპროტესტებს და ალბათ, ბოლო ორ ტურში განვითარებულ მოვლენებს დაელოდება – თუ რუსთაველებმა და ზესტაფონელებმა ჩემპიონატი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრეს, დიდ დავიდარაბას მერე უნდა ველოდოთ.

ახლა კი იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ ან ერთი და ან მეორე თანალიდერი ჩემპიონი ისე გახდება, რომ მდევარს ქულათა რაოდენობით გაუსწრებს და დამატებითი მაჩვენებლების დათვლა საჭირო არ გახდება, თორემ ისედაც არცთუ მშვიდად მიმდინარე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ალბათ, ისეთი აურზაურის მომსწრენი გავხდებით, ქართული ფეხბურთის იმიჯზე დადებითად რომ ვერაფრით იმოქმედებს.

თუ ბოლო ორ ტურში განვითარებულმა ამბებმა ამ თემას აქტუალობა არ დააკარგვინა, ბუნებრივია, "ლელო" მოვლენათა განვითარებას მიჰყვება და კომპეტენტურ სპეციალისტთა მოსაზრებებსაც გაგაცნობთ.

■ ■ ■

შექმნილი არასასიამოვნო სიტუაციის ფონზე განვლილი ტურის პერიპეტიების განხილვას აზრი აღარც აქვს, ამიტომაც უმთავრეს მოვლენებს ძალიან მოკლედ გაგახსენებთ.

■ "ტორპედომ" და "მეტალურგმა" ქუთაისში ქულები გაიყვეს, რითაც უკმაყოფილოები არც მასპინძლები დარჩნენ და არც სტუმრები – რუსთაველებმა ოფიციალურ ცხრილში ლიდერობა შეინარჩუნეს, ქუთაისელებმა კი მესამე პოზიცია გაიმყარეს და ევროპის ლიგის საგზურამდე, ფაქტობრივად, აღარაფერი აშორებთ;

■ "ზესტაფონმა" შინ "ბაიას" დამაჯერებლად სძლია და "მეტალურგს" ქულებით გაუთანაბრდა;

■ "დინამომ" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია და ფოთში წაგებით საპრიზო სამეულს უიმედო დისტანციაზე დაშორდა;

■ "დილამ" მარტვილში გამარჯვებით მეოთხე ადგილზე დამკვიდრებისა და ევროპის ლიგის საგზურის დაბევების რეალური შანსი გაიჩინა;

■ "ჩიხურამ" მცხეთაში "ვიტ ჯორჯიას" ძლევით მხოლოდ უმაღლესი ლიგის საგზური კი არა, პლეი აუტში პირველობაც გაინაღდა;

■ "ვიტ ჯორჯიამ" - საშინაო მარცხით, "გურიამ" კი ასევე მშობლიურ კედლებში ვერმოგებით სატურნირო მდგომარეობა გაირთულეს, მაგრამ უმაღლესში თამაშის მაინც ნორმალური პერსპექტივა აქვთ;

■ პლეი აუტში, "სიონი", ჯერჯერობით, მეექვსეა, მაგრამ ბოლო ორ ტურში უკვე გავარდნილებს, "გაგრასა" და "მერცხალს" ხვდება და შესაბამისად, ოთხეულში დამკვიდრების მაინც კარგი შანსი აქვს;

– უმაღლესი ლიგის კიდევ ორ პრეტენდენტს, "სპარტაკსა" და "ბათუმს" რთული კალენდარი დარჩათ, მაგრამ უშანსოდ არც ისინი არიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## II ეტაპის XII ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 26 | 15 | 4 | 7 | 35 | 27 | 49 |
| 2 | ზესტაფონი | 26 | 14 | 7 | 5 | 47 | 27 | 49 |
| 3 | ტორპედო | 26 | 12 | 6 | 8 | 29 | 23 | 42 |
| 4 | დილა | 26 | 10 | 7 | 9 | 35 | 27 | 37 |
| 5 | დინამო | 26 | 9 | 10 | 7 | 40 | 32 | 37 |
| 6 | კოლხეთი | 26 | 7 | 8 | 11 | 24 | 37 | 29 |
| 7 | ბაია | 26 | 5 | 7 | 14 | 24 | 41 | 22 |
| 8 | მერანი | 26 | 6 | 3 | 17 | 31 | 51 | 21 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 12 | 8 | 2 | 2 | 24 | 10 | 26 |
| 2 | ვიტჯორჯია | 12 | 6 | 2 | 4 | 16 | 9 | 20 |
| 3 | გურია | 12 | 5 | 5 | 2 | 18 | 18 | 20 |
| 4 | სპარტაკი | 12 | 5 | 3 | 4 | 15 | 13 | 18 |
| 5 | ბათუმი | 12 | 5 | 3 | 4 | 13 | 12 | 18 |
| 6 | სიონი | 12 | 4 | 6 | 2 | 18 | 11 | 18 |
| 7 | გაგრა | 12 | 2 | 4 | 6 | 11 | 18 | 10 |
| 8 | მერცხალი | 12 | 0 | 1 | 11 | 2 | 26 | 1 |

*შენიშვნა: ცხრილები მომზადებულია www.gff-ge-ს მიხედვით*

**მომდევნო ტური**
**16 მაისი, ოთხშაბათი**
მერანი-კოლხეთი
დილა-ზესტაფონი
ბაია-ტორპედო
მეტალურგი-დინამო

**მომდევნო ტური**
**17 მაისი, ხუთშაბათი**
გურია-მერცხალი
ბათუმი-ვიტ ჯორჯია
ჩიხურა-სპარტაკი
სიონი-გაგრა

სიტუაცია

# ბაია მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა

## ვინ შეცვლის ტყებუჩავას?

**გოჩა ტყებუჩავა ზუგდიდის "ბაიას" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. გუნდი ბოლოსწინა ტურში ქუთაისის "ტორპედოსთან" შეხვედრისთვის ემზადებოდა, როდესაც ფეხბურთელები კრებაზე დაიბარეს და მათდა მოულოდნელად, ტყებუჩავამ გადადგომის შესახებ აცნობა.**

**როგორც გვითხრეს, სეზონის ბოლომდე დარჩენილ ორ ტურში "ბაიას" ტყებუჩავას თანაშემწე ელგუჯა ქომეთიანი მოამზადებს და შესაძლოა, მომავალ სეზონშიც მთავარი მწვრთნელის პოსტზე დააბრუნონ. შეგახსენებთ, რომ ქომეთიანი "ბაიას" 2010-2011 წლებში თავკაცობდა, შემადგენლობას საუცხოოდ იცნობს და მისი დამსახურებაა, გუნდში ბევრი ნიჭიერი, იმედისმომცემი ფეხბურთელი რომ დაწინაურდა.**

**ინფორმაცია ელგუჯა ქომეთიანთან გადავამოწმეთ:**

- დიახ, ტყებუჩავა მართლაც გადადგა, რაც ჩემთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. წასვლა თავად გოჩამ გადაწყვიტა.

**- რა გახდა ამის მიზეზი, გუნდს კვლავ ფინანსური პრობლემები შეექმნა?**

- ეს არაფერ შუაშია, ხელფასები და პრემიები დროულად რიგდება. საბედნიეროდ, ამ მხრივ ვითარება საკმაოდ ნორმალურია, უბრალოდ, გოჩამ ასე გადაწყვიტა. მაგრამ სიმართლე გითხრათ, მისი ნაბიჯი ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თბილისში ვიყავი და უკან გამობრუნებულს ასეთი ამბავი დამხვდა.

**- მთავარი მწვრთნელის მოვალეობას თქვენ შეასრულებთ?**

- ჩემთვის არავის უთქვამს, მთავარი მწვრთნელი გახდი და გუნდი ჩაიბარეო. უბრალოდ, სეზონის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და ვალდებული ვარ, ბიჭები მოვამზადო და მოედანზე გავიყვანო.

**- აბა ვინ შეცვლის ტყებუჩავას?**

- ეს ჯერ ჩვენთვის უცნობია.

■ ■ ■

დავუკავშირდით თავად გოჩა ტყებუჩავას, რომელმაც "ბაიას" მთავარ მწვრთნელად მეორე ეტაპის დაწყებამდე დანიშნეს და პოსტზე მხოლოდ ხუთი თვე იმუშავა. მან "ბაიადან" წასვლის მიზეზებზე ძალზედ მოკლე კომენტარი გააკეთა: *"რატომ წავედი? მივიჩნიე, რომ ჩემს მუშაობას აზრი აღარ ჰქონდა. პრობლემები ყველა კლუბშია, მაგრამ მივხვდი, რომ ასე მუშაობას ველარ გავუძლებდი".*

არ დადასტურდა გავრცელებული ხმები, თითქოს, "ბაიას" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია ჩაიბარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ლეგიონი

# ცხადაძემ გვერდში ქართველები ამოიყენა

## გიორგი ადამია პლუს ალეკო რეხვიაშვილი



გიორგი ადამია

დიდი ალბათობაა, რომ **ალეკო რეხვიაშვილი** ბაქოს "ინტერის" სპორტულ დირექტორად დაინიშნოს. მას შემდეგ, რაც **კახა ცხადაძემ** აზერბაიჯანულ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა, "ინტერის" პრეზიდენტმა **გეორგი ნიკოლოვმა** სრული კარტბლანში მისცა, ბაქოელთა მთავარმა მწვრთნელმა კი კლუბში საკადრო ცვლილებების გატარება დაიწყო.

უპირველესად, მან მუშაობა რეხვიაშვილს შესთავაზა. საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ლატვიაში თამაშობდა, იყო რიგის "სკონტოს" კაპიტანი, კარიერის დასრულების შემდეგ კი საფეხბურთო აგენტი გახდა.

რეხვიაშვილი ბოლოს რიგის "ოლიმპის" გენერალური დირექტორი იყო. ეს გუნდი გასული სეზონის დასასრულს დაიშალა. ალეკოს ჰქონდა მიწვევები სხვა კლუბებიდანაც, რადგან მას წესიერი და აზრიანი პიროვნების რეპუტაცია ჩამოუყალიბდა. ჩვენი ცნობით, ცხადაძის წინადადებამ და ქართველებთან ერთად მუშაობის პერსპექტივამ დააინტერესა და მცირე ხნის წინ ბაქოში მოსალაპარაკებლად იმყოფებოდა.

თუმცა, როდესაც ამ საკითხზე კომენტარისთვის დავუკავშირდით, პორტუგალიაში იმყოფებოდა და დალაპარაკება ვერ მოხერხდა.

კიდევ ერთი ქართული შენაძენი – "აზერისპორტის" ცნობით, **გიორგი ადამიამ** აგდამის "ყარაბახთან" კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვა, გუნდის ხელმძღვანელობას დაემშვიდობა და კარიერას ცხადაძის გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით გააგრძელებს.

ადამია "ინტერისთვის" უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია, რადგან აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერები

# თარხნიშვილი იაგელონიაში, ტულუში კარპატიში?

ქართულ საფეხბურთო ბაზარზე ცნობილი ჩეხი საფეხბურთო აგენტის, **დალიბორ ლაჩინას** პარტნიორი **სერგო ქუთათელაძეა**. მისი მონაწილეობით ბოლო დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა და ახლაც საინტერესო მოლაპარაკებას აწარმოებს.

*"ძალიან დიდი მოთხოვნაა თორნიკე თარხნიშვილზე. ქუთაისის "ტორპედოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველით პოლონური "იაგელონია", ლვოვის "კარპატი" და უჟგოროდის "ზაკარპატია" დაინტერესდნენ. ჯერ კლუბების წარმომადგენლები დამიკავშირდნენ, ცნობილი პოლონელი აგენტი დარეკ მროზი კი 14 აპრილს გორში "დილასა" და ქუთაისის "ტორპედოს" შეხვედრას საგანგებოდ თორნიკეზე დასაკვირვებლად დაესწრო.*

მართალია, იმ დღეს ძალიან კარგად არ უთამაშია, მაგრამ მენეჯერს მაინც მოეწონა, ეტყობა, სტაბილური ფეხბურთელიაო. ამის შემდეგ უცებ პოლონურ გაზეთში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ "იაგელონიას" თარხნიშვილის აყვანა სურდა. მერე კლუბის წარმომადგენელი დამიკავშირდა და ფეხბურთელთან მოლაპარაკების დაწყების მზადყოფნა გამოთქვა და სატრანსფერო თანხით დაინტერესდა.

როგორც ვიცი, თარხნიშვილისადმი ინტერესი თბილისის "დინამოსაც" ჰქონდა, მაგრამ ამ ეტაპისთვის, მისი პოლონეთში გამგზავრება უფრო რეალურია და ტრანსფერი 90 პროცენტით გადაწყვეტილია. მთავარია, კლუბი და თორნიკე კონტრაქტის პირობებზე შეთანხმდნენ.

*ასეთივე ვითარებაა ფოთის "კოლხეთის" თავდამსხმელის, ბექა ტულუშის შემთხვევაში. ბექას მიმართ ინტერესი გამოხატეს ლვოვის "კარპატმა" და უჟგოროდის "ზაკარპატიემ". ეს უკანასკნელი პირველ ლიგაშია, მაგრამ, ფაქტობრივად, პრემიერლიგაში გადმოვიდა და მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, იქ თამაში ფეხბურთელს წაადგება. მით უფრო, რომ ლაშა ჯაკობიაა იქ გუნდის ლიდერი და გავლენიანი პიროვნება. ახალწვეულისთვის ეს ბევრს ნიშნავს, რადგან გარემოზეა დამოკიდებული, გამოავლენს თუ არა საკუთარ შესაძლებლობებს.*

*აქამდე 'ზაკარპატიე" უფრო აქტიურობდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ტულუშის "კარპატიში" გადასვლა უფრო რეალურია. უკრაინელთა ინტერესი განსაკუთრებით საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ გაიზარდა, როდესაც ბექამ თბილისის "დინამოს" კარი ორჯერ აიღო. დღეს კიდევ ერთხელ დამიკავშირდნენ და ალბათ, 25 მაისს ორივეს გამგზავრება მოუწევს. ვიმეორებ, მთავარია, პირობებზე შეთანხმდნენ"* – ამბობს ქუთათელაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



ბექა ტულუში

ფოტო: www.fcdinamo.ge



შოთა არველაძე

# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ლელოს ბიბლიოთეკა

# ტრაბზონი 1995-1996 – გოლის მეფე

გაგრძელება. დასაწყისი: ლელო №110 (13716)

გუნდი უკვე კარგად იყო შეთამაშებული. ჩვენც ჩინებულად შევეწყვეთ „ტრაბზონს". დადგა დრო, სერიოზულ წარმატებაზე, ანუ თურქეთის ჩემპიონატზე გვეფიქრა.

კარგ ფორმაში ვიყავით, ხალხს უკვე ძალიან ვუყვარდით და ყველა იმას მეკითხებოდა, თურქეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდებოდი თუ არა. ეს საკითხი ძალიან აქტუალური გახდა. თუ შოთას ბომბარდირობა სურს, „ტრაბზონის" პენალტისტიც ის უნდა იყოსო. მაგრამ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში პირდაპირ განვაცხადე, — ბომბარდირი ისე გავხდები, ერთ პენალტსაც არ დავარტყამ-მეთქი.

ბომბარდირობა უპენალტოდ?! — ასეთი რამ თურქეთის ჩემპიონატზე მანამდე არ მომხდარა და ძალიან მინდოდა, რომ პირველად მე გამეკეთებინა. ბევრი კონკურენტი მყავდა: — ნიგერიელი **ამოკაჩი** და **ერთოღლუ** — „ბეშიქთაშიდან", **ჰაკან შუქური** და **გეორგე ჰაჯი** — „გალათასარაიდან", **ბალიჩი, აიკუტი** და **კოსტანდინოვი** — „ფენერბაჰჩედან", **ჰამი** — „ტრაბზონიდან".

...„კარადენის ფრტნასი"! — ქართულად ეს შავი ზღვის ქარიშხალს ნიშნავს და „ტრაბზონსპორის" მეორე სახელია. 1994-95 წლების სეზონში გუნდი ამ სახელს აშკარად ამართლებდა. შეტევაზე ქარიშხალივით მივქროდით, — 4:0, 5:0, — ჩვეულებრივი ანგარიში გახდა ჩვენთვის. არც სახელიან გუნდებს ედგათ კარგი დღე, — „ბეშიქთაშთან" 4:1-ით მოვიგეთ, ერთი გოლი მე გავიტანე, — ორი აჩიმ. „გალათასარაიც" ამავე ანგარიშით დავამარცხეთ. ორი ბურთი შევაგდე და ორი საგოლე გადაცემაც შევასრულე. „ტრაბზონმა" იმ ჩემპიონატში 112 გოლი გაიტანა და ზედიზედ 14 მატჩი მოიგო, რაც იმ დროისთვის თურქეთის რეკორდი იყო. თითქმის მთელი სეზონი პირველ ადგილზე ვიყავით, მაგრამ ბოლოში, ალბათ ღმერთი გაგვიწყრა, როცა ღმერთს რამე არ სურს, არასოდეს მოხდება!..

იმ სეზონში ულამაზესი გოლები გავიტანე. თითქოს ყველაფერი თავისით მიდიოდა, თამაშებს ადვილად ვიგებდით, ჩემპიონატის არც ერთი მატჩი არ გამომიტოვებია და ოცდათოთხმეტივე მაღალ დონეზე ჩავატარე. თურქეთში გატარებული წლები ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის და როგორც პიროვნებისთვის. ბევრი რამ ვისწავლე და ბევრი კარგი მოგონება დამრჩა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი იყო. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ რაღაცნაირად ვგრძნობდი, რომ სულ ასე არ იქნებოდა, რაღაც ცუდი მოხდებოდა, რაღაც ჩაგვიმწარებდა ამ ბედნიერებას. ერთ-ერთი გასვლითი მატჩის წინ — „ბურსასთან", კისერი გამიშეშდა და თამაშის წინა დღეს, **შენოლ გიუნეშმა** დამასვენა, — არ ივარჯიშო და მატჩის დღეს იქნებ უკეთესად იყოო. ბაზაზე ვარ, მასაჟს ვიკეთებ და რას ვხედავ, — მეორე მასაჟისტს აჩი ხელში აყვანილი მოჰყავს!.. მაშინვე ცუდი მიგრძნო გულმა, აჩი გაფითრებული იყო.

— **თოლუნაიმ** „პადკატი" გამიკეთა, მუხლი ძალიან ცუდად ჩამეკეცაო... მგონი ჯვარედინა იოგი კიდევ გავიწყვიტე და თავსაც მოვიკლავო!..

აჩის ეს სიტყვები არასდროს დამავიწყდება, გული დამეთუთქა. ისიც კი არ შემეძლო, — მასთან დავრჩენილიყავი... 2-3 საათში ბურსაში მივფრინავდით. თუ ნამდვილი პროფესიონალი ხარ, ყველანაირ სენტიმენტს უნდა მოერიო, მაშინაც კი, როცა საქმე აჩის ეხება. გზაში, თუ ვინმე ვიცოდი, ვისაც ჯვარედინა იოგზე ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, ყველას დავურეკე. ყველაფერს დაწვრილებით ვეკითხებოდი და აჩის მონაყოლს ვადარებდი. მოკლედ, ფსიქოლოგიურად განადგურებული ვიყავი. აჩიმ ჯვარედინა იოგი მეორედ გაიწყვიტა!.. მისი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა! იმ დროისთვის ჩემპიონატში 16 გოლი მქონდა გატანილი, აჩის — 12... ჯემალმა ულვაში მოუშვა, — სანამ შენ და აჩი ერთად არ ითამაშებთ, მანამდე არ გავიპარსავო.

ბურსაში ჰამის გოლით გავიმარჯვეთ და მეორე წრეში საჩემპიონო რბოლას ჩვენ და „ფენერი" შემოვრჩით. „ფენერს" ბრაზილიელი პერეირა წვრთნიდა, ვისი ხელმძღვანელობითაც ბრაზილია 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. პერეირა „ფენერს" სამი მცველით ათამაშებდა, წინ ამოწეული ლიბეროთი, რაც თურქულ ფეხბურთში სიახლე იყო. ასეთი ტაქტიკა მათთვის ეფექტური გამოდგა. პირველ წრეში მის გუნდთან სტამბოლში — 1:3 წავაგეთ.

ჩემპიონატის დასრულებას ხუთი ტური აკლდა, „ფენერს" ოთხი ქულით ვუსწრებდით. აჩი გერმანიაში იყო, სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და იქიდან მამხნევებდა.

ჩემპიონატის ცხრილის ბოლოში მოყურყუტე „ვანსპორს" ვმასპინძლობდით და ჩვენგან ყველა დიდი ანგარიშით გამარჯვებას ელოდა. ბურთი 13-ჯერ (!) გავარტყით „ვანსპორის" კარის ძელს. მეტოქემ კი კონტრშეტევაზე გამოგვიჭირა და 0:1 წავაგეთ. „ფენერთან" სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა. მომდევნო ტურში ლეო ბენჰაკერის გაწვრთნილ „ისტამბულსფორს" 4:1 მოვუგეთ! მე ჰეთ-თრიკი შევასრულე. ამის შემდეგ კი იყო თამაში, რომელსაც მთელი თურქეთი დიდი ხანი ელოდა.

თამაშამდე ერთი კვირით ადრე უკვე საგიჟეთი იყო ტრაბზონში. „ფენერს" ერთი ქულით ვუსწრებდით და ფრეც კი ნორმალური შედეგი იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ფრეზე არავინ ფიქრობდა, მხოლოდ და მხოლოდ მოგება! 19 წლის შემდეგ „ტრაბზონს" პირველად ჰქონდა ჩემპიონობის დიდი შანსი. ტრაბზონში, მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, უკვე ლურჯ-ყვითლად გაწყობილ კუბოს მაკეტებს დააქროლებდნენ... ლურჯი და ყვითელი ხომ „ფენერის" ფერებია. გამოფინეს კლუბის პრეზიდენტ, **ალი შენის** საშინელი კარიკატურებიც. ტრაბზონელები იქადნიდნენ, — „ფენერს" ჯოჯოხეთს მოვუწყობთო. ეს ყველაფერი ჩვენზე — „ტრაბზონის" ფეხბურთელებზეც მოქმედებდა. ზედმეტ დაძაბულობას ვგრძნობდით, ფსიქოლოგიურად ვიფიტებოდით, მაგრამ რაღაცნაირი გრძნობა თუ ინტუიცია გამიჩნდა, — თუ წავაგებდით, ჯოჯოხეთი უკვე ჩვენ გველოდა.

საღამოს რვა საათი, გადაჭედილი სტადიონი, მხოლოდ ჩვენი ფანების ხმა ისმის...

— „სიქერის ფენერბაჰჩე"! — (ჩვენ გავჟიმავთ „ფენერს"!) — ამას ყვიროდა ოცდარვა ათასი კაცი სტადიონზე და დანარჩენი 200 ათასი კი ტელევიზორთან.

27-ე წუთი, ბურთი საჯარიმოში მივიღე, ერთი შეხებით შემოვტრიალდი და ბურთი **აბდულას** დავუგორე, აპომ (როგორც მას თანაგუნდელები ვეძახდით) ჩინებულად დაარტყა და 1:0!.. აბდულას გოლს ისეთი გრუხუნი მოჰყვა, მეგონა, სტადიონი ტომი და ჯერის სახლივით დაიკეცებოდა ან ტრიბუნები ჩამოინგრეოდა.

ასე დასრულდა პირველი ტაიმი... აღარ მახსოვს, რა გვითხრა გიუნეშმა შესვენებაზე, ყველანი კმაყოფილები ვიყავით. მეორე ტაიმის 75-ე წუთამდე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. „ფენერს" შეტევების ძალა არ ჰქონდა და ჩვენ კართან საგოლე მომენტები არ იქმნებოდა. 75-ე წუთზე კი „ტრაბზონის" საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა... კარამდე ოციოდე მეტრი იქნებოდა. ცოცხალ კედელში ჩავდექი და როცა „ფენერის" კაპიტანმა — **ოუზმა,** ჯარიმა დაარტყა, უკან მოხედვა არ მინდოდა, რაღაცნაირად ვიგრძენი, რომ ბურთი კარში აღმოჩნდებოდა და ასეც მოხდა — 1:1!



შოთა ტრაბზონში...

ფოტო წიგნიდან „გუშინ"...

დავიბენით, თუმცა ორ წუთში შოკმა გადაიარა და ისევ შეტევაზე გადავედით. თამაში კვლავ ჩვენი კონტროლით მიდიოდა. გოლის გატანა გვინდოდა, მაგრამ 84-ე წუთზე კონტრშეტევა გაგვეპარა და „ფენერის" თავდამსხმელმა — **აიკუტ ქოჯამანმა** საქმე მოგვითავა — 1:2! ქოჯამანი თურქულ ენაზე ძალიან დიდს ნიშნავს — „ნასილ კოიდუ აკუტ ქოჯამან" — (როგორ შეუდო ძალიან დიდიო...) — თარგმანი, საკმაოდ არაკორექტულად ჟღერს, — ასე შეგვამკო „ფენერის" მცირერიცხოვანმა გულშემატკივარმა. ამ სიტყვებისთვის რაც დაემართებოდათ, ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს...

მატჩი მალევე დამთავრდა... ჩვენი გულშემატკივრები გაოგნებულნი იყვნენ. ზოგს გულმა უმტყუნა და საავადმყოფოში გააქანეს, ზოგიც ცაში იყურებოდა და პასუხს ღმერთისგან ელოდა, რატომ მოხდა ასეაო... მე კი „ფენერის" კარის ძელთან ჩავჯექი და დაახლოებით ოცი წუთი ასე ვიყავი, მერე თანაგუნდელები მოვიდნენ და გასახდელში შემიყვანეს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური იყო დარჩენილი. „ფენერმა" მთელი ჩემპიონატის განმავლობაში პირველად გადაგვისწრო და მას ველარ დავეწიეთ. დარჩენილ თამაშებს „ფენერიც" მოიგებდა და ჩვენც.

გაგრძელება იქნება

ევრო 2012 ჩეხეთის ნაკრები

# ჩეხეთიც დაირაზმა!

## ბილეკს მხოლოდ ერთი კითხვის ნიშანი აქვს



ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიხალ ბილეკი და ლიდერი ტომაშ როსიცკი

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ჩეზარე პრანდელის** შემდეგ, გუშინ ევროპიც ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა ჩეხეთის ნაკრების დამრიგებელმა **მიხალ ბილეკმაც** დაასახელა. თუმცა, მის სიას გაფართოებულს ვერც ვუწოდებთ, რადგან 24 ფეხბურთელი ჩამოთვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ 29 მაისამდე მხოლოდ ერთ მოთამაშეზე უნდა თქვას უარი და რაკი ამ სიაში 4 მეკარეა, ცხადია, რომ ის ერთი უილბლო სწორედ მეკარე იქნება.

„ჰამბურგის" კიპერი **იაროსლავ დრობნი** სიაში კი არის, მაგრამ მისი გამგზავრება ევროპის ჩემპიონატზე კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან ტრავმირებულია და ექიმები ჯერჯერობით ვერ ასკვნიან, მოახერხებს თუ არა ივნისამდე გამოჯანმრთელებას. სწორედ ამიტომ გამოიძახა ბილეკმა „ტეპლიცეს" გოლკიპერი **ტომაშ გრიგარი** – თუ დრობნი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, პოლონეთსა და უკრაინაში სწორედ გრიგარი წავა.

*„საუკეთესოების შერჩევა ძალიან გამიჭირდა, რადგან არჩევანი მართლაც დიდი მქონდა. ვფიქრობ, არჩევანი მართლა საუკეთესოებზე შევაჩერე, რომლებიც ჩეხეთის ნაკრებისთვის თავს არ დაზოგავენ,"* - განაცხადა ბილეკმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე, *- განსაკუთრებით რთული იყო არჩევანის გაკეთება ზდენეკ პოსპეხსა და ფრანტიშეკ რაიტორალის, მარეკ სუხისა და იან რაინოხს, ასევე დანიელ კოლარჟსა და ირჟი შტაინერს შორის."*

26 მაისს ჩეხეთის ნაკრები ისრაელთან პირველ ტესტ-მატჩს გამართავს, 1-ელ ივნისს კი პრალაში უნგრეთის ნაკრებთან ექნება რეპეტიცია. შეგახსენებთ, რომ ჩეხები A ჯგუფში, რუსეთთან, საბერძნეთთან და მასპინძელ პოლონეთთან ერთად მოხვდნენ. ჩეხეთის ნაკრების ფაქტობრივი საბოლოო სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: **პეტრ ჩეხი (ჩელსი), იაროსლავ დრობნი (ჰამბურგი), ტომაშ გრიგარი (ტეპლიცე), იან ლაშტუვკა (დნეპრი).**

მცველები: **რომან ჰუბნიკი (ჰერტა), მიხალ კადლეცი (ლევერკუზენი), ტომაშ სივოკი (ბეშიქთაში), დანიელ პუდილი (ჩეზენა), დავიდ ლიმბერსკი (ვიქტორია), ფრანტიშეკ რაიტორალი (ვიქტორია), თეოდორ გებრე სელასიე (სლოვანი), მარეკ სუხი (სპარტაკი).**

ნახევარმცველები: **ტომაშ როსიცკი (არსენალი), პეტრ ირჟაჩეკი (ვოლფსბურგი), დანიელ კოლარჟი (ვიქტორია), ვაცლავ პილარჟი (ვიქტორია), იან რეზეკი (ანორთოსისი), იაროსლავ პლაშილი (ბორდო), მილან პეტრჟელა (ვიქტორია), ტომაშ ჰიუბშმანი (შახტარი).**

თავდამსხმელები: **მილან ბაროში (გალათასარაი), ტომაშ პეკჰარტი (ნიურნბერგი), დავიდ ლაფატა (იაბლონეცი), ტომაშ ნეციდი (ცსკა).**

**გოტფრიდ ლენცი**

ხორვატიის ნაკრები

# ბილიჩი მოსკოვში მიდის

## ხორვატიას კი სტიმაჩი მიხედავს?

რამდენიმე დღის წინ, გაფართოებული შემადგენლობის დასახელებისას, ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმა** განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობას დატოვებს. გუშინ მან სამომავლო გეგმებიც გაახმაურა: ევრო 2012-ის შემდეგ ბილიჩი რუსეთის ორგზის ჩემპიონის, მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი გახდება.

*„მოსკოველებთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, რომელიც ძალაში ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე შევა,* - განაცხადა ბილიჩმა და იქვე დასძინა, *- მიხარია, რომ „ლოკომოტივის" სახით ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ გუნდს გავწვრთნი – ეს ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა."*

43 წლის ხორვატი სპეციალისტი „ლოკომოტივში" პორტუგალიელ **ჟოზე კოუკეიროს** შეცვლის, რომელიც მოსკოვურ კლუბს 2011 წლის ივლისიდან ავარჯიშებდა. გასულ სეზონში „ლოკომოტივმა" რუსეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა. ხორვატული პრესის ინფორმაციით, ხორვატიის ნაკრების დამრიგებლის პოსტზე სლავენ ბილიჩს ცნობილი ექს-ფეხბურთელი **იგორ სტიმაჩი** შეცვლის.



ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი სლავენ ბილიჩი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მოსკოვის ლოკომოტივს ჩაიბარებს

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# კლოზე ნაკრებს ტრავმით შეუერთდა



მიროსლავ კლოზე ტრავმირებულია

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზე** სარდინიულ შეკრებაზე მყოფ ბუნდესგუნდს ტრავმირებული შეუერთდა. მირო პარასკევს „ლაციოს" ვარჯიშზე დაშავდა, რის გამოც იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში (3:1 ინტერთან) არ უასპარეზია. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად მძიმეა კლოზეს ტრავმა – გერმანიის ნაკრების სამედიცინო შტაბი მას ზუსტ დიაგნოზს ამ დღეებში დაუსვამს.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრები სარდინიულ შეკრებას შეთხელებული შემადგენლობით გადის, თუმცა დღეს ბუნდესგუნდს დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელები, **მატს ჰუმელსი, მარიო გიოტცე, მარსელ შმელცერი, სვენ ბენდერი** და **ილქაი გიუნდოგანი** შეუერთდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრები შეკრებას 17 ფეხბურთელით გააგრძელებს.

გაფართოებული შემადგენლობიდან **იოახიმ ლიოვის** გუნდს რვა ბაიერნელი, ასევე „რეალის" ფეხბურთელები, **მესუთ იოზილი** და **სამი ხედირა** აკლია. „ბაიერნს" შაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს, „რეალს" კი ყატარში სავალდებულო ტესტ-მატჩი დარჩა ჩასატარებელი.

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისის ნაკრები



როი ჰოჯსონს რთული დღეები უდგას

# სქოულზი მზადაა

## ფოსტერი უარს ამბობს, პარკერი – რისკავს

"გარდიანის" ცნობით, 37 წლის **პოლ სქოულზი** მზადაა, თუკი დაინტერესება **როი ჰოჯსონის** მხრიდანაც იქნება, ინგლისის ნაკრებთან ერთად ევრო 2012-ზე გაემგზავროს. გეტყვით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** ეწინააღმდეგება შეგირდის ამ იდეას. შეგახსენებთ, რომ 2010 წელს პოლს **ფაბიო კაპელოც** სთავაზობდა ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას, მაგრამ მაშინ ფეხბურთელმა უარი თქვა, რაც მოგვიანებით ინანა კიდეც. მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთს ხვალ ლონდონში შეხვდებიან და ალბათ იოლად შეთანხმდებიან. თუკი ეს ვერ მოხერხდა, მაშინ "ლომები" უკრაინა-პოლონეთში ვეტერანის გარეშე გაემგზავრება. მიზეზი მარტივია: ჰოჯსონი ოთხშაბათისთვის საბოლოო შემადგენლობის დასახელებას გეგმავს. აქვე შეგახსენებთ, რომ სქოულზის ანგარიშზე, ვინც ინგლისის ნაკრებში ბოლოს 8 წლის წინ, 2004 წლის ევროპირველობაზე ითამაშა, 66 თამაშია.

2011/12 წლების სეზონის მეორე ნახევარი მაღალ დონეზე ჩაატარა "ვესტ ბრომვიჩის" 29 წლის მეკარე **ბენ ფოსტერმა.** როი ჰოჯსონს იმედი ჰქონდა, რომ მიუხედავად ერთი წლის წინ გაკეთებული განცხადებისა, ინგლისის ნაკრებში აღარასოდეს ვითამაშებო, ის შეძლებდა ფეხბურთელის დარწმუნებას, რომ საერთაშორისო კარიერა განეახლებინა. *"რამდენიმე დღის წინ როი ჰოჯსონს პირისპირ ვესაუბრე. მან ნაკრებში დაბრუნება შემომთავაზა, რაზეც უარი ვთქვი. გულწრფელად ვამბობ, მირჩევნია, შვებულება სრულად გამოვიყენო და ის ჩემს შვილების გვერდით გავატარო, ვიდრე ნაკრებთან ერთად მოვემზადო ევროპის ჩემპიონატისთვის"*, – აცხადებს ფოსტერი.

დაბოლოს, ჰოჯსონს შესაძლოა ინგლისის ნაკრების ახალი კაპიტნის არჩევაზე ფიქრი მოუხდეს. საქმე ის არის, რომ **სტიუარტ პირსის** მიერ დანიშნულმა **სკოტ პარკერმა** "ფულჰემთან" პრემიერლიგის 38-ე ტურის შეხვედრამდე (2:0) საზარდულის ტრავმა მიიღო. ექიმები ჯერჯერობით ზუსტად ვერ ამბობენ, რამდენ დღეში შეძლებს ფეხბურთელი ვარჯიშის განახლებას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

### ოფიციალურად: რუსეთის კაპიტანი არშავინია

გუშინ, რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიკ ადვოკაატმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მისი გუნდის კაპიტანი **ანდრეი არშავინი** იქნება. შეგახსენებთ, რომ 30 წლის არშავინი თებერვალში „არსენალიდან" „ზენიტში" არენდით დაბრუნდა და რუსეთის ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა – „ზენიტის" ჩემპიონობა პირველ რიგში მისი დამსახურებაა.

### ალაბა: ბარსა? მიუნხენში ვრჩები!

ერთი კვირის წინ გავრცელდა ცნობები, რომ „ბარსელონა" „ბაიერნის" ახალგაზრდა ავსტრიელი მარცხენა მცველით, **დავიდ ალაბათი** დაინტერესდა. გუშინ ალაბამ ამ თემაზე კომენტარი გააკეთა.

*„მიუნხენში თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ და აქედან წასვლაზე არ ვფიქრობ. მეტიც: შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მომავალ სეზონშიც აუცილებლად „ბაიერნში" ვითამაშებ და ჩემი მიზანი გერმანიის ჩემპიონობა იქნება,"* - უთხრა ალაბამ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

კომენტარი გააკეთა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემაც:** *„ბარსელონას" პრეზიდენტი სანდრო როსელი ჩემი მეგობარია და რამე რომ იყოს, პირველ რიგში მე დამირეკავს. თუ ალაბათი დაინტერესდება, მაშინვე უარს ვეტყვი, რადგან დავიდი „ბაიერნის" მომავალია."*

### კიოლნი სტანისლავსკის ჩააბარეს

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „კიოლნის" მთავარ მწვრთნელად „ზანკტ პაულისა" და „ჰოფენჰაიმის" ყოფილი დამრიგებელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** დაინიშნა. სტანისლავსკი, რომელიც „ჰოფენჰაიმიდან" თებერვალში, სულ რაღაც 6-თვიანი მოღვაწეობის შემდეგ გაათავისუფლეს, „თხებში" **ფრანკ შეფერს** შეცვლის, რომელიც დროებითი მწვრთნელი იყო და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან ვერ იხსნა. მისი მიზანი „თხების" ელიტაში დაბრუნება იქნება.

### მილანმა მონტოლივო დაადასტურა

„მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ფიორენტინასა" და იტალიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **რიკარდო მონტოლივო** კარიერას „როსონერიში" გააგრძელებს. 27 წლის მონტოლივო მილანში ხვალ ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** მონტოლივო „სკუადრა აძურას" გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ნოვარასთან" მატჩში (2:1 „მილანის" სასარგებლოდ) **კევინ-პრინს ბოატენგი** დაშავდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია 25 წლის ნახევარმცველის ტრავმა.

**გოტფრიდ ლენცი**



რიკარდო მონტოლივო



ლივერპული

# ფასები არ გაიზრდება

“ლივერპულის” ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ 2012/13 წლებისთვის კლუბი არ აპირებს “ენფილდის” ბილეთების გაძვირებას. ეს ნიშნავს, რომ აწ დასრულებული სეზონის მსგავსად, A კატეგორიის ბილეთები 45-48 გირვანქა ეღირება, B კატეგორია - 42-44, C - 39-42. კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **იან ეირმა** განაცხადა: *“ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, რომ კლუბის კომერციული საქმიანობა და გულშემატკივრების ფინანსური ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაში ყოფილიყო. 2011 წელს ინფლაციის დონის გათვალისწინებით ფასები 20%-ით გავზარდეთ. წელს ჩვენ ისევ შევისწავლეთ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური ვითარება, ჩვენი კლუბის ფინანსური მდგომარეობა და მიუხედავად ფუნტი სტერლინგის 3,5%-იანი ინფლაციისა, გადავწყვიტეთ, ფასი აღარ გაგვეზარდა. გულშემატკივრები წელს არნახულად გვიჭერდნენ მხარს როგორც “ენფილდზე”, ისე გასვლით შეხვედრებშიც. გვინდა, ამ ნაბიჯით მათ მადლობა გადავუხადოთ”.*

“ლივერპულიდან” წამსვლელთა შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. ერთ-ერთი მათ შორის ჰოლანდიელი თავდამსხმელი **დირკ კუიტია**. 31 წლის ფეხბურთელს კარიერის გაგრძელების რამდენიმე წინადადება აქვს. თურქეთიდან მას ახლადგაჩემპიონებული “გალათასარაი” და მესამეადგილოსანი “ბეშიქთაში” იწვევენ, ჰოლანდიიდან – “ფეიენოორდი“. ეს უკანასკნელი დირკს სხვებთან შედარებით დაბალ ანაზღაურებას სთავაზობს, წელიწადში მილიონ ევროს, რის გამოც “დე კუიპის” მკვიდრები თავიდანვე აუტსაიდერებად იყვნენ მიჩნეულნი. “ჯერ 31 წლის ვარ. თუკი ჰოლანდიურ წინადადებას დავთანხმდები, ეს ნიშნავს, რომ ამჟამინდელი ხელფასის 80%-ით შემცირებას უნდა დავთანხმდე. 35-36 წლის რომ ვიყო და კარიერის მიწურული ახლოს იყოს, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ მე ჯერ კიდევ ენერგიიით სავსე ვარ და ფეხბურთის თამაში არ მომბეზრებია. ძლიერ ევროპულ კლუბში ამბიციური მიზნებისთვის საბრძოლველად მზად ვარ. ჩემით ინგლისური, გერმანული, ესპანური, პორტუგალიური და იტალიური კლუბები არიან დაინტერესებულნი. კარიერას ერთ-ერთ მათგანში გავაგრძელებ,” – განაცხადა ფეხბურთელმა.

“ლივერპულის” 27 წლის ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანი** ერთწლიანი იჯარით “მილანში” იყო მივლინებული. ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ “როსონერი” მის ტრანსფერს გამოისყიდის. *“ისლა დამრჩენია, დაველოდო, როგორ განვითარდება მოვლენები. “მილანის” კარი ჩემთვის ნახევრად ღიაა,”* – ამბობს ალბერტო. კლუბებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, თუკი აკვილანი სეზონში 25-ზე მეტ თამაშს ჩაატარებდა, “მილანს” ფეხბურთელის 6 მილიონ ფუნტად გამოსყიდვის ვალდებულება დაეკისრებოდა. ნახევარმცველმა სულ 23-ჯერ მოირგო შავ-წითელი ფორმა. **მასიმილიანო ალეგრი** აკვილანის მას მერე აღარ ათამაშებდა, როცა ის ზემოთ ხსენებულ 25-მატჩიან ზღვარს მიუახლოვდა. ასე რომ, აკვილანის ტრანსფერზე მოლაპარაკებები პრაქტიკულად თავიდან უნდა დაიწყოს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დირკ კუიტი ამბიციურ ევროპულ კლუბში გადასვლას გეგმავს

უიგანი

# კომპლიმენტი დონ რობერტოსთვის



რობერტო მარტინესს ლივერპულში დანიშვნის ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილავენ

“უიგანის” 38 წლის ესპანელი მთავარი მწვრთნელი **რობერტო მარტინესი** აცხადებს, რომ მისთვის დიდი პატივია, როცა მას რომელიმე ამბიციური კლუბის მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად ასახელებენ. მით უფრო, როცა ლაპარაკია, ისეთ ლეგენდარულ ორგანიზაციაზე, როგორიც “ლივერპულია“.

მარტინესის შეგირდებმა დიდებულად ჩაატარეს პრემიერლიგის ბოლო თვენახევრიანი მონაკვეთი და, ერთ დროს პრაქტიკულად უიმედო აუტსაიდერებად შერაცხილებმა, ჩემპიონატი მე-15 ადგილზე დაასრულეს. ჟურნალისტებმა კლუბის მფლობელ **დეივ უილანს** მიმართეს და ჰკითხეს, რა რეაქცია ექნებოდა, თუკი მისი გუნდის დამრიგებელს რომელიმე მდიდარი კლუბი მიიწვევდა. ბიზნესმენის თქმით, მას ესმის, რომ მარტინესით დაინტერესებულთა შორის სოლიდური სახელებიც შეიძლება ერიოს და თუკი რომელიმე მათგანი მას თავისთან უხმობს, ის ესპანელს წინააღმდეგობას არ გაუწევს. უილანის მიერ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ხმები, თითქოს მარტინესს “ლივერპულის” ბოსები **კენი დალგლიშის** შემცვლელად განიხილავენ. თავად სპეციალისტი პრესის მიერ აგორებულ ამბებს მშვიდად ხვდება. *“ლივერპულს” უკვე ჰყავს მწვრთნელი, ხომ არ ვცდები? ჩემთვის ეს დიდი კომპლიმენტია, რადგან ვფიქრობ, რომ როცა შენი და შენი ფეხბურთელების სამსახურით სხვები ინტერესდებიან, ესე იგი საქმეს მაღალ დონეზე უძღვები. მე არ შემიძლია წინააღმდეგობა გავუწიო ჭორების გავრცელებას, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, რომ მსიამოვნებს, როცა ჩემზე ასეთ რამეებს წერენ. ფეხბურთი და ჭორები განუყოფელი ცნებებია. მას ორ კატეგორიად დავყოფდი, კარგებად და უარყოფითებად. ცუდია, როცა რამდენიმე წაგების შემდეგ მწვრთნელის გუნდიდან გაშვებაზე იწყებენ წერას, მაგრამ როცა კლუბის სახელი დადებითი კონტექსტით ხვდება გაზეთების პირველ გვერდებზე, ყოველთვის საამაყოა. “უიგანში” აუცილებლად უნდა დავრწმუნდეთ, რომ მარტო ფეხბურთში კი არა, მოედანს მიღმაც დიდი პროგრესი განვიცადეთ. ამ ეტაპზე მე მხოლოდ ეს მაინტერესებს. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე მუხლჩაუხრელ შრომას ვაგრძელებ, რათა პრეზიდენტს “უიგანში” ჩატარებული სამუშაოებით სიამაყის განცდა ჰქონდეს”,* – განუცხადა რობერტო მარტინესმა “სქაი სპორტს”.

პარი სენ-ჟერმენი

# კარლეტო პატოს არ ეშვება

საფრანგეთის 37-ე ტურის შემდეგ “პარი სენ-ჟერმენსა” და “მონპელიეს” შორის 3-ქულიანი სხვაობა შენარჩუნდა. ლიგა 1-ის ლიდერებს ბოლო ტურში გასვლითი შეხვედრები ელით. პირველადგილოსანს გასვლაზე “ოსერთან” მოუწევს დაპირისპირება. უკანასკნელი ელიტიდან უკვე გავარდნილია და მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის თუ გაირჯება. რაც შეეხება “ლურჯ-წითლებს”, მათ “ლორიანთან” ელით თამაში. ელზასელები 39 ქულით მე-14 ადგილზე არიან, თუმცა გასავარდნ ზონას სულ რაღაც 1 ქულით უსწრებენ და ბუნებრივია, ქულის ასაღებად მაქსიმალურად დაიხარჯებიან. ასე რომ, “პარი სენ-ჟერმენის” მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ალბათ მოუწევთ “მონპელიეს” წარმომადგენელთათვის ჩემპიონობის მილოცვა. *“თუკი საჩემპიონო რბოლაში “მონპელიემ” იმარჯვა, გულწრფელად მოგვიწევს მათი დამსახურების აღიარება. ახლა ისლა დაგვრჩენია, ჩვენი თამაში მოვიგოთ და მათ წაფორხილებას დაველოდოთ. მათ ბოლო ტურში 3 ქულის აღების მშვენიერი შანსი აქვთ, მაგრამ ჩვენ ამაზე არ უნდა ვიფიქროთ. რაც უნდა მოხდეს, მაინც სერიოზულ შედეგს მივაღწიეთ. მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშებთ,”* – თქვა “ფრანს ფუტბოლთან” ინტერვიუში **კარლო ანჩელოტიმ**.

მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-ს ჩემპიონობის მიზერული შანსი აქვს, კლუბის ხელმძღვანელობა არ აპირებს მომდევნო სეზონისთვის დანებებას და გუნდის გასაძლიერებლად ისევ ყველა ღონეს იხმარს. მოგეხსენებათ, პარიზელები იანვარში “მილანიდან” **ალეშანდრე პატოს** შეძენას ცდილობდნენ, მაგრამ “როსონერის” ხელმძღვანელობა გარიგებაზე არ წავიდა. ამ ზაფხულს პსჟ კიდევ ერთხელ შეეცდება 22 წლის ფეხბურთელის გადაბირებას. ფრანგები მზად არიან ტრავმამიდრეკილ ფეხბურთელში 30 მილიონი ევრო გადაიხადონ.

გარდა პატოსი, პარიზელები “რეალიდან” **გონსალო იგუაინის** შეძენასაც გეგმავენ. ინფორმაციას ესპანური პრესა ავრცელებს. მოლაპარაკებებში მთავარი შუამავალი **ხავიერ პასტორეა**. პსჟ-ის 22 წლის ვარსკვლავი ადასტურებს, რომ პროცესი მიმდინარეობს, თუმცა დასრულებამდე მას კიდევ ბევრი აკლია. ფრანგული პრესა წერს, რომ “რეალის” მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** უკმაყოფილო დარჩა, როცა კლუბმა მის შეგირდს პროცესში ჩართვის უფლება მისცა, რადგან პორტუგალიელი არ აპირებს იგუაინის გუნდიდან გაშვებას.



როგორც ჩანს, კარლო ანჩელოტი სადებიუტო სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატს ვერ მოიგებს

ამბები

## ბენ არფა ნიუკასლში რჩება

“ნიუკასლის” 25 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ატემ ბენ-არფამ** დაადასტურა, რომ მიუხედავად მისი პერსონისადმი სხვა კლუბების ინტერესისა, არ აპირებს “სენტ ჯეიმს პარკის” დატოვებას. “კაჭკაჭებმა” სწორედ ბენ არფასა და **პაპის სისეს** წყალობით მოახერხეს ბოლო თვეების განმავლობაში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაბმა. მართალია, საბოლოოდ მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ **ალან პერდიუს** გუნდი მზარდი პოტენციალისაა და მომდევნო სეზონში ნამდვილად შეეძლება კიდევ ერთხელ იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად. ბენ არფას დიდებული თამაში არ გამოჰპარვია **ლორან ბლანს**, ვინც ფეხბურთელი 1,5-წლიანი პაუზის შემდეგ დააბრუნა ეროვნულ გუნდში და ევრო 2012-ზე წამსვლელ ლეგიონერთა შორის დაასახელა. აქვე გეტყვით, რომ ბენ არფას კონტრაქტს “ნიუკასლთან” 2015 წლის 30 ივნისს გასდის ვადა.

## ბარტონს 9 მატჩით მოაკვეთენ



გუშინდელ ნომერშივე ვწერდით, რომ “ქუინზ პარკის” 29 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ჯოი ბარტონმა** “მანჩესტერ სიტისთან” შეხვედრის 55-ე წუთზე არასპორტული საქციელით გამოიჩინა თავი. მან ჯერ **კარლოს ტევესს** უთავაზა იდაყვი, უკვე გაძევებულმა კი **სერხიო აგუეროს** წიხლი ჩაარტყა, ბოლოს კი **მარიო ბალოტელისთან** საჩხუბრად იწევდა. ბუნებრივია, ყოველივეს გამო მის წინააღმდეგ საფეხბურთო ასოციაცია სერიოზული სანქციების გატარებას გეგმავს. ინგლისური პრესა წერს, რომ ფეხბურთელს 2-თვიანი უქმობა მოუწევს, რადგან მინიმუმ 9-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. ფეხბურთელის დასჯას თავის მხრივ კლუბიც გეგმავს.

## ჰალკი ჩელსიში მიდის

პორტუგალიური “საპო დესპორტუს” ცნობით, “პორტუს” 25 წლის ცენტრფორვარდი ჰალკი კარიერას “ჩელსიში” განაგრძობს. მართალია, მას კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 100 მილიონი უწერია, მაგრამ ცხადია, რომ ამ თანხას მასში არავინ გადაიხდის. ლონდონურ კლუბს ფეხბურთელის შეძენა ალბათ 35-38 მილიონი ევრო დაუჯდება. ჟურნალისტები თავდამსხმელის პოზიციით დაინტერესდნენ. ჰალკის თქმით, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომელ კლუბში შეხვდება ახალ სეზონის დაწყებას. *“ახლა მარტო ის მინდა, რომ პორტუგალიის ჩემპიონობით დავტკბე. ჩემს ტრანსფერს რაც შეეხება, ის “პორტუს” ხელმძღვანელებისა და ჩემი აგენტის საზრუნავია. დღეს თუ მკითხავთ, იმაზეც კი ვერ გიპასუხებთ, მინდა თუ არა “დრაგაუზე” კიდევ ერთი სეზონის გატარება,”* – აცხადებს ფეხბურთელი.

## ჩემპიონობა ხელის გაწვდენაზე

“მონპელიეს” მთავარი მწვრთნელი **რენე ჟირარი** “ლილთან” დრამატულ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ თავისი გუნდის საჩემპიონო შანსებზე უკვე ხმამაღლა ალაპარაკდა. *“ლილთან” ბოლო წუთზე გავიტანეთ, რაც ერთგვარ კულმინაციურ მომენტად იქცა. თამაში ხომ ძალიან დაძაბული გამოდგა. ზეწოლა ჩემს ფეხბურთელებზე წარმოუდგენლად დიდი იყო. კარგია, რომ საბოლოოდ გავინაღდეთ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში. თამაშს არცთუ საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებში შევხვდით, მაგრამ ამის მიუხედავად წამითაც არ შეგვპარვია ეჭვი საკუთარ ძალებში. ერთგული გულშემატკივრების დახმარებით “სტად დე ლა მოსონზე” 19 შეხვედრაში მხოლოდ 7 ქულა დავკარგეთ. ახლა ისლა დაგვრჩენია, “ოსერთან” მინიმუმ ქულა ავიღოთ და ჩემპიონობა ვიზეიმოთ. “ლილთან” მატჩის დასრულების შემდეგ ცრემლები ვერ შევიკავე, არადა, ბოლოს ეს მაშინ მოხდა, როცა “ბორდოდან” წამოვედი. მიზეზი ნამდვილად მქონდა, რადგან ამ მოგების შემდეგ ჩემპიონობამდე ხელის ერთი გაწვდენაღა დაგვრჩა”,* – თქვა რენე ჟირარმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

დორტმუნდის ბორუსია. მოსალოდნელი ტრანსფერები



სერ ალექს ფერგიუსონის სამიზნეები: რობერტ ლევანდოვსკი, შინჯი კაგავა და მატს ჰუმელსი

# დორტმუნდში სატრანსფერო ქაოსი დაიწყო

## მანჩესტერ იუნაიტედს კაგავასთან ერთად, ლევანდოვსკი და ჰუმელსიც უნდა

**დორტმუნდის „ბორუსიამ" ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ გერმანიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის ფეხბურთელებს სერიოზული მთხოვნელები გამოუჩნდნენ. აქამდე კითხვის ნიშნის ქვეშ მხოლოდ იაპონელი გამთამაშებლის, შინჯი კაგავას მომავალი გახლდათ, ახლა კი „ბორუსიას" კიდევ ორი ლიდერის დაკარგვის საფრთხე ემუქრება.**

**შაბათს, გერმანიის თასის ფინალს (დორტმუნდი-ბაიერნი 5:2) „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი დაესწრო და როგორც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, ფერგი ბერლინში მხოლოდ კაგავაზე დასაკვირვებლად არ ჩასულა – მას „ბორუსიას" დაცვის ბურჯი მატს ჰუმელსი და გოლეადორი რობერტ ლევანდოვსკიც აინტერესებს. ამასობაში, გაირკვა ისიც, რომ „ვერდერის" პერუელი თავდამსხმელის, კლაუდიო პისაროს გადაბირება დორტმუნდელებსაც სურთ.**

### ლევანდოვსკის აგენტი ადასტურებს: ფერგიუსონი დაინტერესებულია!

ჩვენს გერმანელ კოლეგებს კაგავას „იუნაიტედში" გადასვლა გადაწყვეტილად მიაჩნიათ – დორტმუნდში აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ იაპონელი გამთამაშებელი BVB-ს დატოვებს. ახლა კი ირკვევა, რომ ფერგიუსონს არა მარტო კაგავას, არამედ ჰუმელსისა და ლევანდოვსკის გადაბირებაც უნდა.

„ბილდის" ინფორმაციით, ფერგიუსონმა მანჩესტერში უკვე დაპატიჟა ჰუმელსის მამა, რომელიც მისი მრჩეველიცაა და მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა. „ბორუსიას" და გერმანიის ნაკრების მცველი ამას არც უარყოფს და არც ადასტურებს. რაც შეეხება ლევანდოვსკის – პოლონელი გოლეადორის აგენტმა **მაიკ ბართელმა** გუშინ პრესას ოფიციალურად დაუდასტურა ის, რომ მანჩესტერელებს რობერტის ყიდვა უნდათ.

ცნობილია, რომ „დორტმუნდის" ხელმძღვანელებმა ლევანდოვსკის ახალი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს, რაზეც ბართელი ამბობს, წინადადება მაინცდამაინც არ მოგვწონსო და იქვე ადასტურებს, რომ მის კლიენტს „მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება.

„დორტმუნდისთვის" მხოლოდ კაგავას დაკარგვაც უდიდესი დანაკლისია და თუ იაპონელთან ერთად გუნდს ჰუმელსი და ლევანდოვსკიც დატოვებენ, ეს ფაქტობრივად ბრწყინვალე გუნდის დაშლის წინა პირობა იქნება. სწორედ ამიტომ, „ბორუსიას" გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცე** ამბობს, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ლიდერები შევინარჩუნოთო. მისი თქმით, კაგავას წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, ლევანდოვსკისა და ჰუმელსს კი დორტმუნდელები არაფრის დიდებით არ დათმობენ.

### ბარიოსს პისარო შეცვლის?

ლევანდოვსკის შემცვლელის, **ლუკას ბარიოსის** წასვლა თვე-ნახევრის წინ გადაწყდა – როგორც იცით, გაპარაგვაელებული არგენტინელი თავდამსხმელი კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. შესაბამისად, „ბორუსიას" მისი შემცვლელი სჭირდება და „კიკერის" ინფორმაციით, დორტმუნდელთა დამრიგებელი **იურგენ კლოპი** სერიოზულად ფიქრობს „ვერდერის" ვეტერან ფორვარდ კლაუდიო პისაროზე, რომლის გადაბირებაზე მიუნხენის „ბაიერნისა" და გელზენკირხენის „შალკეს" ხელმძღვანელებიც ფიქრობენ.

33 წლის პისაროს საკუთარი მომავლის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და არც ჩქარობს, რადგან როგორც ხედავთ, მთხოვნელების რიგი ნელ-ნელა იზრდება. აღსანიშნავია, რომ „ვერდერს" პერუელის შენარჩუნება უნდა. ბრემენელებმა მას ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, რაზეც პისაროს ჯერ არც უარი უთქვამს და არც თანხმობა. ეჭვი იმის შესახებ, რომ კლაუდიომ „ვერდერიდან" წასვლა დიდი ხნის წინ გადაწყვიტა, „მუსიკოსების" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** გააქარწყლა. ალოფსს ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ პისარო „ვერდერში" დარჩება და ამ კვირაში კლაუდიოსთან შეხვედრას გეგმავს.

„ბაიერნს" პისარო სათადარიგოთა სკამისთვის სჭირდება – მიუნხენელებს **მარიო გომესის** ღირსეული შემცვლელი არ ჰყავთ, თუმცა ბოლო დროს გავრცელებული ცნობების თანახმად, უპირატესობას ფრანგ ოლივიე ჟირუს ანიჭებენ და თუ ეს ტრანსფერი შედგა, ბავარიელები პისაროს დაბრუნებაზე აღარ იფიქრებენ. პერუელი თავდამსხმელი დორტმუნდელებსაც სკამისთვის, ბარიოსის შემცვლელად სჭირდებათ, თუმცა „ბაიერნისგან" განსხვავებით, „ბორუსიაში" გადასვლის შემთხვევაში კლაუდიო ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად ითამაშებს. აი, „შალკეში" კი პისაროს შეიძლება სასტარტოში თამაშის გარანტია მისცენ – გელზენკირხენელები ხომ **რაულის** შემცვლელს ეძებენ.

ბაიერნი

# რიბერი: ულის ჩემპიონთა ლიგის თასს მივართმევ!

## რუმენიგეს თქმით, დანტეს ტრანსფერის შემდეგ დაცვის გაძლიერება დამთავრებულია

მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელები, ხელმძღვანელები და გულშემატკივრები გერმანიის ჩემპიონობის დაკარგვას და გერმანიის თასის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიასთან" განცდილ კრახს (2:5) მხოლოდ იმ შემთხვევაში დაივიწყებენ, თუ მიუნხენური გრანდი მომავალ შაბათს ჩემპიონთა ლიგას მოიგებს. ევროპის ალიტარული საკლუბო ლიგის დასკვნით მატჩში, საკუთარ მოედანზე „ჩელსის" ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ „ბაიერნმა" გერმანიაში ვიცე-კლუბის სტატუსი არ მიიღოს.

რეკორდმაისტერის ფეხბურთელებს ეს კარგად ესმით. 29 წლის ფრანგმა გარემარბმა **ფრანკ რიბერიმ** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში სწორედ ამაზე ისაუბრა: *„ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენშია და ჩვენ ამ ფინალის მონაწილეები ვართ. ეს მართლაც ზღაპარია, რომელიც „ბაიერნისთვის" აუცილებლად „ჰეფი ენდით" უნდა დამთავრდეს. ვფიქრობ, „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის მოგება დაიმსახურა. მჯერა, „ჩელსისთან" სეზონის საუკეთესო მატჩს ჩავატარებთ და ჩემპიონთა ლიგის თასს მიუნხენში დავტოვებთ,"* - უთხრა რიბერიმ „კიკერს".

ფრანგს „ჩელსისთან" ტრიუმფით პირველ რიგში „ბაიერნის" პრეზიდენტის, **ული ჰიონესის** გაბედნიერება უნდა: *„გუნდის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „ბაიერნი" წარმატებული გრანდი იყოს და ჩვენ წარმატებების მისაღწევად საუკეთესო პირობები გვქონდეს შექმნილი. თითოეულ მათგანს უდიდეს პატივს ვცემ, რადგან შვილივით მიყურებენ და მუდმივად მხარში მიდგანან. ისინი „ბაიერნით" და „ბაიერნისთვის" ცოცხლობენ. ჩემპიონთა ლიგის თასი მათაც დაიმსახურეს! ყველაზე მეტად ული ჰიონესს ვაფასებ, მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. ული ძალიან კარგად მიგებს და მიცნობს, იცის, რა დროს რა მჭირდება. „ბაიერნისთვის" ყოველთვის ბოლომდე რომ ვიხარჯები, ეს ჰიონესის დამსახურებაცაა და მე მინდა, რომ ულის ჩემპიონთა ლიგის თასი მივართვა."*

ვერაფერს იტყვი – შესანიშნავი სიტყვებია, მაგრამ რიბერიმ სიტყვას საქმეც უნდა მოაყოლოს. „ჩელსისთან" „ბაიერნის" წარმატება ხომ დიდწილად სწორედ მასზეა დამოკიდებული.

### რუმენიგე: დაცვაში აღარავინ გვჭირდება

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის თასის ფინალში „ბაიერნის" დაცვის ხაზმა სამარცხვინოდ ითამაშა (ეს მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** სიტყვებია), რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** თქმით, **დანტეს** ტრანსფერით „ბაიერნის" დაცვის ხაზის გაძლიერება დასრულდა. როგორც იცით, ბრაზილიელი დანტე მიუნხენელებმა „გლადბახიდან" გადაიბირეს და ეს უკანასკნელი გუნდს ზაფხულში შეუერთდება. სხვა მცველის ყიდვას კი რუმენიგე კატეგორიულად გამორიცხავს.

*„ნახევარმცველი შაჩირი და მცველი დანტე უკვე გავიფორმეთ, ახლა კი მეკარის საკითხზე ვმუშაობთ,* - უთხრა რუმენიგემ „კიკერს". როგორც იცით, ბავარიული გრანდის მეორე კიპერმა



ფრანკ რიბერის და ული ჰიონესს ერთმანეთი ძალიან უყვართ

**ჰანს-იორგ ბუტმა** კარიერა დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ **მანუელ ნოიერს** ახალი შემცვლელი სჭირდება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბაიერნის" მეორე მეკარე ჰოფენჰაიმელი **ტომ შტარკე** იქნება.

კითხვაზე, მიაჩნია თუ არა „დორტმუნდთან" 2:5-ის შემდეგ, რომ „ბაიერნს" დაცვაში გაძლიერება კიდევ სჭირდება, რუმენიგემ ასე უპასუხა: *„მინდა, ყველას შევახსენო, რომ ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა, მხოლოდ 22 გოლი გავუშვით. ბადშტუბერი, ბოატენგი, ვან ბუიტენი, დანტე – ამ ოთხ ცენტრალურ მცველს 100 პროცენტით ვენდობით და სხვა უკანახაზელის ყიდვას აღარ ვაპირებთ."*

ბუნდესლიგა. რელეგაცია. საპასუხო მატჩის წინ

# ბერლინელებმა ერთმანეთს დასცხეს!

## დიუსელდორფში გამგზავრებამდე ლელმა და ბენ-ჰატირამ იჩხუბეს

| დღეს | |
|---|---|
| ფორტუნა-ჰერტა | 22:30 |

პირველი მატჩი: 2:1

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: ალმერი – ფრანცი, ლუსტენბერგერი, ლასოგა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფორტუნა (4-2-3-1):** რატაიჩაკი – ლეველსი, ლუკიმია, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი – ბოძეკი, ო. ფინკი – ბაისტერი, ილსიო, ლამბერტცი – ბრიოკერი.

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, იანკერი, ჰოლანდი – ნიმაიერი, კობიაშვილი – ებერტი, რაფაელი, ბენ-ჰატირა – რამოსი.

დღეს **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას" რელეგაციის საპასუხო მატჩი აქვს დიუსელდორფში, რაც ბერლინელთა გადარჩენის ნაღდად უკანასკნელი შანსია. სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ჰერტა" ვერ გადარჩება და კობის მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში მოუწევს თამაში – პირველ რიგში იმიტომ, რომ „ჰერტამ" „ფორტუნასთან" საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო და ესეც რომ არ იყოს, ბერლინელები გუშინწინ, ვარჯიშზე ერთმანეთს დაერივნენ!

ერთმანეთში 27 წლის მცველმა **კრისტიან ლელმა** და 23 წლის გარემარბმა **ენის ბენ-ჰატირამ** იჩხუბეს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ლელმა ბენ-ჰატირასთან ორთაბრძოლისას ამ უკანასკნელს ჯერ მაისურზე მძლავრად დაქაჩა, მერე კი უკნიდან მოცელა და ნიჭიერ ნახევარმცველს კინაღამ სერიოზული ტრავმა მიაღებინა. ბენ-ჰატირას ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა – ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაიწიეს, „ურქინეს" და თანაგუნდელები მაშინვე მათ შორის რომ არ ჩამდგარიყვნენ, შეიძლება, ხელჩართული ჩხუბიც დაწყებულიყო.

მაგრამ გაშველებით ყველაფერი არ დამთავრებულა. ლელმა ყვირილი მორთო, უკნიდან მოცელვა ჩემი კი არა, მაგის მოგონილიაო, რის შემდეგაც მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელემა** ფეხბურთელები შეკრიბა, ჩაამწკრივა და დასჭექა, მოყვარულებივით იქცევითო. ლელმა წუწუნი განაგრძო, რის გამოც რეჰაგელის ასისტენტმა **რენე ტრეტჩოკმა** უყვირა, ნახევარმცველმა **პატრიკ ებერტმა** კი ლელის ვარჯიშიდან მოკვეთა მოითხოვა. ბობოქრობდა ბენ-ჰატირაც და მისი დამშვიდება ნიმაიერმა და კობიაშვილმა მოახერხეს, ლელს კი **ანდრე მიატოვიჩი** ამშვიდებდა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არ იყო მხოლოდ სპორტული და შემთხვევითი კამათი – მომხდურები ერთმანეთს ვერ იტანენ და გუნდში არაჯანსაღი ატმოსფეროა. „ბილდის" ცნობით, ვარჯიშის შემდეგ რეჰაგელმა ჩხუბისთავები თავის კაბინეტში დაიბარა და მათ ნახევარსაათიანი ლექცია წაუკითხა. მენეჯერ **მიხაელ პრეეტცის** თქმით, ინციდენტი ამოწურულია.

დღეს კობის და კომპანიას დიუსელდორფში მინიმუმ ორი გოლის გატანა და მოგება სჭირდებათ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ენის ბენ-ჰატირა და კრისტიან ლელი თანაგუნდელებმა ძლივს გააშველეს

ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტურის შეჯამება

# დრამა და ცრემლები ელ მადრიგალზე

## მილიონებად შეფასებული გოლის ამბავი




რეალმა ბევრი იზეიმა და იქეიფა



მაშ ასე, რიგით 81-ე ლა ლიგა ისტორიის კუთვნილებაა - 32-ედ ჩემპიონობა მადრიდის „რეალმა“ იზეიმა. ელიტას „ვილიარეალი“, „სპორტინგი“ და „რასინგი“ ტოვებენ. ჩემპიონატის ბომბარდირი ისეთივე ფენომენური მიღწევით, როგორიც თავადაა, ლიონელ მესი გახდა - 50 გოლი გაიტანა.

მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებენ: „რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“; ლიგის პლეი ოფში ჩაერთვება „მალაგა“; მადრიდის „ატლეტიკო“ ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზეა; თუკი ესპანეთის თასის ფინალს მოიგებს, „ბილბაოც“ ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს, არადა, მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვა; „ლევანტე“ მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება; მაგრამ თუ თასს „ბილბაო“ აილებს, მაშინ პლეი ოფიდან ითამაშებს.

### ადიოს სუბმარინო!

ბოლო ტურში ნამდვილი დრამა გათამაშდა „ელ მადრიგალზე“, სადაც „ვილიარეალის“ მფლობელ **როიგთა** მთელი ოჯახი ტიროდა - „წყალქვეშა ყვითელი ნავის“ საოცარი, 12-წლიანი ოდისეა ელიტაში დასრულდა - ამ გუნდმა ბევრით დაგვამახსოვრა თავი ამ 12 სეზონის განმავლობაში, ხშირად მოწინავეთა შორის იყო და ევროსარბიელზეც გამოიჩინა თავი, მაგრამ ზღაპარი მაინც დასრულდა - „ვილიარეალს“ მწარე რეალობა ელის - სეგუნდა დივიზიონი. სხვათა შორის, სეგუნდაში „ვილიარეალის“ სარეზერვო გუნდი თამაშობს და გასავარდნად საქმე არც აქვს - თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს - „ვილიარეალის“ სარეზერვო გუნდს დააქვეითებენ, რადგან ერთ ლიგაში ერთი კლუბის ორი გუნდი ვერ ითამაშებს. ასე რომ, ერთმა დრამამ ერთბაშად ორი გუნდი გააგდო.

**ბარსა-რეალობა**

„ეს გუნდი უკვე არის ლეგენდის ნაწილი“, - განაცხადა „რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** და მადრიდში „სამეფო კლუბის“ ფანების საყოველთაო ზეიმი დაიწყო. ზეიმის ბოლოს პერესმა გუნდი მთელი შემადგენლობით, მწვრთნელთა ჯგუფით საზეიმო ლანჩზე მიიწვია რესტორან „პუერტა 57-ში“. 32-ე ტიტულმა კი ეს გზა მოიარა: მადრიდის ქუჩები, ქალაქის რეზიდენცია, სიტი ჰოლი, ლა ალმუდენას კათედრალი. რესტორანი „პუერტა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მდებარეობს. მოკლედ, „რეალმა“ გულიანად მოილხინა.

**ჟოზე მოურინიო** ჟურნალისტებს შემართებით ელაპარაკა - პორტუგალიელი სულ მე-10 ევროთასს ახსენებდა. მოკლედ, განსაკუთრებულის პირველი სამიზნე მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება.

„ბარსელონამ“ ომი წააგო, თუმცა მისი ფეხბურთელები ინდივიდუალური პრიზებით დაკმაყოფილდნენ - ლეო მესიმ „პიჩიჩისთვის“ ბრძოლა მოუგო **კრიშტიანო რონალდოს** და 50 გოლით ევროპის „ოქროს ბუცსაც“ შესწვდა. **ვიქტორ ვალდესმა** ზამორას ტროფეი მოიგო, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერის კუთვნილებაა. **ხოსეპ გვარდიოლამ** კი სეზონი დადებითად შეაფასა, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარო, განაცხადა პეპმა, რომელიც ერთხელ კიდევ გაუძღვება „ბარსას“ და წავა.

**მესი VS რონი**

### ჩვენი „ტურნირის“ გამარჯვებული: ლიონელ მესი

ლიონელ მესიმ „ბეტისთან“ 2:2 დასრულებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. მან კარისკენ 3-ჯერ დაარტყა. მესის წინააღმდეგ სამჯერ იუხეშეს, ერთხელ თავად დაჯარიმდა.

კრიშტიანო რონალდომ „მალიორკასთან“ 4:1 დასრულებულ მატჩში 90 წუთი ითამაშა. მან კარისკენ 9-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, გოლი გაიტანა. რონალდოს 3-ჯერ ეუხეშნენ, თავად ერთხელ დაარღვია თამაშის წესი.

ეს, ბოლო რაუნდი რონალდომ მოიგო, მაგრამ „ტურნირი“ მაინც მესის დარჩა - 23:22.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

GOAL.COM. 4-4-2

**ხუან პაბლო** (სპორტინგი, 2) - **პაბლო ალვარესი** (რაიო ვალეკანო, 1), სერხიო **ბალესტეროსი** (ლევანტე, 7), **პეპე** (რეალი, 2), **მარსელო** (რეალი, 4) - სეიდუ **კეიტა** (ბარსელონა, 3), **რაულ გარსია** (ოსასუნა, 7), ივან **რაკიტიჩი** (სევილია, 1), მესუთ **იოზილი** (რეალი, 7) - რაულ **ტამუდო** (რაიო ვალეკანო, 1), აბდელკადერ **ღეზალი** (ლევანტე, 1).

*არც მესი და არც რონალდო სიმბოლურში არ მოხვდნენ. სამაგიეროდ, ბოლო ტურში ერთბაშად 4 დებიუტანტია. მე-7-ედ მოხვდნენ სიმბოლურში მესუთ იოზილი, რაულ გარსია და „ლევანტეს“ კაპიტანი სერხიო ბალესტეროსი.*

**ტურის გმირი**

### ხოსე რონდონი (მალაგა)

ვენესუელელი ფორვარდის ერთადერთმა გოლმა **მანუელ პელეგრინის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოაპოვებინა, დამსახურებულად. „მარკამ“ დაწერა, რომ ეს გოლი მილიონების ტოლფასია და გაზეთი მართალია პირდაპირი მნიშვნელობითაც კი. ლიგაზე თამაში ანდალუსიურ კლუბს მილიონებს მოუტანს.

**ჩემპიონთა ფრაზები**

**ფლორენტინო პერესი:** *„ეს გუნდი უკვე ლეგენდის ნაწილად იქცა“, - კლუბის პრეზიდენტი*

**ჟოზე მოურინიო:** *„ჩვენ მალევე უნდა დავიწყოთ შრომა, რადგან „რეალი“ ისეთი კლუბია, რომელიც დიდხანს მშვიდად ყოფნას ვერ იტანს“, - „რეალის“ თავკაცი.*

**ჟოზე მოურინიო:** *„რეალს“ სურს, მოიპოვოს ევროპის მე-10 თასი“.*

**იკერ კასილიასი:** *„ეს ტიტული ეკუთვნის ყველა გულშემატკივარს, ქალაქ მადრიდს“, - გუნდის კაპიტანი.*

**კრიშტიანო რონალდო:** *„ჩვენ ახალგაზრდები ვართ და შეგვიძლია, კიდევ ბევრჯერ გავახაროთ ფანები“, - გუნდის ბომბარდირი*

**გონსალო იგუაინი:** *„ლიგის ტიტული ძალიან ძნელი მოსაპოვებელი იყო, ამიტომაც ორმაგად სასიხარულოა“, - გუნდის ფორვარდი.*

**მარსელო:** *„ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან გაახარებს ჩვენს გულშემატკივრებს“, - გუნდის მცველი.*

**ტურის ფრაზა:**

*„მე ფეხბურთზე ვარ შეყვარებული და არა საფეხბურთო სამყაროსა და აქაურ ატმოსფეროზე“*

ჟოზე მოურინიო

**ტურის სტატისტიკა**

*26 გოლი ტურში (2,6 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 3 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 43 ყვითელი და 6 წითელი ბარათი დაარიგეს.*

დუბლი: **რუბენ კასტრო** (ბეტისი), **მესუთ იოზილი** (რეალი), **აბდელკადერ ღეზალი** (ლევანტე)

**რაულ გარსიამ** (ოსასუნა) ვერ გაიტანა პენალტი

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ფრანსისკო ალკასერი** (ვალენსია, 18 წლის)



მესიმ თავისი მაინც მიიღო

ყველაზე მეტი მაყურებელი: **80 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **27 - ოსასუნა**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **13 - ოსასუნა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **24 - სპორტინგი**

ყველაზე მეტი კუთხური: **14 - ვალენსია**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **8 - სარაგოსა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **68% - სარაგოსა**

| ესპანიოლი-სევილია | 1:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** ივან რაკიტიჩი (სევილია)

| ხეტაფე-სარაგოსა | 0:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** აპონიო (მალაგა)

| ლევანტე-ბილბაო | 3:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** აბდელკადერ ღეზალი (ლევანტე)

| მალაგა-სპორტინგი | 1:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** ხოსე რონდონი (მალაგა)

| ვალეკანო-გრანადა | 1:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** რაულ ტამუდო (რაიო ვალეკანო)

| რეალი-მალიორკა | 4:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** მესუთ იოზილი (რეალი)

| რასინგი-ოსასუნა | 2:4 |
|---|---|

**საუკეთესო:** რაულ გარსია (ოსასუნა)

| ვილიარეალი-ატლეტიკო | 0:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

| სოსიედადი-ვალენსია | 1:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** ჩაბი პრიეტო (რეალ სოსიედადი)

| ბეტისი-ბარსელონა | 2:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** რუბენ კასტრო (ბეტისი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 38 | 32 | 4 | 2 | 121-32 | 100 |
| 2. ბარსელონა | 38 | 28 | 7 | 3 | 114-29 | 91 |
| 3. ვალენსია | 38 | 17 | 10 | 11 | 59-44 | 61 |
| 4. მალაგა | 38 | 17 | 7 | 14 | 54-53 | 58 |
| 5. ატლეტიკო | 38 | 15 | 11 | 12 | 53-46 | 56 |
| 6. ლევანტე | 38 | 16 | 7 | 15 | 54-50 | 55 |
| 7. ოსასუნა | 38 | 13 | 15 | 10 | 44-61 | 54 |
| 8. მალიორკა | 38 | 14 | 10 | 14 | 42-46 | 52 |
| 9. სევილია | 38 | 13 | 11 | 14 | 48-47 | 50 |
| 10. ბილბაო | 38 | 12 | 13 | 13 | 49-52 | 49 |
| 11. ხეტაფე | 38 | 12 | 11 | 15 | 40-51 | 47 |
| 12. სოსიედადი | 38 | 12 | 11 | 15 | 46-52 | 47 |
| 13. ბეტისი | 38 | 13 | 8 | 17 | 47-56 | 47 |
| 14. ესპანიოლი | 38 | 12 | 10 | 16 | 46-56 | 46 |
| 15. ვალეკანო | 38 | 13 | 4 | 21 | 53-73 | 43 |
| 16. სარაგოსა | 38 | 12 | 7 | 19 | 36-61 | 43 |
| 17. გრანადა | 38 | 12 | 6 | 20 | 35-56 | 42 |
| 18. ვილიარეალი | 38 | 9 | 14 | 15 | 39-53 | 41 |
| 19. სპორტინგი | 38 | 10 | 7 | 21 | 42-69 | 37 |
| 20. რასინგი | 38 | 4 | 15 | 19 | 28-63 | 27 |

**ბომბარდირები:** **50 - ლიონელ მესი (ბარსელონა);** 46 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 24 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 22 - გონსალო იგუაინი (რეალი); 21 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 17 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 16 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი); 15 - მიჩუ (რაიო ვალეკანო), არუნა კონე (ლევანტე)

**ასისტენტები:** 17 - მესუთ იოზილი (რეალი); 16 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 15 - ანხელ დი მარია (რეალი); 12 - ხესუს ნავასი (სევილია), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - დანი ალვეში (ბარსელონა); 9 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), გონსალო კასტრო (მალიორკა), ჩაბი ალონსო (რეალი); 8 - რაულ გარსია (ოსასუნა), ხოსე ბარკერო (ლევანტე), სერხიო გარსია (ესპანიოლი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).

**გოლი+პასი:** 66 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 58 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 29 - გონსალო იგუაინი (რეალი); 28 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 27 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 21 - რუბენ კასტრო (ბეტისი), მესუთ იოზილი (რეალი); 20 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), ანხელ დი მარია (რეალი).

**ზამორას ტროფეი:** 0,8 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,84 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,14 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,28 - დუდუ ავატე (მალიორკა); 1,33 - მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე); 1,35 - გუსტავო მუნუა (ლევანტე); 1,38 - კლაუდიო ბრავო (რეალ სოსიედადი); 1,39 - დიეგო ლოპესი (ვილიარეალი).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



რაიო ვალეკანო გადარჩა

ეპოქის დასასრული

# GRAZIE RAGAZZI

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიმდინარე** სეზონი იტალიური ფეხბურთისთვის განსაკუთრებულია, რადგან კალჩოს ფეხბურთელთა მთელი თაობა ეთხოვება - ფეხბურთელები, რომლებმაც ეპოქა შექმნეს არა მარტო იტალიური, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. "გაძეტა დელლო სპორტის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში, პირველ გვერდზე იმ მოთამაშეთა მაისურები გამოიტანეს, რომლებმაც წასვლის შესახებ გააკეთეს განცხადება და გულშემატკივრებთან გამოთხოვებას აპირებენ. მართალია, ამ ფეხბურთელთა ნაწილი კიდევ ერთი სეზონით აპირებს თამაშს სადმე არაბერთში, ან ამერიკაში, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის – ნამდვილი ფეხბურთიდან ისინი სწორედ ამ სეზონის დასრულებისთანავე მიდიან.

"გაძეტამ" ის განსაკუთრებული ნომერი დიდწილად სწორედ წამსვლელ ფეხბურთელებს მიუძღვნა და ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ მოთამაშეებს შორის ქართველი მცველი, კახა კალაძეც მოხვდა. მაშ ასე, კალჩოს ლეგენდები თქვენ წინაშე...



ალესანდრო დელ პიერო "იუვენტუს არენაზე" ჩატარებული ბოლო მატჩის შემდეგ

## ალესანდრო დელ პიერო (37 წლის, იტალია)

**კარიერა**

1991-1993 პადოვა 14 თამაში (1 გოლი)
1993-2012 იუვენტუსი 512 (207)
ეროვნული ნაკრები 91 (27)

**ტიტულები**

სკუდეტო (6): 1994/95, 1996/97, 1997/98, 2001/02, 2002/03, 2011/12;
სერია B (1): 2006/07;
იტალიის თასი (1): 1994/95;
იტალიის სუპერთასი (4): 1995, 1997, 2002, 2003;
ჩემპიონთა ლიგა (1): 1995/96;
ევროპის სუპერთასი (1): 1996;
ინტერტოტოს თასი (1): 1999;
საკონტინენტთაშორისო თასი (1): 1996;
მსოფლიოს ჩემპიონატი (1): 2006;

**ალესანდრო დელ პიერო** ფეხბურთელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყველას უყვარს განურჩევლად იმისა, თუ რომელ გუნდს გულშემატკივრობენ; დელ პიერო იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ლეგენდები არიან განურჩევლად იმისა, რა ტიტულები მოიგეს კარიერის განმავლობაში; დელ პიერო იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებმაც მთელი საფეხბურთო კარიერა ერთ გუნდს მიუძღვნეს; დელ პიერო ერთი-ორი სეზონით ალბათ სადმე ითამაშებს, მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა – ის "იუვეს" ლეგენდაა და მუდამ ასეთად დარჩება.

დელ პიერო იმ იშვიათ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ბურთს რაღაც სხვანაირად ეპყრობიან – თითქოს არა ფეხით, არამედ ხელით თამაშობენ და შესაბამისად, როგორც უნდა ისე ეპყრობიან მრგვალ სფეროს. დელ პიერო იმ ამპლუის მოთამაშეა, რომლებიც თითქოს მხოლოდ იტალიაში იბადებიან - სადღაც ფორვარდს და გამთამაშებელს შორის. დელ პიერო ლეგენდაა, ნამდვილი ლეგენდა.

## ფილიპო ინძაგი (38 წლის, იტალია)

**კარიერა**

1991-1995 პიაჩენცა 39 (15)
1995-1996 პარმა 15 (2)
1996-1997 ატალანტა 33 (24)
1997-2001 იუვენტუსი 122 (58)
2011-2012 მილანი 200 (72)
ეროვნული ნაკრები 57 (25)

**ტიტულები**

სკუდეტო (3): 1997/98, 2003/04, 2010/11;
სერია B (1): 1994/95;
იტალიის თასი (1): 2002/03;
იტალიის სუპერთასი (2): 1997, 2011;
ჩემპიონთა ლიგა (2): 2002/03, 2006/07;
ევროპის სუპერთასი (2): 2003, 2007;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2007;
ინტერტოტოს თასი (1): 1999;
მსოფლიოს ჩემპიონატი (1): 2006;

დელ პიეროსგან განსხვავებით, **ფილიპო ინძაგი** ბურთს ნაკლებად იმორჩილებს, უფრო თითქოს ხვდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს საკმარისია იმისთვის, რომ ბურთი კარის ჩარჩოში შეგორდეს. თუმცა, ეს ყველაფერი უკვე წარსულია, რადგან ფილიპომ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. მოდი, სიტყვა პირდაპირ სუპერპიპოს გადავცეთ – უფრო სწორად, მისი გამოსამშვიდობებელი წერილის შემოკლებულ ვარიანტს გავეცნოთ:

*"ყველაზე მეტად მაშინ ვღელავდი, როდესაც ჩემი "მილანში" გადასვლის საკითხი წყდებოდა. ბოლომდე არ ვახმაურებდი ამ ამბავს, რომ მოლაპარაკებები არ ჩამეშალა. გულშემატკივრები რაღაც პერიოდი მაკვირდებოდნენ, შემდეგ კი შემიყვარეს და თავიანთი თავიც შემაყვარეს. ჩვენ ერთად მოვიგეთ ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ჩვენ ერთად წავაგეთ სტამბოლში და შემდეგ, ერთად ავიღეთ რევანში ათენში. ჩვენ ერთად მოვიგეთ სკუდეტოები, თასები და ერთად განვიცადეთ დიდი გამარჯვებების სიხარული. მადლობა ბერლუსკონის, მადლობა გალიანის, მადლობა თანაგუნდელებს, მადლობა გულშემატკივრებს და მადლობა ოჯახს გვერდში დგომისთვის. ჩემი გული "მილანს" და ფეხბურთს ეკუთვნის, სადაც უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე".*

## ალესანდრო ნესტა (36, იტალია)

**კარიერა**

1993-2002 ლაციო 193 (1)
2002-2012 მილანი 218 (7)
ეროვნული ნაკრები 78 (0)

**ტიტულები**

სკუდეტო (3): 1999/00, 2003/04, 2010/11;
იტალიის თასი (3): 1997/98, 1999/00, 2002/03;
იტალიის სუპერთასი (4): 1998, 2000, 2004, 2011;
ჩემპიონთა ლიგა (2): 2002/03, 2006/07;
უეფას თასი (1): 1998/99;
ევროპის სუპერთასი (3): 1999, 2003, 2007;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2007;
მსოფლიოს ჩემპიონატი (1): 2006;

ბევრის აზრით, **ალესანდრო ნესტა** ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო, ან სულაც საუკეთესო მცველია და ეს აზრი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. ნესტა იმ მცველთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა თამაშის ყურება ისეთივე სასიამოვნოა, როგორიც ნებისმიერი ვირტუოზი შემტევის. სანდრო უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური უკანახაზელია, რომელიც ყოველთვის სუფთად და საოცრად ეფექტურად თამაშობს. წელის ქრონიკული ტკივილების გამო, ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, საკმაოდ ბევრი გაუცდა, მაგრამ მიუხედავად ამისა – მან უდიდესი კვალი დატოვა კალჩოს და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ნესტა იმ უკანახაზელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის თამაშის ჩანაწერებსაც ხშირად უნდა უყურონ დამწყებმა ფეხბურთელებმა და ისწავლონ, როგორ უნდა დაცვაში დგომა.

## ჯენარო გატუზო (34, იტალია)

**კარიერა**

1995-1997 პერუჯა 10 (0)
1997-1998 რეინჯერსი 34 (3)
1998-1999 სალერნიტანა 25 (0)
1999-2012 მილანი 334 (9)
ეროვნული ნაკრები 73 (1)

**ტიტულები**

სკუდეტო (2): 2003/04, 2010/04;
იტალიის თასი (1): 2002/03;
იტალიის სუპერთასი (2): 2004, 2011;
ჩემპიონთა ლიგა (2): 2002/03, 2006/07;
ევროპის სუპერთასი (2): 2003, 2007;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2007
მსოფლიოს ჩემპიონატი (1): 2006;

**ჯენარო გატუზო**, ფეხბურთელი, რომელსაც ამპლუა არ აქვს... თუ გვეტყვით, რომ ის საყრდენი ნახევარმცველია, არც ასეა საქმე, რადგან ხშირ შემთხვევაში, ის ნომინალური მარჯვენა მახევარმცველი გახლდათ. გავიხსენოთ **კარლო ანჩელოტის** "მილანი" და ამ შესანიშნავი გუნდის ნახევარდაცვა: საყრდენად **ანდრეა პირლო**, გამთამაშებლად **კაკა**, მარხენა ფრთაზე **კლარენს ზეედორფი** და მარჯვნივ სწორედ რინო გატუზო. თუმცა, ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ის მხოლოდ მარჯვენა ფლანგზე მოქმედებდა – რინო იყო ყველგან, სადაც გუნდს სჭირდებოდა და სწორედ ეს გახლდათ ამ ფეხბურთელის მთავარი ღირსება. მოკლედ, გატუზოს ამპლუა არ აქვს, ის ჩაშლასთან ასოცირდება და იქ მოქმედებდა, სადაც მის გუნდს ყველ;აზე მეტად უჭირდა.

გატუზო არჩევანის წინაშეა – ან უნდა დაასრულოს კარიერა, ან კიდევ ერთი სეზონი გლაზგოს "რეინჯერსში" ითამაშოს. მოკლედ, კა;ლჩოდან ნებისმიერ შემთხვევაში მიდის, იტალიელებს კი ყველაზე მეტად იმაზე სწყდებათ გული, რომ ჯენაროს მსგავსად ეროვნულ ჰიმნს ალბათ ველარავინ იმღერებს.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ატირებული მილანელები: ჯანლუკა ძამბროტა, კლარენს ზეედორფი და ჯენარო გატუზო

## ჯანლუკა ძამბროტა (35, იტალია)

**კარიერა**

1994-1997 კომო 48 (6)
1997-1999 ბარი 59 (6)
1999-2006 იუვენტუსი 217 (6)
2006-2008 ბარსელონა 58 (3)
2008-2012 მილანი 84 (2)
ეროვნული ნაკრები 98 (2)

**ტიტულები**

სკუდეტო (4): 2001/02, 2002/03, 2004/05, 2010/11;
იტალიის სუპერთასი (3): 2002, 2003, 2011;
ინტერტოტოს თასი (1): 1999;
მსოფლიოს ჩემპიონატი (1): 2006

ფეხბურთელი, რომელიც ალბათ ყველა მწვრთნელის მონახაზში, სტილში, და გნებავთ, ფილოსოფიაში ჩაჯდება, რადგან **ჯანლუკა ძამბროტა** თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია – დიახ, არის და არა იყო, რადგან კარიერის დასრულების შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. ძამბრო უნივერსალური თვისებებით დაჯილდოებული მოთამაშეა, რომელიც კარიერის საწყის ეტაპზე ნახევარმცველი იყო, შემდეგ კი ამპლუა შეიცვალა და დაცვაში დაიწია. თავისუფლად ირჯებოდა იქ, სადაც გუნდს ყველაზე მეტად სჭირდებოდა – ნახევარდაცვასა თუ დაცვაში, მარჯვენა, თუ მარცხენა ფლანგებზე. საუკეთესო წლებში, ბრწყინვალე იყო უშუალო მოვალეობის შესრულებისას და აქტიურად ერთვებოდა შეტევებში; ამ ყველაფერს კი შეგვიძლია დავუმატოთ მაღალი სისწრაფე, პასის სიზუსტე და ყუმბარისებური დარტყმა.

## კლარენს ზეედორფი (36, ჰოლანდია)

**კარიერა**

1992-1995 აიაქსი 65 (11)
1995-1996 სამპდორია 32 (3)
1996-1999 რეალი 121 (15)
1999-2002 ინტერი 64 (8)
2002-2012 მილანი 297 (47)
ეროვნული ნაკრები 87 (11)

**ტიტულები**

სკუდეტო (2): 2003/04, 2010/11;
იტალიის თასი (1): 2002/03;
იტალიის სუპერთასი (2): 2004, 2011;
ჰოლანდიის ერედივიზიონი (2): 1993/94, 1994/95;
ესპანეთის ლა ლიგა (1): 1996/97;
ესპანეთის სუპერთასი (1): 1997;
ჩემპიონთა ლიგა (4): 1994/95, 1997/98, 2002,03, 2006/07;
ევროპის სუპერთასი (2): 2003, 2007;
საკონტინენტთაშორისო თასი (1): 1998;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2007

**კლარენს ზეედორფის** კარიერა ორ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ: "მილანამდე" და "მილანში"; "როსონერიში" გადასვლამდე ჰოლანდიელს უფრო მებრძოლი ნახევარმცველის იმიჯი ჰქონდა, რომელიც საჭირო მომენტში ყუმბარისებურად ურტყამდა. ასეთი იყი "რეალში" და ასეთი იყო "ინტერში", აი "მილანში" კი სულ სხვაგვარად გაიხსნა, თითქოს გარდაისახა და ახალი ზე დაიბადა: საოცრად ტექნიკური, ვირტუოზული და დახვეწილი, რომლის თამაშის ყურება ერთ რამედ ღირდა. კლარენსი "აიაქსის" სკოლის აღზრდილია, მან სამ გუნდთან ერთად მოიგო ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ მისი სახლი მაინც მილანშია, "მილანელოზე", იქ, სადაც 10 წელი გაატარა და იქ, სადაც არა მებრძოლი ნახევარმცველი, არამედ ვირტუოზი გახლდათ.

## ანტონიო დი ნატალე (34, იტალია)

**კარიერა**

1996-2004 ემპოლი 158 (49)
2004-2012 უდინეზე 263 (135)
ეროვნული ნაკრები: 36 (10)

## მარკო დი ვაიო (35. იტალია)

**კარიერა**

1993-1995 ლაციო 8 (3)
1995-1996 ვერონა 7 (1)
1996-1997 ბარი 27 (3)
1997-1999 სალერნიტანა 67 (33)
1999-2002 პარმა 83 (41)
2002-2004 იუვენტუსი 55 (18)
2004-2005 ვალენსია 35 (11)
2005-2007 მონაკო 29 (8)
2007-2008 ჯენოა 44 (12)
2008-2012 ბოლონია 135 (65)
ეროვნული ნაკრები: 14 (2)

**ტიტულები**

სკუდეტო (1): 2002/03;
სერია B (1): 2001/02;
იტალიის თასი (1): 2001/02;
იტალიის სუპერთასი (1): 2003;
ევროპის სუპერთასი (1): 2004;

## ივან კორდობა (35, კოლუმბია)

**კარიერა**

1993-1995 დეპორტივო რიონეგრო 42 (1)
1997-1998 ატლეტიკო ნასიონალი 69 (1)
1998-1999 სან ლორენსო 57 (7)
1999-2012 ინტერი 324 (15)
ეროვნული ნაკრები 67 (5)

**ტიტულები**

სკუდეტო (5): 2005/06, 2006/07, 2007/08, 2008/09, 2009/10;
იტალიის თასი (4): 2004/05, 2005/06, 2009/10, 2010/11;
იტალიის სუპერთასი (4): 2005, 2006, 2008, 2010;
ჩემპიონთა ლიგა (1): 2009/10;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2010;
კოპა ამერიკა (1): 2001;

## კახა კალაძე (34, საქართველო)

**კარიერა**

1993-1996 დინამო თბ. 82 (1)
1998-2001 დინამო კ. 71 (6)
2001-2010 მილანი 194 (12)
2010-2012 ჯენოა 48 (1)
ეროვნული ნაკრები 83 (1)

**ტიტულები**

სკუდეტო (1): 2003/04;
იტალიის თასი (1): 2002/03;
იტალიის სუპერთასი (1): 2004;
საქართველოს უმაღლესი ლიგა (5): 1993/94, 1994/95, 1995/96, 1996/97, 1997/98;
საქართველოს თასი (4): 1994, 1995, 1996, 1997;
უკრაინის პრემიერლიგა (3): 1998/99, 1999/00, 2000/01;
უკრაინის თასი (3): 1997/98, 1998/99, 1999/00;
ჩემპიონთა ლიგა (2); 2002/03, 2006/07;
ევროპის სუპერთასი (2): 2003, 2007;
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (1): 2007;

"გაძეტა დელლო სპორტში" ვრცლად იყო მოთხრობილი სხვა ფეხბურთელების შესახებაც, თუმცა თქვენის ნებართვით, **ანტონიო დი ნატალეზე**, **მარკო დი ვაიოსა** და **ივან კორდობაზე** მხოლოდ სტატისტიკით შემოვიფარგლებით. რაც შეეხება **კახა კალაძეს**, მასზე ჩვენი იტალიელი კოლეგები ძალიან თბილად საუბრობენ და რა თქმა უნდა, არ ავიწყდებათ, რომ "მილანთან" ერთად ჩვენებურმა ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგის გათამაშება... საიმედო მცველი, რომელიც თანაბარი წარმატებით თამაშობდა როგორც დაცვის ცენტრში, ისე მარცხენა ფრთაზე; საიმედო დასაყრდენი ისეთი დიდი მცველებისთვის, როგორიც **პაოლო მალდინი**, **ალესანდრო ნესტა**, **ალესანდრო კოსტაკურტა**, **კაფუ**, **იაპ სტამი** და სხვები გახლდნენ. კახა მნიშვნელოვანი რგოლი იყო იმ დიდი გუნდის, რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო – GRAZIE KAKHA, GRAZIE RAGAZZI.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ადრიანო გალიანიმ ფილიპო ინძაგი გულში ჩაიკრა

● ძიუდო. ნაკრები



# ისევ იაპონია-კორეაში

**საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ალჟირიდან დაბრუნდა და მყისვე იაპონიაში გაემგზავრა შეკრებაზე. აფრიკაში გუნდი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილ ხუთდღიან კემპზე იმყოფებოდა, რომელიც რეგიონული პირველობების ფონზე უფრო განტვირთვა-დასვენებას და საოლიმპიადო სამზადისის წინ ძალების აღდგენას ისახავდა მიზნად, იაპონური შეკრებით კი გუნდი ლონდონის ოლიმპიადისთვის მიზანმიმართულ მზადებას იწყებს.**

სწორედ ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაკრების ავსტრიელ თავკაც **პეტერ ზაიზენბახერს** ის სპორტსმენები მიჰყავს, რომლებმაც ლიცენზიები მოიპოვეს. ასეთი კი ათია: **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (ორივე - 60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, ირაკლი ცირეკიძე** (ორივე - 100), **ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100). ამათგან ოლიმპიადაზე მხოლოდ შვიდი ნავა - გაორებული წონებიდან თითოს ამოარჩევენ, თუმცა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ათივე უნდა მოემზადოს. ღმერთმა ყველა დაიფაროს და, ტრავმის მიღების შემთხვევაში, მისი შემცვლელიც მზად უნდა გყავდეს, ოლონდ ესეც გაორებულ წონებში - დანარჩენ ოთხში, რაც უნდა მოხდეს, მონაწილის შეცვლა გამორიცხულია, რადგან სხვებმა საგზური ვერ მოიპოვეს, ანუ ვერ შევიდნენ სალიცენზიო რეიტინგის 22 მოწინავეს შორის. სწორედ ამიტომ ზაიზენბახერი ათივეს თანაბრად ამზადებს ოლიმპიადისთვის, თუმცა ტრავმების გამო ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეკრიბა - ალჟირში გუნდს ლიპარტელიანი ვერ გაჰყვა, რადგან იმ დღეებში ვენაში გადაფრინდა და მუხლზე მცირე ოპერაცია გაიკეთა, იაპონიაში კი მასთან ერთად ვერც ხანჯალიაშვილი წავიდა, რომელსაც მუხლი შესივებია და ჯერჯერობით სიარულიც უჭირს.

ჩვენები ტოკიოში დაბინავდნენ და პირველ ეტაპზე ფიზიკური მომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლიან, სადაც დიდი ადგილი შტანგებს დაეთმობა. მათთან ერთად კიდევ რამდენიმე ქვეყნის ნაკრები იქნება, ზაიზენბახერი კი გუნდს ერთ კვირაში სეულში გადაიყვანს, სადაც ასევე ერთი კვირით ივარჯიშებენ. კორეიდან ისევ ტოკიოში დაბრუნდებიან და ოდნავ მეტი დროით - 10 დღით იმუშავებენ ისევ ერთობლივ შეკრებაზე, მერე კი საქართველოში გადმოფრინდებიან და აქ გააგრძელებენ მზადებას.

**ირაკლი თავაძე**

● წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ლიგამუსი იგებს და ლიდერობას ინარჩუნებს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში გასულ უქმეებზე საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. გულშემატკივრებმა ექვსის ნაცვლად ოთხი ორთაბრძოლა იხილეს, რადგან უსახსრობის გამო თბილისში ისევ ვერ ჩამოვიდა ბათუმის გუნდი, რაც ფრიად გულსატკენია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ზღვისპირელთა საწყალბურთო ტრადიციებს.**

**ლიგამუსი-ჭაბუკთა ნაკრები 12:8**

0:3, 4:2, 3:2, 5:1

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, თუხარელი, მანძულაშვილი, იმნაიშვილი, ბაქრაძე (3), ხვედელიანი, რუსიშვილი (2), გიორგაძე (2), გეგელაშვილი (4), ნიკოლეიშვილი (1), შენგელია, ბალათურია, მწვრთნელი - ისელიძე.

**ჭაბუკთა ნაკრები:** ინწკირველი, ჩიკვაიძე (1), რევია, იმნაიშვილი, გაბადაძე, ბითაძე (3), ჯახაია, ჩერქეზიშვილი, კახეთელიძე, ყაზახიშვილი (2), ჩომახაშვილი, კაკულია (2), მწვრთნელი - პოპოვიჩი.

საქართველოს ჩემპიონის, წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ „ლიგამუსისა" და ჭაბუკთა ნაკრების მატჩი დაძაბულად, საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა. ყველასთვის მოულოდნელად პირველ პერიოდში „ლიგამუსმა" თამაშის სადავეები მეტოქეს დაუთმო და სამი ბურთიც მიიღო საკუთარ კარში. ჩემპიონებმა მეორე რვაწუთიან მონაკვეთში მდგომარეობა გამოასწორეს, თუმცა შესვენებაზე უარყოფითი ბალანსით წავიდნენ. მე-4 პერიოდის მე-4 წუთისთვის ანგარიში თანაბარი (8:8) იყო და წინასწარ ვერავინ იტყოდა, ამ მატჩში ვინ გაიმარჯვებდა. დარჩენილ 4,5 წუთში „ლიგამუსმა" აშკარად აჯობა ჭაბუკთა ნაკრებს - ზედიზედ ოთხი „მშრალი" ბურთი გაუტანა და 12:8 გაიმარჯვა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდიდან 4 ბურთით გეგელაშვილი გამოირჩა, ჭაბუკებიდან ანდრო ბითაძემ იყოჩალა - 3 გოლი.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა ლიგამუსელთა მეორე მატჩი „ზვიგენებთან". პირველი და მესამე რვაწუთიანი მონაკვეთები ჩემპიონების იყო, ხოლო მეორე და მეოთხე პერიოდებში მეტოქემ იყოჩალა, თუმცა იმდენად ვერა, რომ ლიდერისთვის ქულა აერთმია.

**ლიგამუსი-ზვიგენები 14:12**

5:3, 1:3, 5:1, 3:5

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, თუხარელი, მანძულაშვილი, იმნაიშვილი, ბაქრაძე (2), ხვედელიანი, რუსიშვილი (2), გიორგაძე (2), გეგელაშვილი (5), ნიკოლეიშვილი (3), გაბადაძე, შენგელია, ბალათურია, მწვრთნელი ისელიძე.

**ზვიგენები:** ციხელაშვილი, ალავიძე (4), ალხაზოვი, ჩოდრიშვილი (1), შერვაშიძე, თორდია, გოგელია (2), ცაგარელი, ბრეგვაძე (2), დოლიძე (1), მოსეშვილი, ჩიხლაძე, ქოიავა, ჩუბინიძე, დაუშვილი, მწვრთნელი მაისურაძე.

„ზვიგენებმა" ჩემპიონატის მესამე ტურში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია - ამჯერად შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორ „თბილისთან." არადა, სამი პერიოდის განმავლობაში ისინი მედგრად უმკლავდებოდნენ მეტოქეს. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთი სულაც თავიანთ სასარგებლოდ (3:1) დაამთავრეს და სამი პერიოდის შემდეგ ერთი ბურთის სხვაობით (8:7) იგებდნენ კიდეც. ფაქტობრივად, ვეტერანი წყალბურთელებისგან დაკომპლექტებულმა „ზვიგენებმა" დაძაბულობას ბოლომდე ვერ გაუძლეს და მატჩი ოთხი ბურთის სხვაობით დათმეს.

**ზვიგენები-თბილისი 10:14**

2:3, 3:1, 3:3, 2:7

**ზვიგენები:** ციხელაშვილი, ალავიძე ალხაზოვი, ჩოდრიშვილი (2), შერვაშიძე, თორდია, გოგელია (3), ცაგარელი (5), ბრეგვაძე, დოლიძე, მოსეშვილი, ჩიხლაძე, ქოიავა, ჩუბინიძე, დაუშვილი, მწვრთნელი მაისურაძე.

**თბილისი:** ნამორაძე, ქენქაძე (4), კოტარია (2), ბაბუნაშვილი, ლაითაძე (1), ყავლაშვილი (1), ქავთარაძე (2), ტუკვაძე, რაფავა, ჩერქეზიშვილი (4), ჩომახაშვილი, ალიბეგაშვილი, ლომიძე, მანძულაშვილი, კინწურაშვილი, მწვრთნელი ბაქრაძე.

ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა „თბილისმა" გასულ უქმეებზე კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში - ასევე, ოთხი ბურთის სხვაობით დაამარცხა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებული „ივერია". რევაზ ჩომახიძის შეგირდები ამას წინათ პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდნენ, სადაც ხუთი შეხვედრა მოიგეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. ეტყობა, „თბილისთან" დაპირისპირებამდე ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწრეს, თუმცა, მეორე პერიოდს თუ არ ჩავთვლით, მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. ამიტომ, პრაქტიკულად, მატჩის ბედი სწორედ მეორე პერიოდში გადაწყდა ვიცე-ჩემპიონების სასარგებლოდ.

**ივერია-თბილისი 7:11**

3:3, 0:3, 2:3, 2:2

**ივერია:** ჩიქვინიძე, შუბლაძე, ქარჩილაძე, ჯახაია, ცანკაშვილი (1), სხილაძე (1), ქართველიშვილი (1), კაკულია (2), ურუშაძე (1), სულაძე, ყაზახიშვილი (1), კახეთელიძე, კაპანაძე, მწვრთნელი ჩხარტიშვილი.

**თბილისი:** ნამორაძე, ქენქაძე (1), კოტარია (1), ბაბუნაშვილი, ლაითაძე (4), ყავლაშვილი, ქავთარაძე, ტუკვაძე (1), რაფავა, ჩერქეზიშვილი (2), ჩომახაშვლი (1), ალიბეგაშვილი, ლომიძე, მანძულაშვილი, კინწურაშვილი, მწვრთნელი ბაქრაძე.

სატურნირო მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ: „ლიგამუსი" - 12 (87:41), „თბილისი" - 8 (58:39), ჭაბუკთა ნაკრები - 8 (69:38), „ივერია" - 6 (47:48), „ზვიგენები" - 2 (60:70), „ბათუმი" - 0 ქულა (7:90).

**ვაჟა დანელია**



● სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# გაგამარუს და ჰაკუჰოს უჭირთ



ზაფხულის ბაშო გადამწყვეტ ფაზაში შევიდა - ელიტაში მებრძოლი ორი ჩვენებურიდან უფრო მაღალრეიტინგიან **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** უარყოფითი ბალანსი აქვს 3-6, ხოლო **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** - დადებითი 5-4. მეორე დივიზიონში მოასპარეზე **ლევან ცაგურიას (კოკაი)** კი 6 მოგება დაუგროვდა.

დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** უხერხულ სიტუაციაშია - მან ზედიზედ 3 ორთაბრძოლა წააგო, რაც 2007 წლის მერე არ მოსვლია. ჰაკუჰო (5-4) ფაქტობრივად ჩამოსცილდა იმპერატორის თასისთვის ბრძოლას, რომელშიც ოძეკი **კისენოსატო** და რიგითი მაეგაშირა **ტოჩიოძანი** დაწინაურდნენ 8-8 მოგებით.

**VII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ტოიოჰიბიკი-ჰაკუჰო (კოტენაგე), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (უვატენაგე), გოეიდო-ბარუტო (სოტოგაკე), კისენოსატო-ტაკეკაძე (ოშიდაში), მიოგირიუ-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კოტოოშუ-**გაგამარუ** (იორიკირი), კაკურიუ-არანი (იორიკირი), ჰომაშო-ამინიშიკი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-დაიდო (ოშიდაში). **ძურიო:** კიოკოშუჰო-**კოკაი** (ჰატაკიკომი).

**VIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): გოეიდო-ჰაკუჰო (იორიკირი), კაკურიუ-ბარუტო (იორიკირი), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი (კოტენაგე), კოტოოშუ-ჰომაშო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე (იორიტაოში), ამინიშიკი-არანი (ოშიტაოში), ტოჩიოძანი-მიოგირიუ (კატასუკაში), **გაგამარუ-ტოჩინოვაკა** (ოშიდაში), ვაკაკოიუ-**ტოჩინოშინი** (ჰატაკიკომი). **ძურიო:** **კოკაი**-ნიონოუმი (ოშიდაში).

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ტოიონოშიმა-ჰაკუჰო (კუბინაგე), კისენოსატო-კოტოშოგიკუ (კატასუკაში), კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი (უვატედაშინაგე), ამინიშიკი-კაკურიუ (ოშიდაში), ბარუტო-**გაგამარუ** (იორიკირი), გოეიდო-არანი (ოშიდაში), ტაკაიასუ-ჰომაშო (ოშიტაოში), ოკინოუმი-მიოგირიუ (სუკუინაგე), აოიამა-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), **ტოჩინოშინი**-ვაკანოსატო (ჰატაკიკომი). **ძურიო:** **კოკაი**-კიტაჰარიმა (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-1**: კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4).

**7-2:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კაკურიო (ოძეკი), ტამავაში (მ 15), ტაკარაფუჯი (მ 16)... **5-4:** ტოჩინოშინი (მ 8)... **3-6:** გაგამარუ (მ 2).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კაკურიუ, კოტოშოგიკუ-ბარუტო, კოტოოშუ-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, მიოგირიუ-ტოიონოშიმა, ამინიშიკი-ტაკაიასუ, ჰომაშო-არანი, **გაგამარუ**-ტაკეკაძე, ოკინოუმი-ტოიოჰიბიკი, ტოჩიოძანი-დაიდო, **ტოჩინოშინი**-შოტენრო. **ძურიო:** **კოკაი**-ტაკანოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა



# გზად დიდი სარბიელისკენ

**ნორჩი ქართველი მძლეოსნები აქედანვე მონდომებით ემზადებიან ევროპის ახალგაზრდობის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ფედერაციის ინიციატივით რეგიონებში ნიჭიერი გოგო-ბიჭების შესარჩევად რამდენიმე ღონისძიება გაიმართა, შედეგებით გამორჩეულთათვის თბილისში საწვრთნელი შეკრებებიც ჩატარდა. ერთი კვირის წინათ 1997-1999 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა თბილისის ღია პირველობაზე იასპარეზეს, გასულ შაბათ-კვირას კი მძლეოსნობის მსოფლიოს დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გამოცადეს შესაძლებლობები.**


თემურ აბულაშვილი

საგულისხმოა, რომ ამ ერთკვირიან მონაკვეთში ბევრმა მონაწილემ შედეგები გააუმჯობესა. უპირველესად გვინდა გამოვყოთ თბილისის 74-ე საჯარო სკოლის მერვეკლასელი **თემურ აბულაშვილი** (1998 წლის 9 ივლისსაა დაბადებული), რომელიც ბადროს ტყორცნაში მეორე წელიწადია, **გივი ბედოშვილის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. თბილისის პირველობაზე მან ბადრო 53,78 მეტრზე გაგზავნა, ამჯერად კი 54,1-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და, ფაქტობრივად, ამ ასაკში საქართველოს რეკორდს დაუდო სათავე. როგორც მისმა მწვრთნელმა გვითხრა, აბულაშვილის შედეგი 14-წლიანთა შორის საუკეთესოა მსოფლიოში და სტაბილური სავარჯიშო ადგილი რომ გვქონდეს, უახლოეს ხანებში მეტის მიღწევა შეიძლებაო.

სიმაღლეზე ხტომაში ქრისტინა ზოლოტუხინამ ერთი კვირის განმავლობაში საკუთარი შედეგი 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ამჯერად 152 სანტიმეტრით დაიკავა პირველი ადგილი, ბირთვის კვრაში კი მეორე იყო. ორჯერ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვანელი მარი ძაგნიძე, ქუთაისელები - ნანი სირაძე და გოგა მაღლაკელიძე... ორივე შეჯიბრების შედეგებით შეირჩევა 1998-1999 წლებში დაბადებული ექვსი გოგო-ბიჭი, რომლებიც 2 ივნისს თურქეთში გაემგზავრებიან და საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ივნისის ბოლო დეკადაში ნორჩ მძლეოსანთა ერთი ჯგუფი საწვრთნელ შეკრებაზე ჰელსინკში გაემგზავრება და ჩვენებურები იქვე ევროპის ჩემპიონატში მონაწილე უფროს თანამემამულეებს უქომაგებენ.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები**

**50 მ/თ.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 8,1), 2. გულიკო გამზარდია (ფოთი, 8,2), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 8,4). **100 მ.** 1. ნანი სირაძე (ქუთაისი, 12,7), 2. მარი მარტინენკო (ახალციხე, 13,2), 3. თეონა მაჭარაშვილი (თბილისი, 13,3). **1000 მ.** 1. დიანა ჯინისიანი (ახალციხე, 3.13,8), 2. ლიდა ბერძენიშვილი (თბილისი, 3.15,3), 3. დიანა პაპიკიანი (ახალციხე, 3.18,2). **ამანათი 4X50 მ.** 1. თბილისი - 27,8 (სალომე ხაჟომია, ალინა ეფიმოვა, ქრისტინა ზოლოტუხინა, თეონა მაჭარაშვილი), 2. ზუგდიდი - 29,4 (მეგი ლატარია, მარიამ ჯომიდავა, მეგი გაწერელია, მარიამ ტაბაღუა), 3. ვანი - 27,7 (მაკა სანიკიძე, შორენა შარაშენიძე, სალომე კოპალეიშვილი, მარი ძაგნიძე). **სიგრძე.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 5,19), 2. სალომე ფოცხვერაშვილი (4,87), 3. ლარისა ჩადუნელი (ორივე - ბორჯომი, 4,60). **სიმაღლე.** 1 ქრისტინა ზოლოტუხინა (152), 2. ალინა ეფიმოვა (130), 3. ვიკა შიშლოვა (სამივე - თბილისი, 130). **სამხტომი.** 1. ნანი სირაძე (ქუთაისი, 9,60). **ბირთვი.** 1. მარიამ ალექსეევა (ქუთაისი, 8,91), 2. ქრისტინა ზოლოტუხინა (8,89), 3. მარიამ სიდამონიძე (ორივე - თბილისი, 8,78). **ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 35,36), 2. ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 35,08), 3, მარიამ სიდამონიძე (თბილისი, 25,16). **შუბი.** 1. ია რეხვიაშვილი (18,30), 2. ნანა ბექაური (ორივე - თბილისი, 16,00). **ურო.** 1. სოფო მათიაშვილი (თბილისი, 46,47).

**ბიჭები**

**100 მ/თ.** 1 გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 15,3), 2. გიორგი რიჟამაძე (თბილისი, 16,9), 3. გიორგი მირუაშვილი (ბორჯომი, 18,5). **100 მ.** 1. გრიგოლ ახალაია (ხობი, 12,0), 2. რეზო გარდაფხაძე (ქუთაისი, 12,2), 3. ნიკა ჩიქობავა (ზუგდიდი, 12,3). **1000 მ.** 1. რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 2.54,6), 2. სანდრო ლამბაშიძე (თბილისი, 3.02,2), 3. ვლადიმირ პაპიკიანი (ახალციხე, 3.05,4). **ამანათი 4X50 მ.** 1. ქუთაისი - 25,8 (გურამ ძოწენიძე, საბა კურდღელია, გოგა მაღლაკელიძე, რეზო გარდაფხაძე), 2. ზუგდიდი - 26,8 (დავით ჭედია, ნიკა ჩიქობავა, დავით ლუკავა, დიმიტრი ტეტუნაშვილი), 3. ხობი - 27,1 (გია რურუა, გოგა ცხადაია, გრიგოლ ახალაია, ზურიკო მატახერია). **სიმაღლე.** 1. გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 155), 2. სანდრო ჯამერაშვილი (150), 3. გურამ ძოწენიძე (ორივე - თბილისი, 145). **სამხტომი.** 1. საბა კურდღელია (ქუთაისი, 11,62), 2. დათო ნარტყოშვილი (10,49), 3. ნიკოლოზ ყულოშვილი (ორივე - თბილისი, 9,14). **ბირთვი.** 1. გიორგი მუჯირიძე (გორი, 13,90), 2. შოთა გუგეშაშვილი (თბილისი, 12,03), 3. გრიგოლ ახალაია (ხობი, 10,63). **ბადრო.** 1. თემურ აბულაშვილი (თბილისი, 54,10), 2. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 40,10), 3. შოთა გუგეშაშვილი (თბილისი, 38,80). **შუბი.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 30,80), 2. გია რურუა (ხობი, 30,02), 3. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 29,02). **ურო.** 1. გიორგი ტყემალაძე (53,57), 2. გიორგი ონიანი (48,29), 3. გურამ სამხარაძე (სამივე - თბილისი, 47,84). **ჭოკი.** 1. ლაშა ქარქუსაშვილი (თბილისი, 230). **გუნდური.** 1. ქუთაისი - 180, 2. თბილისი - 162, 3. ზუგდიდი - 130.

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ჯობავამ ეროვნული ორი მოგებით დაიწყო

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი. 12 დიდოსტატსა და საერთაშორისო ოსტატს შორის წრიული სისტემით გამოვლინდებიან სამივე სინჯის მედლების მფლობელები. პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულთ ფულადი ჯილდოები (საპრიზო ფონდია 14000 ლარი) გადაეცემათ: I - 4500, II - 3500, III - 3000, IV - 2000, V - 1200 ლარი. ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

შეჯიბრების რეიტინგფავორიტია (2721) საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი **ბაადურ ჯობავა,** რომელიც ოთხწლიანი „შესვენების“ შემდეგ დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს. პირველ ტურში წილისყრამ საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატს - **კონსტანტინე შანავას** (2589) შეახვედრა. ბაადურმა ეს პაექრობა თეთრებით უპრობლემოდ მოიგო. სამაგიეროდ, ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე **ირაკლი ბერაძემ** (2298) შავი ფიგურებით **მერაბ გაგუნაშვილს** (2570) სძლია, რაც ფრიად მოულოდნელი იყო. **ზურაბ ჯავახაძემ** (2418) **ივერი ჭილაძე** (2390) დაამარცხა. პირველი ტურის დანარჩენი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: **ლევან ფანცულაია** (2581) - **დავით ლომსაძე** (2345), **გიგა ყუფარაძე** (2471) - **დავით არუთინიანი** (2561), **ლუკა პაიჭაძე** (2480) - **დავით ზარქუა** (2446).

გუშინ ბაადურ ჯობავამ მეორე ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში - ამჯერად 79-ე სვლაზე საქართველოს ჩემპიონ დავით ზარქუას მოუგო. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: დავით არუთინიანი-კონსტანტინე შანავა 0,5:0,5, ივერი ჭილაძე-მერაბ გაგუნაშვილი 0:1, გიგა ყუფარაძე-ლევან ფანცულაია 1:0, ირაკლი ბერაძე-ლუკა პაიჭაძე 0:1, დავით ლომსაძე-ზურაბ ჯავახაძე 1:0.

ორი ტურის შემდეგ: ჯობავა - 2, პაიჭაძე, ლომსაძე, ყუფარაძე - 1,5-1,5, გაგუნაშვილი, ბერაძე, არუთინიანი, ჯავახაძე - 1-1, შანავა, ფანცულაია, ზარქუა - 0,5-0,5, ჭილაძე - 0 ქულა.

ვაჟა დანელია


ბაადურ ჯობავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აროშიძე მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა

ესპანურ სალოუში მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ტურის წინ 6,5-6,5 ქულით უკრაინელი სერგეი ფედორჩუკი და ესპანელი ალექსის გაბრერა მეწინავეობდნენ. ფედორჩუკი მასპინძელ ხოზე კარლოს იბარას დაუზავდა, ხოლო გაბრერამ თანამემამულე ალონსო ალეხანდრო ფრანკო დაამარცხა, მოაგროვა 7,5 ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ვლადიმირ ბურმაკინი (რუსეთი) - ჰიპოლიტო ასისი (ესპანეთი) 0,5:0,5, რობერტ ალომ (ესპანეთი) - ლევან აროშიძე (საქართველო) 0:1, მანუელ ვეჰი (ესპანეთი) - ალვარეს მარტინი (ესპანეთი) 1:0, რუსლან პოგორელოვი (უკრაინა) - ვიქტორ მოსკალენკო (უკრაინა) 1:0, დავიდ ლარინო (ესპანეთი) - ადრის სტრებკოვსი (ლიტვა) 1:0.

როგორც აღვნიშნეთ, 7,5 ქულით პირველობა გაბრერას ერგო. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ფედორჩუკი. ბურმაკინმა, იბარამ, აროშიძემ და ვეჰიმ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და კოეფიციენტით, შესაბამისად, მესამე-მეექვსე ადგილები გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# სტუ-ს მე-19 გაელვება



სამწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატს ქვეყნის პირველობების 18-გზის გამარჯვებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც თავიდანვე ტიტულის მოპოვება დაისახა მიზნად და წადილიც აისრულა - ჩემპიონატის ბოლო ტურში „თსუ-თბილისს“ მოუგო 33:30 და დაუმარცხებლად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეცხრამეტედ ავიდა. წაგების მიუხედავად, „თსუ-თბილისმა“, რომელიც რვა ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს, ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ამავე ტურში „კახეთმა“ ახალგაზრდულ ნაკრებს სძლია 37:35, ხოლო „თსსუ-მერანმა“ „ქუთაისს“ აჯობა - 50:36. საბოლოოდ 22-ე ეროვნულ ჩემპიონატში ადგილები ასე განაწილდა: სტუ-40, „თსუ-თბილისი“ - 32, „თსსუ-მერანი“ - 24, „კახეთი“ - 14, „ქუთაისი“ - 6, ახალგაზრდული ნაკრები - 4 ქულა.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# ანა ანასთან ვერას გახდა


ანა ტატიშვილი

გუშინ გამოქვეყნდა ახალი რეიტინგ-ლისტები, რომელშიც საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** 3 საფეხურით დაქვეითდა - 873 ქულით მსოფლიოს 72-ე ჩოგანია. სხვები: 201 (-5) **მაკა ჩახნაშვილი** - 296 ქულა; 276 (-1) **სოფიო შაფათავა** - 186; 405 (-17) **სოფიო ქვაცაბაია** - 92; 469 (+8) **ეკა გორგოძე** - 73; 487 (+4) **თათია მიქაძე** - 70; 522 (-29) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 61; 706 (-5) **ნათია გეგია** - 30; 1025 (+1) **ანი გოგვაძე** - 10.

ანა ტატიშვილისთვის (72) რომის საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 5 მილიონ დოლარზე მეტია, დასრულებულია - ჩვენებური რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველ ჩოგბურთელს, **ანა ჩაკვეტაძეს** ხვდებოდა, რომელიც რეიტინგში მოწინავე სამასეულშიც არ არის, თუმცა ყველას მოეხსენება, ჩაკვეტაძის სათამაშო კლასი: მსოფლიოს ყოფილმა მე-5 ჩოგანმა ჩვენებურს წარმატების მინიმალური შანსიც არ მისცა - 6:4, 6:1.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## ვლადიმერ აფციაური აღარ გვყავს!

გუშინ საღამოს თავზარდამცემი ამბავი შევიტყვეთ: 50 წლისა უეცრად გარდაიცვალა ფარიკაობაში სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1988), მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მეორე (1988) და სამგზის მესამე პრიზიორი (1982, 86, 90), ევროპის თასის მფლობელი (1985), საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1984), უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1986), სსრკ ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1984), ქუვეითის ნაკრების (რაპირა) მთავარი მწვრთნელი (1998-2010), სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ვლადიმერ აფციაური.**

კალათბურთი

● სუპერლიგა. 1/2 ფინალის რჩეულნი

# უილიამ MVP




გამთამაშებლად **ლაშა გამყრელიძე**, ფლანგებზე **ბენ ვუდსაიდი** და **გიორგი ცინცაძე**, ფარქვეშ კი **უილიამ ტომასი** და **ივან ტოდოროვიჩი**. ვფიქრობთ, მეტად საინტერესო ხუთეულია, მობილური, გამოცდილი... სწორედ ეს კალათბურთელები გაუძღვნენ საკუთარ კლუბებს ფინალისკენ.

ნახევარფინალში მართალია, ორივე სერია მშრალი ანგარიშით (3:0) დასრულდა, მაგრამ წაგებულთაგანაც არაერთმა კალათბურთელმა ითამაშა კარგად. ამიტომ საუკეთესოების გამორჩევა ძალიან გაგვიძნელდა. ასეთ დროს კი მშველელად მარგი ქმედების კოეფიციენტი მოგვევლინა. სწორედ ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს ამა თუ იმ კალათბურთელის ღირებულებას. სამ ნახევარფინალში მოთამაშეთა მარგი ქმედების კოეფიციენტები შევკრიბეთ, სამზე გავყავით და ვისაც ყველაზე მაღალი მქკ აღმოაჩნდა, სიმბოლურშიც ის შევიყვანეთ.

ამავე ხერხით გამოვავლინეთ ნახევარფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელი. არმიელმა **უილიმ ტომასმა** სამივე შეხვედრა სტაბილურად ჩაატარა (საშუალოდ 20.3 მქკ) და MVP-ად აღიარებაც დაიმსახურა. მას სარგებლიანობის საშუალო მაჩვენებლით თანაგუნდელი **ბენჟამინ ვუდსაიდი** მოჰყვა - 17.7...

ტურის მწვრთნელებად ფინალისტი „არმიას“ და „ოლიმპის“ თავკაცები „დავნიშნეთ“. **კოტე ტულუშისა** და **გია კაზანჯიანის** გუნდებმა ნახევარფინალები მაღალ დონეზე ჩაატარეს.


უილიამ ტომასი ჩვეულ სტიქიაში
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## რეკორდები

**ქულა**

43 - ბექა ჩიკვილაძე (თსუ)
2-ქულ 4/13; 3-ქულ 8/16; საჯ. 11/19
21.04.12 შსს-თსუ

**მოხსნა**

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი
20 - ქიენ კარტერი (დინამო)
03.05.12 ოლიმპი-დინამო

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი
14 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

8 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
10.03.12 სამედიცინო-არმია

**დაფარება**

11 - მილან ოლუიჩი (დინამო)
09.05.12 დინამო-თსუ

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 17 | 445 | 26.18 |
| 2 | ქიენ კარტერი | დინამო | 21 | 494 | 23.52 |
| 3 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 25 | 508 | 20.32 |
| 4 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 20 | 386 | 19.3 |
| 5 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 25 | 455 | 18.2 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 19 | 329 | 17.32 |
| 7 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 18 | 305 | 16.94 |
| 8 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 20 | 335 | 16.75 |
| 9 | უილიამ ტომასი | არმია | 23 | 382 | 16.61 |
| 10 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 18 | 296 | 16.44 |
| 11 | დუდა სანაძე | დინამო | 18 | 287 | 15.[illegible] |
| 12 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 16 | 255 | 15.94 |
| 13 | ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 24 | 368 | 15.33 |
| 14 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 20 | 302 | 15.1 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 21 | 111 | 177 | 288 | 13.71 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 24 | 58 | 174 | 232 | 9.67 |
| 3 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 25 | 61 | 173 | 234 | 9.36 |
| 4 | მილან ოლუიჩი | დინამო | 14 | 30 | 98 | 128 | 9.14 |
| 5 | აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 22 | 76 | 114 | 190 | 8.64 |
| 6 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 16 | 59 | 79 | 138 | 8.63 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 19 | 37 | 126 | 163 | 8.58 |
| 8 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 58 | 83 | 141 | 8.29 |
| 9 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 24 | 93 | 103 | 196 | 8.17 |
| 10 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 18 | 48 | 98 | 146 | 8.11 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 22 | 168 | 7.64 |
| 2 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 18 | 123 | 6.83 |
| 3 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 23 | 148 | 6.43 |
| 4 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 17 | 105 | 6.18 |
| 5 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 20 | 109 | 5.45 |
| 6 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 25 | 119 | 4.76 |
| 7 | დავით არწივიძე | რუსთავი | 20 | 95 | 4.75 |
| 8 | ბექა წივწივაძე | დინამო | 11 | 52 | 4.73 |
| 9 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 23 | 105 | 4.57 |
| 10 | ენტონი მუდი | შსს აკადემია | 13 | 51 | 3.92 |
| 11 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 26 | 102 | 3.92 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 17 | 51 | 3 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 20 | 49 | 2.45 |
| 3 | ბენჟამინ ვუდსაიდი | არმია | 18 | 43 | 2.39 |
| 4 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 21 | 46 | 2.19 |
| 5 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 20 | 40 | 2 |
| 6 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 34 | 2 |
| 7 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 23 | 46 | 2 |
| 8 | ზვიად ანთაძე | სტუ | 20 | 37 | 1.85 |
| 9 | ქიენ კარტერი | დინამო | 21 | 37 | 1.76 |
| 10 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 20 | 35 | 1.75 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 14 | 66 | 4.71 |
| 2 | იოაკიმ შელბომი | არმია | 25 | 43 | 1.72 |
| 3 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 20 | 25 | 1.25 |
| 4 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 23 | 27 | 1.17 |
| 5 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 24 | 27 | 1.13 |
| 6 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 21 | 23 | 1.1 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 25 | 27 | 1.08 |
| 8 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 21 | 21 | 1 |
| 9 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 17 | 17 | 1 |

### შეცდომა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 25 | 118 | 4.72 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 22 | 82 | 3.73 |
| 3 | ბექა წივწივაძე | დინამო | 11 | 41 | 3.73 |
| 4 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 23 | 80 | 3.48 |
| 5 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 23 | 80 | 3.48 |
| 6 | ალექსანდრე ზესევიჩი | დინამო | 13 | 44 | 3.38 |
| 7 | მიხეილ ძოძუა | სამედიცინო | 24 | 81 | 3.38 |
| 8 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 18 | 60 | 3.33 |
| 9 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი-რსუ | 20 | 65 | 3.25 |
| 10 | ზურა მაჭავარიანი | რუსთავი | 19 | 58 | 3.05 |

● აღიარება



# გიორგი შერმადინი ევროლიგაზე გამოარჩიეს

ევროლიგის 2011-12 წლების გათამაშება „ოლიმპიაკოსის“ გამარჯვებით კვირას დასრულდა. გამოცემა „ევრობასკეტმა“ ჩამოთვალა ევროლიგის საუკეთესონი, რომელთა შორის ზედიზედ მეორედ **გიორგი შერმადინი** მოხვდა.

დასახელდა I, II და III სიმბოლური ნაკრები, რომელთა შემდეგაც „საპატიო რვაეული“ შედგა. სწორედ ამ რვას შორის „დაიდო ბინა“ ქართველმა ცენტრმა. იგი სახელიანი სპორტსმენების გვერდითაა: **დევიდ ანდერსენი** (მონტეპასკი, იტალია), **ალექსეი შვედი** (ცსკა, რუსეთი), **ჯეის ქეროლი** (რეალი, ესპანეთი), **დანილო გალინარი** (მილანი, იტალია), **ლუკა ზორიჩი** (უნიკახა, ესპანეთი), **ჯოელ ფრილენდი** (უნიკახა, ესპანეთი), **ჯოშუა შიპი** (გალათასარაი, თურქეთი).

აქვე გაგაცნობთ „ევრობასკეტისეულ“ სიმბოლურ ხუთეულს: **ვასილის სპანულისი** (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), **დიმიტრის დიამანტიდისი** (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), **ანდრეი კირილენკო** (ცსკა,რუსეთი), **ერაზემ ლორბეკი** (ბარსელონა, ესპანეთი), **ნენად კრსტიჩი** (ცსკა, რუსეთი).

■ ■ ■

ზუსტად ერთი კვირის წინ დავწერეთ, რომ გიორგი შერმადინის ისრაელის „მაქაბიში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. იტალიელებზე დაყრდნობით ისიც მოგახსენეთ, რომ წინასწარი კონტრაქტიც გაფორმებულია, თუმცა რადგან სეზონი ჯერ არ დასრულებულა და გიორგის იტალიის ჩემპიონატის პლეი ოფები ელის, ოფიციალურად დეტალები არ ხმაურდება. გუშინ კიდევ ერთი სიახლე შევიტყვეთ: ლიტვური გამოცემა „კრეპშინისი“ წერს, რომ ორთვიანი მსჯელობის შემდეგ „მაქაბისა“ და შერმადინის წარმომადგენლები შეთანხმდნენ: 23 წლის ქართველი ცენტრი ისრაელის გრანდში 2 სეზონს გაატარებს.

დაბოლოს, გიორგის იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის მსვლელობისას ფეხის თითის ძვალი გაებზარა, ოპერაციაც გაიკეთა და როგორც იტალიელი ექიმები ვარაუდობდნენ, რეაბილიტაციის პროცესი პლეი ოფებამდე უნდა დასრულებულიყო. იტალიაში მეოთხედფინალები 17 მაისიდან იწყება. იმედი დავიტოვოთ, რომ შერმადინი დათქმულ დროს ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლეგიონერები

# საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ხუთი იბრძოლებს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. პლეი ოფში გასული ექვსი გუნდიდან ხუთი ქართველი მორაგბეებისაა. ესენია: „ტულუზი", „კლერმონი", „ტულონი", „კასტრი" და „მონპელიე". სამწუხაროდ, ელიტიდან გავარდნილი ორი გუნდიდან, ორივე ქართველებისაა, „ბრივი" და „ლიონი".**

ბოლო ტური უხვი გამოდგა როგორც ლელოებით, ისე წითელ-ყვითელი ბარათებით. საინტერესოდ და საკმაოდ დაძაბულად წარიმართა ბრძოლა ტულუზში, სადაც **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** ადგილობრივი გუნდი **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს" მასპინძლობდა. შეხვედრა ტულუზელთა გამარჯვებით 20:13 დასრულდა.

მატჩის 28-ე წუთზე, მაშინ, როცა „მონპელიე" უტევდა ჩხუბი ატყდა. რამდენიმე მორაგბე ერთმანეთისკენ იწევდა, მათ შორის გორგოძეც. „ტულუზის" მეორეხაზელი **იონ მაესტრი** ოდნავ მოშორებით იდგა და როცა გორგოძეს აქტიურობა შენიშნა, მისკენ დაიძრა, მაგრამ ამაოდ, რადგან მამუკამ, ისევე როგორც სხვა ბევრი, მაესტრიც ფეხქვეშ გაიდო.

მატჩის არბიტრმა **ფრენკ მასიელომ** ორივეს, გორგოძესაც და მაესტრისაც წითელი ბარათი უჩვენა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელს პლეი ოფში „კასტრთან" დაპირისპირების გამოტოვება მოუწევს. სადისციპლინო კომიტეტი, სავარაუდოდ, ამასაც არ აკმარებს და რამდენიმე კვირით დასჯის. თუმცა, გამორიცხული არ არის, მეტად არ დასაჯოს.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „მონპელიეს" კაპიტანს, **ფულენსე უოდრაოგოს** მომხდარზე კომენტარი სთხოვეს. აი რა უპასუხა მან:

*„როდესაც ბატონ მასიელოს ვკითხე, გორგოძემ წითელი ბარათი რის გამო დაიმსახურა-მეთქი, მიპასუხა - მან ყველაზე მეტი დარტყმა განახორციელაო. ეს სასაცილო არგუმენტია. ჩვენ ჩხუბისას დარტყმებს არ ვითვლით. გორგოძე არა მარტო მოთამაშე, არამედ როგორც პაუკაციც, არავისზე ნაკლები არ არის. ვერ ვხვდები, რატომ ტყდება ხოლმე ჯოხი ყოველთვის მასზე? იმედი მაქვს, მკაცრად არ დასჯიან, იმიტომ, რომ ყველამ ძალიან კარგად იცის, გორგოძე რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენი გუნდისთვის".*

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ გორგოძეს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მისვლა არ მოუწევს. მატჩის არბიტრის მიერ წარდგენილი პატაკის მიხედვით, მას მხოლოდ 10-დღიანი დისკვალიფიკაცია ელის.

ერთი სიტყვით, „მონპელიე" დამარცხდა და მე-5 ადგილს დასჯერდა. როგორც უკვე ვთქვით, მისი მეტოქე ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში „კასტრი" იქნება. მონპელიელებს თამაში სტუმრად მოუწევთ და თუ მოიგებენ, ნახევარფინალში ისევ „ტულუზს" დაუპირისპირდება.

„ტულუზთან" მატჩში **გიორგი ჟღენტი** მოედანზე 48-ე წუთიდან გამოჩნდა, ნარიაშვილი, შველიძე, ბრეგვაძე და გიორგაძე განაცხადში არ იყვნენ.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა" თავის მხრივ შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი" - 31:29 და რეგულარული გათამაშება მეოთხე ადგილზე დაასრულა. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა" შინ მოუგო **დავით ხინჩაგიშვილისა, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს" - 57:14. ბრიველები მომავალი სეზონიდან მეორე დივიზიონში იასპარეზებენ. თუმცა ამ კლუბის ქართველი მოთამაშეები, სავარაუდოდ, ყველა ისევ ელიტურ, პირველი დივიზიონის კლუბებში იასპარეზებენ. ერთი მათგანის, ვასილ კაკოვინის ბედი დიდი ხანია გარკვეულია. ის მალე „ტულუზის" კვართს მოირგებს.

ზირაქაშვილმა ამ მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნატრიაშვილი შეხვედრაში 50-ე წუთიდან გამოჩნდა, კოლელიშვილი, ხინჩაგიშვილი და კაკოვინი განაცხადში არ იყვნენ.

„კლერმონი" 87 ქულით მე-2 ადგილზე გავიდა და პირდაპირ ნახევარფინალში ითამაშებს. აქ მისი მეტოქე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონსა" და პარიზულ „მეტრო რასინგს" შორის გამარჯვებული იქნება.

ტულონელებმა ბოლო ტურში სტუმრად მოუგეს **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონს" - 29:5. რატიანიძე თამაშში მე-5 წუთიდან ჩაერთო და 55-ე წუთზე გაასინბინეს. კავთიძე მოედანზე 65-ე წუთიდან გამოჩნდა და ყვითელი ბარათი ერთ წუთში დაიმსახურა. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 27-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა, რადგან მუხლი დაიშავა.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა" შინ დაამარცხა „მეტრო რასინგი" 25:22 და ტურნირი მე-10 ადგილზე დაასრულა. შეყლაშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო.

**I დივიზიონი**

**XXVI ტური**

**კასტრი-ბაიონი 31:29, კლერმონი-ბრივი 57:14, ტულუზი-მონპელიე 20:13, ბიარიცსტად ფრანსე 16:5, ბორდო-პერპინიანი 37:29, აჟენი-მეტრო რასინგი 25:22, ლიონი-ტულონი 5:29.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 87 ქულა, 2. კლერმონი - 87, 3. ტულონი - 73, 4. კასტრი - 69, 5. მონპელიე - 67, 6. მეტრო რასინგი - 64, 7. სტად ფრანსე - 58, 8. ბორდო - 53, 9. ბიარიცი - 52, 10. აჟენი - 52, 11. პერპინიანი - 49, 12. ბაიონი - 48, 13. ბრივი - 42, 14. ლიონი - 31.**

**პლეი ოფი**

**კასტრი-მონპელიე, ტულონი-მეტრო რასინგი**

რეგულარული გათამაშება დასრულდა ელიტურ, მეორე დივიზიონშიც. პირველი დივიზიონის საგზური აქ სამი ტურის წინ **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" მოიპოვა. მეორე პირველდივიზიონელის ვინაობა კი პლეი ოფში გაირკვევა, რომელშიც **ზერო პეტრიაშვილისა** და **დავით ლოსაბერიძის** „პო" შინ ეთამაშება „ლა როშელს". მეორე წყვილში კი „მონ დე მარსანი" „დაქსს" უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებში მომავალი სეზონიდან, შესაძლებელია, ქართველი მორაგბეებიც გამოჩნდნენ.

„პომ" ბოლო ტურში სტუმრად დაამარცხა „ოში" - 17:14 და 87 ქულით რეგულარული გათამაშება მე-2 ადგილზე დასრულა. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

მომავალი სეზონიდან ფედერალ 1 დივიზიონში იასპარეზებს **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგო", რომელმაც შინ მინიმალური სხვაობით მოუგო „ექსს" - 39:38. ზიბზიბაძე 38-ე წუთზე შეცვალეს, იმავდროულად თამაშში ჩაერთო დადუნაშვილი, რომელიც არბიტრმა 70-ე წუთზე გაასინბინა. მარგველაშვილი თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

**ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკმა" შინ დაამარცხა „ლა როშელლი" 35:14. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ნაცარაშვილი 54-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**XXX ტური**

**პერიგო-ექსი 39:38, კარკასონი-ბეზიე 47:45, ბურგუენი-დაქსი 27:12, ოიონაქსი-გრენობლი 23:6, ორიაკი-ლა როშელი 35:14, მონ დე მარსანი-ნარბონი 28:18, ოში-პო 14:17, ალბი-ტარბი 35:29.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. გრენობლი - 105 ქულა, 2. პო - 87, 3. მონ დე მარსანი - 84, 4. დაქსი - 84, 5. ლა როშელი - 81, 6. კარკასონი - 81, 7. ალბი - 72, 8. ოიონაქსი - 69, 9. ბურგუენი - 66, 10. ოში - 65, 11. ექსი - 63, 12. ტარბი - 61, 13. ორიაკი - 60, 14. ნარბონი - 59, 15. ბეზიე - 46, 16. პერიგო - 41.**

**პლეი ოფი**

**პო-ლა როშელი, მონ დე მარსანი-დაქსი.**



ბურთით მამუკა გორგოძე

ზე რაგბი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მელბურნ რებლზი-კრუსეიდერზი

# უცნაური ტურის უცნაური შედეგები

**ზე რაგბის გათამაშების მე-12 ტური ერთობ უცნაური გამოდგა. ყველამ არა, მაგრამ რამდენიმე ფავორიტმა მოულოდნელად მარცხი განიცადა. ტური სიდნეიში ადგილობრივი „ვორათაზისა" და C ჯგუფის ლიდერის პრეტორიის „ბლუ ბულზის" დაპირისპირებით გაიხსნა.**

სიდნეელებმა მასპინძლების კვალობაზე, თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და პირველი ტაიმი მათი უპირატესობით წარიმართა. თუმცა შესვენებაზე „ვორათაზი" მხოლოდ სამქულიანი უპირატესობით წავიდა - 13:10.

მეორე ნახევარში პრეტორიელებმა თამაში გაათანაბრეს, მაგრამ 77-ე წუთამდე 24:21 აგებდნენ. მათი მორიგი იერიში მასპინძელთა ლელოს მისადგომებთან მორკინალთა რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ შერკინების ბურჯმა, **ვერნერ კრუხერმა** დაასრულა. სტუმრებმა საბოლოოდ სამი ლელოს გატანა და მატჩის 27:24 მოგება მოახერხეს. „ბლუ ბულზის" მგეზავმა **მორნი სტეინმა** სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო მიითვალა (12 ქულა).

A ჯგუფის ერთ-ერმა აუტსაიდერმა „მელბურნ რებლზმა" შინ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან - ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთან" - 28:19. არადა, პირველ ტაიმში ახალზელანდიელებმა უკეთ ითამაშეს და შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ.

მეორე ნახევარში რებლზმა თავის არსებობაში საუკეთესო რაგბობა აჩვენა და მეტოქე 19 ქულაზე „გაყინა". მელბურნელებმა სამი ლელო გაიტანეს, აქედან ორი ცხრა ნომრის, ნიკოლას ფილიპსის ანგარიშზეა, ერთიც „ბებერმა" **სტირლინგ მორთლოქმა** მიითვალა.

ამავე ჯგუფში შარშანდელმა ჩემპიონმა, ბრისბენის „რედსმა", რომელსაც ამჟამად კრიზისი აქვს, მოულოდნელად დაამარცხა B ჯგუფის ლიდერი ჰემილთონის „ჩიფსი" - 42:27.

პირველ ტაიმში აქაც სტუმრებმა იყოჩაღეს და შვიდი ქულის სხვაობით მოიგეს. თუმცა მერე, „წითლებმა" თამაშის ტემპს უმატეს და მრისხანე მეტოქე ხუთჯერ დაალელოვეს. ბრისბენელთა შუამარბმა **მაიკლ ჰარისმა** გუნდს 17 ქულა მოუტანა (ოთხი გარდასახვა, ორი საჯარიმო და არეკნი).

**A ჯგუფი**

**ვორათაზი-ბლუ ბულზი 24:27, მელბურნ რებლზი-კრუსეიდერზი 28:19, რედსი-ჩიფსი 42:27.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 39 ქულა, 2. რედსი - 31, 3. ვორათაზი - 27, 4. მელბურნ რებლზი - 24, 5. ფორსი - 18.**

**XIII ტური**

**რედსი-ლაიონზი, ფორსი-მელბურნ რებლზი**

B ჯგუფში ისევ მეოთხე მარცხი ივნია დანიდინის „ჰაილენდერზმა", რომელსაც, როგორც ჩანს, ცუდი დროება დაუდგა. დანიდინელებმა შინ წააგეს ველინგტონის „ჰარიკენზთან" 20:26. მასპინძლები შეხვედრაში 70-ე წუთამდე წინ იყვნენ და მატჩი ბოლო ათ წუთში დათმეს. სტუმართა მგეზავმა **ბოდენ ბარეტმა** ოთხი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (16 ქულა).

ამავე ჯგუფის აუტსაიდერმა ოქლენდის „ბლუზმა" შინ C ჯგუფის ასევე მაჩანჩალას, იოჰანესბურგის „ლაიონზს" უმასპინძლა და საკამოდ იოლად 25:3 დაამარცხა. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რაზეც მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს.

**B ჯგუფი**

**ბლუზი-ლაიონზი 25:3, ჰაილენდერზი-ჰარიკენზი 20:26.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 44 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 37, 3. ჰაილენდერზი - 35, 4. ჰარიკენზი - 34, 5. ბლუზი - 16.**

**XIII ტური**

**ჰარიკენზი-ბრამბიზი, ჰაილენდერზი-ბლუ ბულზი, კრუსეიდერზი-ბლუზი.**

C ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერმა ბლუმფონტეინის „ჩიტაზმა" მოულოდნელად დიდი წინააღმდეგობა გაუწია სტუმრად ამავე ჯგუფის მეორეადგილოსან კეიპთაუნის „სტორმერზს". თუმცა, მაინც დამარცხდა 14:16. კეიპთაუნელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს 22-ე წუთისთვის უკვე 16:0 იგებდნენ.

ამის მერე, „სტრომერზმა" თითქოს თამაში შეწყვიტა. ,ასპინძლებმა მონაგარს ველარაფერი შესძინეს, მაშინ როცა ბლუმფონტეინელებმა ორი ლელოს გატანა მოახერხეს, თუმცა მატჩის ბედის სათავიოსოდ შემობრუნება ველარ შეძლეს.

**C ჯგუფი**

**სტორმერზი-ჩიტაზი 16:14, ნატალ შარქსი-ფორსი 53:11**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბლუ ბულზი - 46 ქულა, 2. სტორმერზი - 45, 3. ნატალ შარქსი - 36, 4. ჩიტაზი - 27, 5. ლაიონზი - 14.**

**XIII ტური**

**ჩიტაზი-ნატალ შარქსი, სტორმერზი-ვორათაზი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# მეშვიდე კლიპერსისა იყო

მერვედფინალურ ეტაპს "მემფისი" და "კლიპერსი" ასრულებდნენ, რომელთა სერია შვიდ მატჩამდე გაიწელა. "გრიზლისის" ფანები ბოლო მატჩს დიდ იმედებს უკავშირებდნენ, რადგან მათი საყვარელი გუნდი შინ თამაშობდა და თან მეტოქის ლიდერები – **გრიფინი** და **პოლი** შორს იყვნენ ოპტიმალური ფიზიკური ფორმისგან. შესაძლოა, ამ დუეტმა მართლაც ვერ მოასწრო ბოლომდე მეშვიდე მატჩისთვის აღდგენა, მაგრამ ამან საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოახდინა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტ შეხვედრაში გუნდებმა აქცენტი დაცვით თამაშზე გააკეთეს: ნელი ტემპი, პოზიციური ბრძოლა... თითქოს, თამაშის ასეთი სცენარი უფრო "გრიზლისს" აწყობდა, რომლის დაცვის ხაზი რეგულარულში ხუთ საუკეთესოს შორის შედიოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლის ასეთი სტილი "კლიპერსსაც" აწყობდა – მეორე მეოთხედის შუაში **დელ ნეგროს** შეგირდები 10 ქულას იგებდნენ.

ეკვატორისთვის მასპინძლებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. აღსანიშნავია, რომ "კლიპერსს" უპირატესობა რეზერვისტებმა მოუტანეს, ხოლო მისი გაფლანგვა სასტარტო ხუთეულმა მოახერხა.

თუმცა კალიფორნიელების სათადარიგოთა სკამმა კიდევ ერთხელ მიიღო თავის გამოჩენის შანსი. ბოლო მეოთხედში **მარტინის, იანგის, ბლედსოუს** სროლებმა, აგრეთვე **უილიამსის** სამქულიანმა სტუმრებს ისევ მოუტანა ორნიშნა უპირატესობა. ეს სირენამდე შვიდი წუთით ადრე მოხდა. ნელი თამაშის ფონზე, ეს კოლოსალური სხვაობა იყო. რა თქმა უნდა, "მემფისს" არაერთხელ ამოუქაჩავს მსგავსი სხვაობა, მაგრამ ამ შემთხვევაში "კლიპერსი" დამაჯერებლად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას. მაქსიმუმი, რაც "მემფისმა" გააკეთა, ჩამორჩენის ექვს ქულამდე დაყვანა იყო. ამის შემდეგ **გასოლის** ორმა შეცდომამ და **ალენის** ორმა პერსონალურმა "გრიზლისს" ბრძოლის გაგრძელების შანსი არ დაუტოვა.

მეოთხედფინალში "კლიპერსი" "სან ანტონიოს" შეხვდება.

| მემფისი–კლიპერსი | 72:82 |
|---|---|

13:16, 25:23, 18:16, 16:27

**მ:** გასოლი (19+5 მოხსნა+3 დაფარება), გეი (19+9 მოხსნა), რენდოლფი (9+12 მოხსნა), კონლი (7+5 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (7), მაიო (4+7 მოხსნა), პონდექსტერი (3), კანინგემი (2), სპეიტსი (2).

**კ:** პოლი (19+9 მოხსნა+4 პასი), იანგი (13), მარტინი (11+10 მოხსნა+2 დაფარება), უილიამსი (9), ბატლერი (8+5 მოხსნა), ბლედსოუ (8+3 პასი), გრიფინი (8+2 დაფარება), ფოიე (6), ევანსი (0+9 მოხსნა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (32.5/38.5), სამქულიანები (0/23.5), საჯარიმოები (71/78.3).

**სერია:** 3-4



კლიპერსი მეოთხედფინალშია

● NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ჰიტს გაუჭირდა

პორტალ ESPN-ის 16 ანალიტიკოსიდან ვერც ერთმა ვერ გაბედა ამ სერიაში "ინდიანას" წარმატების პროგნოზირება. მიუხედავად ამისა, **ფოგელის** შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ ისინი თვით "მაიამისთვისაც" საფრთხეს წარმოადგენენ. "ჰიტს" მაქსიმალურად დახარჯვამ მოუწია გამარჯვების მოსაპოვებლად.

**დუეინ უეიდისა** და **ლებრონ ჯეიმსის** დუეტმა ამ მატჩში 62 ქულა დააგროვა. დუეინი ხშირად იღებდა საკუთარ თავზე თამაშს, საფირმო გარღვევებს ასრულებდა და ამ აქტიურობის წყალობით, 14 საჯარიმოს შესრულების უფლება მიიღო. აქედან მხოლოდ ერთხელ შეცდა. გარდა ამისა, ვარსკვლავური დუეტი შესანიშნავად გამოიყურებოდა დაცვაში. მათი დამსახურებაა ის, რომ ჩააგდეს შეხვედრა **გრეინჯერმა** და **ჯორჯმა**, რომლებმაც ჯამში 15 სროლიდან მხოლოდ ორი მოათავსეს კალათში. გარდა ამისა, "პეისერსის" სასტარტო ხუთეულის ერთბაშად სამმა წევრმა (**ჰილი, ჯორჯი** და **ჰიბერტი**) საკმაოდ დიდი დრო ხუთ-ხუთი პერსონალურით ითამაშა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ფლორიდელებს არ გამოუვიდათ ძალების მინიმალური დახარჯვით თამაშის მოგება. მაგალითად, პირველ ტაიმში სტუმრები საკმაოდ დამაჯერებლად იგებდნენ. მათ გამოცდილება და სიმშვიდე არ ეყოთ ამ უპირატესობის შესანარჩუნებლად. მატჩის ბოლოს ახალგაზრდა გუნდის სულელურმა შეცდომებმა "ინდიანას" პატარა სენსაციის მოხდენის საშუალება არ მისცა. ბევრს ცდებოდნენ შორეული ტყორცნებისას და ფარიდან ასხლეტილი ბურთის დაუფლების შემდეგ, მაიამელები ზედიზედ გარბოდნენ კონტრშეტევაში. ამას დაემატა ისიც, რომ ბოლო წუთებში "ინდიანას" შეტევაში თამაში არ გამოსდიოდა – ბოლო ხუთ წუთში მან თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო.



უეიდი სახიფათო იყო

| მაიამი–ინდიანა | 95:86 |
|---|---|

20:23, 22:25, 28:22, 25:16

**მ:** ჯეიმსი (32+15 მოხსნა+5 პასი), უეიდი (29+4 პასი), ბოში (13+5 მოხსნა), ენტონი (9+7 მოხსნა), ჩელმერსი (4+3 პასი), ტურიაფი (4), მილერი (2+3 პასი), ჰასლემი (2+5 მოხსნა).

**ი:** უესტი (17+12 მოხსნა+3 პასი), ჰიბერტი (17+11 მოხსნა), კოლისონი (10+6 პასი), ჰილი (10+3 პასი), ბარბოზა (9), ჰენსბრო (8), გრეინჯერი (7+3 პასი), ჯორჯი (6+3 ჩაჭრა), ჯონსი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (40.7/40.3), სამქულიანები (0/23.5), საჯარიმოები (76.3/71.4).

**სერია:** 1-0

● ევროლიგა. ოთხთა ფინალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიაკოსის დამსახურებული სასწაული

ევროპული საკლუბო კალათბურთის მთავარ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებდნენ ფინალში თამაშს. ცსკა მთელი სეზონი დამაჯერებლად გამოიყურებოდა, "ოლიმპიაკოსს" კი რეგულარულ სეზონში უჭირდა, მაგრამ პლეი ოფში მოუმატა თამაშს და მისი ფორმის პიკი აღმოჩნდა "ოთხთა ფინალის" ნახევარფინალში "ბარსელონას" დამარცხება.

ფინალის პირველი მეოთხედი დაცვითი თამაშის ზეიმი აღმოჩნდა. "ოლიმპიაკოსი" იყენებდა **კრსტიჩის** სუსტ თამაშსა და არმიელების შეცდომებს და ინარჩუნებდა მცირე უპირატესობას. მაგრამ შემდეგ ცსკა-ს ჯერი დადგა. რუსები დაცვაში კიდევ უფრო უკეთ ათამაშდნენ და საბოლოოდ, პირველი მეოთხედის ანგარიში – 10:7 კარგად გამოხატავს საწყისი ათი წუთის სათამაშო სცენარს. სხვათა შორის, ევროლიგის ფინალების ისტორიაში ეს ყველაზე დაბალშედეგიანი მეოთხედი იყო.

თამაში ცსკა-ს ბრწყინვალე გამთამაშებელმა **მილოშ ტეოდოშიჩმა** გახსნა. სერბმა ფანტასტიკური მონაკვეთი ჩაატარა, როცა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და გენიალური პასი მიაწოდა **ლავრინოვიჩს**. 13:25-ზე ბერძნების მწვრთნელს **დუშან ივკოვიჩს** ტაიმ-აუტის აღებამ მოუწია. მას უნდა შეეხსენებინა **სპანულისისთვის**, რომ დაცვაში თამაში აუცილებელია. სწორედ სპანულსის ბრალია ტეოდოშიჩის გააქტიურება. ამასობაში, მილოშისგან ესტაფეტა მისმა პარტნიორებმა გადაიბარეს, პირველ რიგში, **კირილენკომ**. "ოლიმპიაკოსი" **პაპანიკოლაუს** მონდომებით ახერხებდა თამაშში დარჩენას, მაგრამ 10-12-ქულიანი ჩამორჩენა მაინც კრიტიკულად აღიქმებოდა. პირველი 20 წუთის შემდეგ ტაბლოზე ასეთი რიცხვები ეწერა – 32:20.

ტეოდოშიჩის წარმატებული თამაში შესვენების შემდეგაც გაგრძელდა. სწორედ სერბის ზუსტმა ტყორცნამ მესამე წუთზე ანგარიში 41:25 გახადა. "ოლიმპიაკოსი" ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ იქვე **ხრიაპასგან** და კირილენკოსგან მიიღო კიდევ ორი სამქულიანი – 47:31. ივკოვიჩი იძულებული გახდა, კიდევ ერთი ტაიმ-აუტი მოეთხოვა. პაუზამ შედეგი გამოიღო – ბერძნებმა დაცვაში თამაშს მოუმატეს და ცსკა-ს რამდენიმე შეტევა უაზრობად აქციეს. მაგრამ **კაზლაუსკასის** საპასუხო ტაიმ-აუტის შემდეგ თამაში ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. მესამე მეოთხედის ბოლოს სხვაობამ მაქსიმალურ ნიშნულს – 19 ქულას მიაღწია (53:34). ბოლო შესვენებაზე არმიელები 13-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – სირენასთან ერთად **მანცარისის** ჩაგდებულმა მცირე იმედი დაუტოვა "ოლიმპიაკოსს".

მეოთხე მეოთხედის დებიუტში **სლუკასის** სამქულიანმა და **პრინტეცისის** ზუსტმა ტყორცნამ "ოლიმპიაკოსი" თამაშში დააბრუნა. საწყისი მონაკვეთის 0:11 ნაგების შემდეგ, კაზლაუსკასს კირილენკოს მოედანზე დაბრუნებამ მოუწია. თავდაპირველად ამ ცვლილებამ არ იმოქმედა – **კეშელმა** კირილენკოს წინააღმდეგობის მიუხედავად სამქულიანი ზუსტად ისროლა და ანგარიში გახდა 53:48. საინტერესოა, რომ ეს შედეგი ბერძნებს ახალგაზრდულმა ხუთეულმა მოუტანა სპანულსის, **ანტიჩისა** და სხვების დახმარების გარეშე. არმიელებმა შეაჩერეს მეტოქის სპურტი, მაგრამ შეტევაში მათ ლიდერებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. გარკვეული პაუზის შემდეგ, "ოლიმპიაკოსმა" ისევ გაასწორა მიზანი. პრინტეცისის ორქულიანმა სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა – 55:52.

ამ წუთებში ცსკა-ს ლიდერობა კირილენკომ იტვირთა. თავიდან მან ბურთი დააკარგვინა **ჰაინსს**, შემდეგ კი რთული ბურთი ჩააგდო პაპანიკოლაუს აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად. თუმცა ამ უკანასკნელმა იქვე სამქულიანით უპასუხა მეურვეს – 58:55. სათამაშო რჩებოდა ორი წუთი. კიდევ ორი ქულა პრინტეცისისგან და სხვაობა ორი ქულა გახდა – 60:58.

დაიწყო ბოლო წუთი და კრსტიჩი უხეშად შეცდა, როცა საჭირო ბურთი ვერ ჩააგდო, თუმცა **ვორონცევიჩმა** დაბლოკა პრინტეცისის ტყორცნა. ამასობაში, საჯარიმოების შესრულების უფლება მიიღო ტეოდოშიჩმა, რომელმაც, როგორც ნახევარფინალში, ახლაც ორიდან ორი ვერ ჩააგდო. 61:58-ზე პაპანიკოლაუმ ისროლა ორი საჯარიმო და ორივე ზუსტად – 61:60 არმიელთა სასარგებლოდ სირენამდე 10.6 წამით ადრე. კაზლაუსკასმა ტაიმ-აუტი აიღო.

ჰაინსის აქტიური დაცვის მიუხედავად, კირილენკომ პასი მიაწოდა **შიშკაუსკასს**, რომელზეც ჯარიმა აიღო სპანულისმა. გამოცდილი ლიტველი, ევროლიგის ყოფილი MVP ორივეჯერ შეცდა თავისუფალი ტყორცნების შესრულებისას. მოხსნა ბერძნებს დარჩათ. "ოლიმპიაკოსს" საკმარისი დრო ჰქონდა ბოლო შეტევისთვის – 8 წამი. სპანულისმა პრინტეცისს მიაწოდა ბურთი, რომელმაც თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ისროლა და 0.7 წამით ადრე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 62:61! ბერძნებმა 19-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. მათ მეორედ მოიგეს ევროლიგა. პირველად ეს 15 წლის წინ მოხდა და მაშინაც ტრიუმფის მთავარი შემოქმედი დუშან ივკოვიჩი გახდა.

"ოლიმპიაკოსის" ტრიუმფი სავსებით დამსახურებულია, რადგან "ოთხთა ფინალში" მან ორივე მთავარ ფავორიტს მოუგო – "ბარსელონასა" და ცსკა-ს.

**ფინალი**

| ცსკა–ოლიმპიაკოსი | 61:62 |
|---|---|

10:7, 24:13, 19:20, 8:22

**ც:** ტეოდოშიჩი (15), კირილენკო (12+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კრსტიჩი (11), შიშკაუსკასი (8), ლავრინოვიჩი (5), ხრიაპა (3+6 მოხსნა), შვედი (3), გორდონი (2), კაუნი (2).

**ო:** პაპანიკოლაუ (18), სპანულისი (15), პრინტეცისი (12), ანტიჩი (7), სლუკასი (4), მანცარისი (3), კეშელი (3).

**მე-3 ადგილისთვის**

| პანათინაიკოსი–ბარსელონა | 69:74 |
|---|---|

20:21, 17:27, 15:10, 17:16

**პ:** დიამანტიდისი (17), მარიჩი (13+11 მოხსნა), ლოგანი (11+3 ჩაჭრა), კალატესი (9).

**ბ:** მარსელინიო (21), ინგლსი (13), უოლასი (12+2 დაფარება+3 ჩაჭრა).

## ირვინგი საუკეთესო დებიუტანტია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი პრიზის მფლობელი გახდა "კლივლენდ კავალიერზის" ახალგაზრდა გამთამაშებელი **კაირი ირვინგი**. მას დღეს გადასცემენ რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ახალბედას პრიზს.

შეგახსენებთ, რომ ირვინგი 2011 წლის დრაფტის პირველი ნომერი გახდა. 20 წლის კალათბურთელმა წლევანდელ სეზონში ტრავმების გამო მხოლოდ 51 მატჩის გამართვა მოასწრო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა მისი აღიარებისთვის.

რეგულარულში ირვინგის სტატისტიკა 18.5 ქულას, 5.4 შედეგიან პასსა და 3.8 მოხსნას შეადგენდა.

## შვედი NBA-ში მიდის

არ არის გამორიცხული, მომავალ სეზონში NBA-ში მეორე რუსი ლეგიონერი გამოჩნდეს. როგორც ამერიკული პრესა წერს, ასოციაციის რამდენიმე კლუბი მოსკოვის ცსკა-ს მცველის **ალექსეი შვედის** გადაბირებით არის დაინტერესებული. ასახელებენ მომავალი კონტრაქტის დეტალებს – 10-მილიონიანი სამწლიანი ხელშეკრულება. ყველაზე მეტად შვედის ხელში ჩასაგდებად "მინესოტა", "ოკლაჰომა" და "მემფისი" აქტიურობენ.

ამ ჭორს ისიც ამყარებს, რომ ცსკა მომავალი წლის შემადგენლობის დაკომპლექტებისას შვედზე აქცენტს აღარ აკეთებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/4 ფინალი

# დამაჯერებელი ლოს ანჯელესი

სტენლის თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპი "ფინიქსისა" და "ლოს ანჯელესის" შვიდმატჩიანი სერიის პირველი შეხვედრით გაიხსნა. აქ საკუთარი მოედნის უპირატესობას "ფინიქსი" ფლობს, ამიტომაც საწყისი შეხვედრა მის მოედანზე გაიმართა. მაგრამ "ლოს ანჯელესი" ისეთი განწყობით გავიდა მოედანზე, რომ მასპინძლები სწორედ "მეფეები" გეგონებოდათ.

სტუმრებმა 48 (!) ზუსტი დარტყმა შეასრულეს და რომ არა "ფინიქსის" მეკარის **მაიკ სმიტის** ბრწყინვალე თამაში, "ლოს ანჯელესი" უფრო ადრე გადაწყვეტდა თავის სასარგებლოდ ამ მატჩის ბედს. ყველაფერი კი მესამე მეოთხედში გაირკვა.

მანამდე "კინგზი" ორჯერ იგებდა შეხვედრას და "ფინიქსი" ორივეჯერ ახერხებდა თანაფარდობის აღდგენას. თავდაპირველად "მეფეების" სლოვენიელმა ლეგიონერმა **ანჟე კოპიტარმა** მაღალი დარტყმით გახსნა ანგარიში. "ფინიქსმა" ეს შაიბა პერიოდის შუაში გაქვითა. ამ მატჩის მეორე გმირი, სტუმრების მეკარე **ჯონათან კუიკი** მოულოდნელად ვერ გაუმკლავდა მოედნის ცენტრიდან **დერეკ მორისის** დარტყმას. თანაბარი ანგარიშის მიუხედავად, მატჩი "ლოს ანჯელესის" უპირატესობით მიდიოდა – საწყის 20 წუთში დარტყმების შეფარდება იყო – 17:4 სტუმრების სასარგებლოდ.

სამართლიანობა მეორე პერიოდის შუაში აღდგა, როცა **დუაიტ კინგმა** მეკარესთან ორი-ერთზე გასვლა გამოიყენა და **მაიკ რიჩარდსის** პასით გაიტანა – 2:1. მაგრამ ამჯერადაც გუნდები მეორე შესვენებაზე თანაბარი ანგარიშით გავიდნენ. პერიოდის ბოლოს "ლოს ანჯელესმა" საკუთარ თავს მოუტანა შაიბა – კარის უკან შეცდომა სტუმრებს ძვირად დაუჯდათ და "კოიოტების" კაპიტნის **შეინ დოუნის** პასით "ფინიქსის" დანიელმა ლეგიონერმა **მიკელ ბოდკერმა** გამოიჩინა თავი.

"კინგზმა" ბოლო შესვენებაზე სათანადო დასკვნები გამოიტანა და ამის შემდეგ მსგავსი შეცდომები აღარ დაუშვია. შეტევაში კი ყველაფერი წესრიგში იყო. ჯერ **ვოინოვის** ბრწყინვალე პასით სმიტთან პირისპირ გავიდა **დასტინ ბრაუნი** – 3:2. ფინალური წერტილი კი კინგმა დასვა, რომელმაც ბოლო წამებზე ცარიელ კარში გაიტანა და დუბლი შეასრულა. მოკლედ, "კინგზმა" კანონზომიერი გამარჯვება მოიპოვა და სერიაში წინ გავიდა, თან ახლა მას ეკუთვნის საკუთარი მოედნის უპირატესობა.



კინგზი გოლს ზეიმობს

**ფინიქსი–ლოს ანჯელესი 2:4**

1:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-4 (დ. ბრაუნი-6, დაუტი-6), 1:1 მორისი-2 (ლენგკოუ-6), 1:2 კინგი-2 (მ. რიჩარდსი-6, ლუისი-2), 2:2 ბოდკერი-4 (დოუნი-4, მორისი-3), 2:3 დ. ბრაუნი-7 (ვოინოვი-1, ჯასტინ უილიამსი-6), 2:4 კინგი-3 (ლუისი-3, სტოლი-1).

### ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**I ლიგა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| შეფილდი-სტივენეიჯი | 1:0 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ვერონა | 1:1 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კარლსრუე-რეგენსბურგი | 2:2 |

**ბელგია**

**უეფას პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| სერკლ ბრიუგე-მონსი | 3:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ოდენსე | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გეფლე-სუნდსვალი | 0:0 |
| გიოტებორგი-მალმიო | 2:2 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-სტიარნანი | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ასტრა | 1:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ჩერნო მორე-რაკოვსკი | 2:1 |

**ჰოკეი**

**მს. ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-საფრანგეთი | 1:2 |
| ლატვია-დანია | 0:2 |
| ყაზახეთი-ფინეთი | 1:4 |
| იტალია-რუსეთი | 0:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ბოგომოლოვი-**მონფილსი** | 4:6, 1:6 |
| **ვერდასკო**-დოლგოპოლოვი | 6:0 უარი |
| **ტომიჩი**-ხირალდო | 4:6, 6:2, 6:4 |
| **ფონინი**-ბალდატისი | 6:2, 6:2 |
| **ვავრინკა**-ჰაასე | 6:1, 4:6, 7:5 |
| რამოსი-**ნალბანდიანი** | 3:6, 4:6 |
| კავჩიჩი-**ბერლოკი** | 1:6, 3:6 |
| **შტეპანეკი**-ჩელა | 2:6, 6:0, 6:3 |
| **ალმაგრო**-ჩილიჩი | 6:2, 3:6, 6:0 |
| **ისნერი**-კოლშრაიბერი | 2:6, 7:6, 6:2 |

**WTA. რომი**

| | |
|---|---|
| **კინგი**-პირონკოვა | 6:0, 6:1 |
| გაიდოშოვა-**სხეპერსი** | 4:6, 6:7 |
| **მედინა გარიგესი**-ჟენგი | 6:2, 6:1 |
| **მაკჰეილი**-ნიკულესკუ | 6:4, 6:4 |
| **ბენეშოვა**-ვიკმაიერი | 6:4, 5:7, 7:6 |
| ვოზნიაკი-**გორგესი** | 1:6, 7:6, 3:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-პერვაკი | 6:2, 6:4 |
| **ივანოვიჩი**-კუზნეცოვა | 6:4, 6:3 |
| **პეერი**-პენგი | 7:6, 4:6, 3:1 უარი |
| როდიონოვა-**კერბერი** | 6:4, 5:7, 2:6 |
| **არვიდსონი**-მარტინეს სანჩესი | 6:3, 6:2 |
| **მაკაროვა**-სკიავონე | 6:3, 6:4 |

### ჩოგბურთი. რეიტინგები

# როჯერი მეორე, სერენა მეექვსე



სერენა წინ მიდის

მადრიდის მასტერსის შემდეგ, განახლებულ კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მთავარი სიახლე ის არის, რომ **როჯერ ფედერერმა** კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე დაბრუნება შეძლო - მადრიდში ტრიუმფის წყალობით მან უკან ჩამოიტოვა ესპანელი **რაფაელ ნადალი**. ახლა მათ შორის თითქმის 400 ქულაა სხვაობა.

ლიდერობას ინარჩუნებს სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. მადრიდის მასტერსის ნახევარფინალისტი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** ორი საფეხურით ზემოთ ავიდა და საუკეთესო ათეულში დაბრუნდა – ამ კვირას ის მეცხრე პოზიციაზე იქნება.

■ ■ ■

ქალთა რეიტინგში ყველაზე დიდი პროგრესი ასევე მადრიდული ტურნირის ტრიუმფატორმა **სერენა უილიამსმა** განიცადა. მან სამი საფეხურთის წინ წაიწია და ახლა მსოფლიოს მეექვსე ნომერია. მადრიდის ფინალისტმა **ვიქტორია აზარენკამ** შეინარჩუნა კლასიფიკაციაში პირველი ადგილი.

გრძელდება მსოფლიო რეიტინგის ყოფილი ლიდერის, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკის** დაცემა – სკანდინაველი ორი ადგილით დაქვეითდა და მერვე პოზიციაზე იმყოფება.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 200 |
| 2(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 430 |
| 3(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 9 105 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 500 |
| 5(5). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 930 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 460 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 410 |
| 8(8). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 090 |
| 9(11). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 970 |
| 10(10). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 725 |
| 9(11). მერდი ფიში (აშშ) | 2 660 |
| 12(12). ჟილ სიმონი (საფ) | 2 545 |
| 13(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 255 |
| 14(14). გაელ მონფილსი (საფ) | 2 210 |
| 15(15). ხუან მონაკო (არგ) | 1 925 |
| 16(19). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 810 |
| 17(16). ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 1 760 |
| 18(20). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 745 |
| 19(17). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 735 |
| 20(21). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 505 |

| ATP. ფულადი მოგებარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 714 982 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 082 343 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 774 621 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 190 622 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 088 954 |
| 6. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 053 446 |
| 7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 048 935 |
| 8. ჯონ ისნერი (აშშ) | 780 157 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 658 472 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 584 465 |
| 11. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 583 847 |
| 12. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 580 199 |
| 13. ჟილ სიმონი (საფ) | 565 383 |
| 14. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 559 230 |
| 15. მილოშ რაონიჩი (კან) | 550 917 |
| 16. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 455 758 |
| 17. კეი ნიშიკორი (იაპ) | 416 900 |
| 18. ხუან მონაკო (არგ) | 399 271 |
| 19. ლეანდერ პაესი (ინდ) | 398 790 |
| 20. რიშარ გასკე (საფ) | 396 488 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 020 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 7 610 |
| 3(3). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 080 |
| 4(4). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 6 250 |
| 5(5). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 435 |
| 6(9). სერენა უილიამსი (აშშ) | 5 300 |
| 7(7). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 945 |
| 8(6). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 4 936 |
| 9(8). ნა ლი (ჩინ) | 4 405 |
| 10(10). ვერა ზვონარევა (რუს) | 3 640 |
| 11(14). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 235 |
| 12(12). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 201 |
| 13(13). საბინ ლისიცკი (გერ) | 3 131 |
| 14(11). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 3 380 |
| 15(15). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 920 |
| 16(19). მარია კირილენკო (რუს) | 2 485 |
| 17(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 470 |
| 18(17). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2 365 |
| 19(20). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 320 |
| 20(18). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 260 |

| WTA. ფულადი მოგებარი | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4 503 146 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 2 295 090 |
| 3. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 894 023 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 197 465 |
| 5. სარა ერანი (იტა) | 753 459 |
| 6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 671 024 |
| 7. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 591 375 |
| 8. რობერტა ვინჩი (იტა) | 570 270 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 531 219 |
| 10. იულია გორჯესი (გერ) | 528 218 |
| 11. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 516 343 |
| 12. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 513 691 |
| 13. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 497 449 |
| 14. ნა ლი (ჩინ) | 470 763 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერ) | 462 890 |
| 16. მარია კირილენკო (რუს) | 460 133 |
| 17. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 452 632 |
| 18. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 413 536 |
| 19. ვერა ზვონარევა (რუს) | 397 076 |
| 20. ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) | 392 835 |

### TV პროგრამა

**15 მაისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტურის მიმოხილვა.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური. მარსელი-ოსერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. კატანია-უდინეზე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური. აიაჩო-ლიონი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგის პლეი ოფი. ფორტუნა-ჰერტა. საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. რეალი-მალიორკა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი. I მატჩი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-რენი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. 1/2 ფინალი. ლენსტერი-კარდიფი.
**18:45** გადაცემა – სპორტის სამყარო
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** NBA Action.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი. I მატჩი.
**05:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. სან ანტონიო-კლიპერსი. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. რომი. იტალია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. რომი. იტალია (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. დალასი - ოკლაჰომა

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**H ჯგუფი**

**ფინეთი–აშშ 0:5**

0:1, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 პასიორეტი-2, 0:2 პალმიერი-1 (ატკინსონი-1, ბატლერი-1), 0:3 ფოლკი-4 (გოლიგოსკი-4, პასიორეტი-8), 0:4 ბატლერი-1 (პეტრი-2, ატკინსონი-2), 0:5 რაიანი-3 (სმიტი-1).

**შვეიცარია–სლოვაკეთი 0:1**

0:1, 0:0, 0:0

**გოლი:** 0:1 ტატარი-2 (მიკუში-3).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 6 | 5 | 0 | 1 | 0 | 30-14 | 16 |
| 2. აშშ | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 27-15 | 13 |
| 3. ფინეთი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 17-13 | 12 |
| 4. სლოვაკეთი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 16-9 | 12 |
| 5. საფრანგეთი | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 15-26 | 6 |
| 6. შვეიცარია | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 14-16 | 6 |
| 7. ბელარუსი | 5 | 1 | 0 | 0 | 4 | 9-16 | 3 |
| 8. ყაზახეთი | 6 | 0 | 0 | 1 | 5 | 10-2[illegible] | 1 |

**S ჯგუფი**

**რუსეთი–ჩეხეთი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პერეჟოგინი-3 (ნიკულინი-3), 2:0 მალკინი-7 (პოპოვი-5).

**გერმანია–ნორვეგია 4:12**

0:3, 1:6, 3:3

**გოლები:** 0:1 ტორესენი-3 (ჰანსენი-2, სკროდერი-6), 0:2 ტორესენი-4 (ჰოლტეტი-2), 0:3 როიმარკი-1 (ჰოლტეტი-3), 0:4 სპეტსი-2 (მ. ოლიმბი-4, ბასტიანსენი-3), 0:5 კაუნისმაკი-1 (ასკი-3, კ-ა. ოლიმბი-1), 0:6 ჰოლოში-3 (ტორესენი-5, ასკი-4), 0:7 ტორესენი-5 (ასკი-5, სოლბერგი-1), 0:8 სკროდერი-2 (მ. ოლიმბი-5, ასკი-6), 0:9 ტრიგი-3 (ტორესენი-6, ჰანსენი-3), 1:9 რაიმერი-3 (გოგულა-5, შუბერტი-1), 1:10 სკროდერი-3 (ტორესენი-7 ჰანსენი-4), 2:10 კრუგერი-1 (გოგულა-6), 2:11 ჰანსენი-2 (ბასტიანსენი-4, კაუნისმაკი-1), 3:11 კინკი-1 (ლავალი-2), 3:12 ტრიგი-4 (ჰანსენი-5), 4:12 ფიშერი-2 (ჰოსპელტი-3, გოგულა-7).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 0 | 23-8 | 18 |
| 2. შვედეთი | 6 | 5 | 0 | 0 | 1 | 25-15 | 15 |
| 3. ჩეხეთი | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 16-10 | 11 |
| 4. ნორვეგია | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 27-17 | 10 |
| 5. ლატვია | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 11-13 | 6 |
| 6. გერმანია | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 13-23 | 6 |
| 7. იტალია | 6 | 0 | 1 | 0 | 5 | 6-27 | 2 |
| 8. დანია | 5 | 0 | 0 | 1 | 4 | 9-17 | 1 |

### ამბები

**მძლეოსნობა**

## ჩემპიონმა კარიერა დაასრულა

სამხტომში ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, შვედმა **კრისტიან ოლსონმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 32 წლის სკანდინაველმა ვერ შეძლო მძიმე ტრავმის შემდეგ ოპტიმალური ფორმის აღდგენა და უაზრობად ჩათვალა მოუმზადებლად ლონდონის ოლიმპიადაზე გამგზავრება.

ათენის თამაშებში გამარჯვების გარდა, ოლსონი სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი და ორჯერ – ევროპის ჩემპიონი. თავისი ბოლო ტიტული კრისტიანმა 2006 წელს, გიოტებორგში მოიგო, მაგრამ მას შემდეგ ქრონიკულმა ტრავმებმა დააზარალა მისი შესანიშნავი კარიერა.

**ჰოკეი**

## ვაშინგტონს მწვრთნელი აღარ ჰყავს

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "ვაშინგტონ კეპიტალზის" მთავარმა მწვრთნელმა **დეილ ჰანტერმა** ოფიციალურად გამოაცხადა პოსტიდან გადადგომის შესახებ.

დედაქალაქური კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯორჯ მაკფის** თქმით, ეს გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო და ჰანტერი კანადაში თავის ოჯახსა და ბიზნესს დაუბრუნდება.

ჰანტერმა "ვაშინგტონი" სეზონის მსვლელობისას, ნოემბრის ბოლოს **ბრიუს ბოდროს** გადადგომის შემდეგ ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით "კეპიტალზმა" რეგულარულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა, პლეი ოფის პირველ რაუნდში კი სტენლის თასის მოქმედი მფლობელი "ბოსტონი" დაამარცხა (4:3), თუმცა მეორე წრეში ასეთივე ანგარიშით წააგო "რეინჯერსთან".

**კალათბურთი**

## ნელსონი ორლანდოდან გარბის

"ორლანდო მეჯიქის" მცველი **ჯამირ ნელსონი**, სავარაუდოდ, გამოიყენებს მის კონტრაქტში არსებულ პუნქტს და არ გააგრძელებს ურთიერთობას "ჯადოქრებთან". შესაბამისად, ამ ზაფხულში ნელსონი თავისუფალი აგენტი გახდება.

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, გამთამაშებელს სურს მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმოს კლუბთან, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

წლევანდელ სეზონში მცველი საშუალოდ 12.0 ქულასა და 5.7 შედეგიან პასს აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 24 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 25 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 11 | 24 | (მზე) |
| თელავი | 15 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 22 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 8 | 21 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.6082 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6204 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6082 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3601 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



პასტორ მალდონადო

# მან ვენესუელა გააერთიანა

ესპანეთის გრან-პრის მოგებისა და "უილიამსის" ბოქსებში გაჩენილი ხანძრის დროს ბიძაშვილის გმირულად გადარჩენის შემდეგ, **პასტორ მალდონადო** მშობლიურ ვენესუელაში ეროვნულ გმირად შერაცხეს, ქვეყნის პრეზიდენტმა **უგო ჩავესმა** კი ორშაბათი არასამუშაო დღედ გამოაცხადა.

თუმცა მთელმა ვენესუელამ უკვე კვირას დაიწყო ფორმულა 1-ში პასტორის პირველი გამარჯვების აღნიშვნა. რბოლის ფინიშის შემდეგ, კარაკასის მცხოვრებლები ქუჩაში გამოვიდნენ პლაკატებით: "მალდონადო - ვენესუელას სიამაყე".

ესპანეთში პასტორ მალდონადოს ტრიუმფმა გააერთიანა ქვეყანა, რომელიც აგერ უკვე 13 წელია უგო ჩავესისა მომხრეებსა და მოქმედი რეჟიმის მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირების პირობებში ცხოვრობს. ქვეყნის პრეზიდენტის გვერდით ხშირად გამოჩენისა და სახელმწიფო სანავთობო კომპანია PDVSA-გან მიღებული მხარდაჭერის გამო, ვენესუელელი პილოტი სოციალისტური მთავრობის მომხრედ აღიქმება, მაგრამ ესპანეთის გრან-პრის შედეგებმა ოპოზიციას შეაცვლევინა პილოტის მიმართ დამოკიდებულება.

რა თქმა უნდა, მალდონადოს თანამემამულეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კადრმა, როცა პილოტს ხელში აყვანილი გამოჰყავს ხანძრის სახიფათო ზონიდან თავისი 12 წლის ბიძაშვილი: ბიჭს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და სწრაფად გადაადგილება არ შეეძლო.

ორშაბათს, ოპოზიციურ გაზეთში - El Universal გამოქვეყნდა სტატია სათაურით: "ჩვენი სულიერი ლიდერი". ეს არის სიტყვების აშკარა თამაში, რომელშიც გამოყენებულია პილოტის ესპანური სახელი. *"მისმა გამარჯვებამ გააერთიანა მთელი ერი"*, - წერს გაზეთი.

ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პასტორ მალდონადომ მილოცვა მიიღო **ენრიკე კაპრილესისგან**, რომელიც უგო ჩავესის მთავარი ოპონენტი იქნება 7 ოქტომბერს გასამართავი საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

*"დიადი მალდონადო! ჩემი მილოცვები პასტორს, მის მშობლიურ შტატ არაგუასა და მთელი ვენესუელას!"* – დაწერა პოლიტიკოსმა "ტვიტერზე".

# ხანძარი ძლიერი ყოფილა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ესპანეთის გრან-პრიზე "უილიამსის" პილოტის **პასტორ მალდონადოს** ტრიუმფის შემდეგ, ბრიტანული საჯინიბოს ბოქსებში ძლიერი ხანძარი გაჩნდა.

გუშინ, ცნობილი გახდა ამ ინციდენტის დეტალები. ხანძრის შედეგად 31 ადამიანი დაზარლდა, მათ შორის შვიდი საავადმყოფოში გადაიყვანეს: ერთს სერიოზული დამწვრობა აქვს, დანარჩენებს მწვავე ინტოქსიკაცია აღენიშნებათ.

"უილიამსში" დაადასტურეს, რომ ინციდენტის მიზეზი საწვავის გაჟონვა გახდა. ამ გუნდიდან სამი თანამშრომელია ჰოსპიტალიზებული, კიდევ ოთხი დაზარალებული საჯინიბო "კატერჰემის" წევრია.

ცეცხლი იმ დროს გაჩნდა, როცა მალდონადო და მისი გუნდი ტრადიციულ ფოტოს იღებდა "უილიამსის" ბოქსების ფონზე. შეგახსენებთ, რომ ვენესუელელმა პილოტმა ბრიტანულ გუნდს 2004 წლის შემდეგ პირველი ტრიუმფი მოუტანა.


ხანძარი ბოქსებში

ჩოგბურთი

# შავი კაცის საჩუქარი

მადრიდის მასტერსის ფინალური მატჩის შემდეგ ცენტრალურ კორტზე გავიდა ტურნირის საპატიო სტუმარი, ამერიკელი კინოვარსკვლავი **უილ სმიტი.** დაჯილდოების ცერემონიის დროს, ამერიკელმა უჩვეულო საჩუქარი უძღვნა ფინალის ტრიუმფატორს, ლეგენდარულ შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს.**

სმიტმა შეხვედრის შემდეგ როჯერს თავისი სასცენო კოსტიუმი გადასცა ფილმიდან "ადამიანები შავებში 3".


უილ სმიტის საჩუქარი

# არშემდგარი რეკორდი

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა სამუელ გროტმა მოწოდების სიჩქარის ახალი რეკორდი დაამყარა. კორეის ქალაქ პუსანში ჩატარებულ "ჩელენჯერის" ტურნირზე გროტის მიერ მოწოდებული ბურთის სიჩქარე საათში 263 კილომეტრს უდრიდა, - იტყობინება ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი.



სამუელ გროტი პუსანში

თუმცა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გადაწყვიტა, არ დაარეგისტრიროს ეს რეკორდი, რადგან პროფესიონალურ ტურნირებსა და "ჩელენჯერებზე" ბურთის სისწრაფის გაზომვის სხვადასხვა სისტემა არსებობს. ამავე დროს, ATP-მ აღიარა, რომ პუსანის ტურნირზე გამოიყენებოდა მოწყობილობა, რომელიც სხვა შემთხვევაში ჯდებოდა რეგლამენტირებულ დიაპაზონში.

ამ მომენტისთვის მოწოდების სიჩქარის ოფიციალური რეკორდი ხორვატ ივო კარლოვიჩს ეკუთვნის, რომელმაც 2011 წლის მარტში, გერმანიასთან დევისის მატჩის დროს საათში 251 კილომეტრი სიჩქარით ჩააწოდა ბურთი.

სამთო თხილამურები


ვონი საფრანგეთში

# ვონის დამსახურებული შვებულება

სახელგანთქმული ამერიკელი მოთხილამურე, 2010 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული **ლინდსი ვონი** არდადეგებს საფრანგეთში ატარებს.

*"შესანიშნავად ვატარებ დროს დასთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში! მზე აცხუნებს, წყალი კრისტალურად სუფთაა. კიდევ ელოდეთ ჩემგან ფოტოებს"*, - დაწერა ვონმა Facebook-ის პირად გვერდზე და თან ერთი ფოტოც დაურთო ამ შეტყობინებას.

27 წლის ვონმა გასულ წელს ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. მან მეოთხედ მოიგო მსოფლიოს თასი, გარდა ამისა, ბროლის მცირე გლობუსები მოიპოვა სუპერგიგანტში, სწრაფდაშვებასა და სუპერკომბინაციაში. ლინდსიმ მსოფლიოს თასის გათამაშება ქალებს შორის სარეკორდო მაჩვენებლით – 1980 ქულით დაასრულა. ეს სულ რაღაც 20 ქულით ნაკლებია **ჰერმან მაიერის** აბსოლუტურ რეკორდზე (2000 ქულა).

ოლიმპიზმი

# ფრანგების მედროშე

საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლონდონის ოლიმპიადაზე ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მედროშედ ფარიკაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ლორა ფლესელ-კოლოვიცი** დაასახელა.

წარმოშობით გვადელუპელი ფლესელი დღეს საფრანგეთის ოლიმპიურ ნაკრებში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია. 1996 წელს ატლანტას თამაშებზე მან დაშნით ასპარეზობაში ინდივიდუალური და გუნდური პირველობები მოიგო, 2000 წელს სიდნეიში ამავე დისციპლინებში ორი ბრინჯაო აიღო, 2004 წელს ათენში კი ვერცხლი – ინდივიდუალურ პირველობაში. გარდა ამისა, ფლესელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. 40 წლის მოფარიკავე ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ გამოეთხოვება დიდ სპორტს.

გახსნის ცერემონიაზე საფრანგეთის ნაკრების მედროშე ფარული კენჭისყრით აირჩიეს. მოფარიკავემ ხმების რაოდენობით გაუსწრო კალათბურთელ **ტონი პარკერსა** და მოცურავე **ალენ ბერნარს.**


ლორა ფლესელი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:05

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია